



**ჭავჭავაძის
ცენტრი**

ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული
პოლიტიკებისა და საზოგადოებრივი განვითარების ცენტრი

შიდაპარტიული დემოკრატიის დეფინიციის მიზნები საქართველოში

გიორგი ხარებავა
გიორგი ჯოხაძე
ბია ჯაფარიძე
ნინო კალანდიაძე

შიდაპარტიული დემოკრატიის
დეფინიციის მიზნები საქართველოში

თბილისი
2021

შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტის მიზეზები საქართველოში

© ა(ა)იპ. ილია ჭავჭავაძის სახელობის ევროპული კვლევებისა და სამოქალაქო განათლების ცენტრი, 2021

ავტორები: გიორგი ხარებავა, გიორგი ჯოხაძე, გია ჯაფარიძე, ნინო კალანდაძე.

მთავარი რედაქტორი: ზაზა ბიბილაშვილი

რედაქტორი: მარინა ჟღენტი

კვლევა მომზადდა საგრანტო პროექტის ფარგლებში „შიდაპარტიული დემოკრატია საქართველოში“ კონრად ადენაუერის ფონდის სამხრეთ კავკასიის ბიუროს მხარდაჭერით. პროექტის განხორციელებაში შეტანილი წვლილისთვის ცენტრი, ასევე, მადლობას უხდის საქართველოს უნივერსიტეტს.

კვლევის შინაარსზე პასუხისმგებელი არიან ავტორები და ტექსტში გამოთქმული მოსაზრებები, შესაძლოა, არ გამოხატავდეს დონორი ორგანიზაციის პოზიციას.

აკრძალულია წიგნში შეტანილი მასალის გადაბეჭდვა, გამრავლება ან გავრცელება კომერციული მიზნით, ცენტრის წერილობითი ნებართვის გარეშე.



დამკაბადონებელი: ნათია რუხაძე

გარეკანის დიზაინი: ნათია რუხაძე

სარჩევი

რეზიუმე	4
თავი I.....	5
I. 1 ლიტერატურის მიმოხილვა.....	5
I. 2 მეთოდოლოგია.....	14
თავი II.....	16
II. 1 ლიდერის როლი და მისი გავლენა შიდაპარტიულ დემოკრატიაზე.....	16
II. 2 ლიდერზე დამოკიდებულების ფენომენი საქართველოში..	20
თავი III.....	29
III. 1 პარტიული ფინანსების გავლენა შიდაპარტიული დემოკრატის დეფიციტზე	29
III. 2 პარტიული დაფინანსება საქართველოში - ძირითადი გამოწვევები.....	36
თავი IV	50
IV. 1 საარჩევნო სისტემის გავლენა შიდაპარტიულ დემოკრატიაზე	50
IV. 2 საქართველოს საარჩევნო სისტემა და მისი გავლენა შიდაპარტიულ დემოკრატიაზე	57
თავი V	60
V. 1 საქართველოს კანონმდებლობა და პოლიტიკურ პარტიათა შიდაპარტიული სტრუქტურა.....	60
V. 2 ქართული ოცნება	66
V. 3 ერთიანი ნაციონალური მოძრაობა	68
V. 4 საქართველოს ლეიბორისტული პარტია.....	71
V. 5 ევროპული საქართველო	73
V. 6 გირჩი	75
V. 7 რესპუბლიკური პარტია	77
დასკვნა.....	80
გამოყენებული ლიტერატურა	84
ქართულენოვანი ლიტერატურა:	82
ინგლისურენოვანი ლიტერატურა:.....	85
გამოყენებული ოფიციალური დოკუმენტები:	90

რეზიუმე

ქართული დემოკრატია ფუნდამენტური გამოწვევების წინაშე დგას, ერთ-ერთი ასეთი გამოწვევა კი პოლიტიკურ პარტიებში შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტია. საკითხის პრობლემურობას აძლიერებს ის ფაქტიც, რომ, როგორც ზოგადად პოლიტიკის მეცნიერებების სხვა საკითხების, მისი შესწავლაც ახალი დაწყებულია (ამ მხრივ ნოდია-სქოლტბახისა და ცუცქერიძის კვლევები შიდაპარტიულ დემოკრატიაზე გამონაკლისებს წარმოადგენს).

შიდაპარტიული დემოკრატიის საკითხი არც პოლიტიკური პარტიების დღის წესრიგში დგას წინა პლანზე. ჩვენი დაკვირვებით, პარტიული ელიტები თავს არიდებენ ამ თემაზე საუბარს და ეწინააღმდეგებიან საკითხის აქტუალიზებას. შესაბამისად, რაიმე ცვლილებები ამ კუთხით ჯერჯერობით მოსალოდნელი არ არის. წინამდებარე კვლევა საქართველოში არსებული შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტის მიზეზების იდენტიფიცირებისა და გამოკვლევის მცდელობას წარმოადგენს.

კვლევის მიგნებები ეხება ისეთ საკითხებს, როგორებიცაა - შიდაპარტიულ დემოკრატიაზე ფინანსების, ლიდერის ფაქტორის, საარჩევნო სისტემის, ეროვნული კანონმდებლობისა და შიდაპარტიული სტრუქტურის გავლენა.

საქართველოს პოლიტიკურ პარტიებში არსებულ შიდაპარტიულ დეფიციტს არ გააჩნია ერთი კონკრეტული მიზეზი, ის გაცილებით უფრო კომპლექსურია და მას ყველა ზემოთჩამოთვლილი ფაქტორი განაპირობებს, მათი კომბინაცია კი შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარებისთვის პრაქტიკულად გადაუღაზავ ბარიერს ქმნის, რა პირობებშიც დამოუკიდებელ საქართველოს აგერ უკვე 30 წელია უწევს არსებობა.

თავი I

I. 1 ლიტერატურის მიმოხილვა

დასავლური ქვეყნების ცხოვრებაში პოლიტიკური პარტიები აქტიურად მე-19 საუკუნიდან ჩნდებიან, დემოკრატიული სისტემების განვითარებაში საკვანძო ადგილს იკავებენ და სოციალურ-პოლიტიკური მეცნიერებების განვითარებასთან ერთად მკვლევართა დაინტერესებასაც იწვევენ. პარტიათა ფენომენის კვლევის პირველი მცდელობები მე-20 საუკუნის დასაწყისიდან იღებს სათავეს. ამ მხრივ პიონერი მკვლევარია რობერტ მიხელსი, რომელმაც „ოლიგარქიის რკინის კანონით“ ცნობილი თეორია ჩამოაყალიბა. მიხელსის მიხედვით, ორგანიზაციის შიგნით დემოკრატიის მიღწევა ისეთ ორგანიზაციებშიც კი შეუძლებელია, რომლებიც დემოკრატიულ იდეალებს აღიარებენ. ძალაუფლება მცირერიცხოვანი ელიტის ხელშია მოქცეული, რასაც ოლიგარქია ეწოდება (Michels/მიხელსი, 1911).

მიხელსის მოსაზრება, რომ პარტიულ ორგანიზაციებში შიდა დემოკრატიის უზრუნველყოფა შეუძლებელია, აკადემიურ წრეებში ძალიან დიდხანს დომინირებდა. როგორც ალან ვეირი აღნიშნავს, მე-20 საუკუნის 50-იან წლებში ლამის აქსიომად იყო მიჩნეული, რომ შიდაპარტიული დემოკრატია საპარლამენტო მმართველობასთან შეუსაბამო იყო და ის პარტიათა კონკურენტუნარიანობაზე უარყოფითად მოქმედებდა (Ware/ვეირი, 1979). აღნიშნულ პერიოდში აკადემიურ წრეებში მიიჩნეოდა, რომ დემოკრატიას პარტიათა შორის თავისუფალი და სამართლიანი კონკურენტული გარემო ქმნიდა და არა პარტიების შიდა დემოკრატიული ხასიათი. სახელმწიფოს დემოკრატიულობაზე შიდაპარტიული დემოკრატიის დადებით გავლენას ეჭვის ქვეშ აყენებდა ჯოვანი სარტორი, რომლის აზრითაც, დემოკრატია პატარა დემოკრატიების ჯამს არ წარმოადგენდა (Sartori/სარტორი, 1965).

შიდაპარტიულ დემოკრატიაზე, მის მახასიათებლებსა და გავლენებზე აქტიური მსჯელობა მე-20 საუკუნის 60-იანი წლებიდან იწყება. ამ პერიოდიდან შიდაპარტიული დემოკრატიის უარყოფით გავლენებთან დაკავშირებით ადრე საყოველთაოდ გაზიარებულ დამოკიდებულებაზე ლეგიტიმური კითხვები ჩნდება და საკითხით დაინტერესებული მკვლევრები უფრო სიღრმისეულ ანალიზზე იწყებენ მუშაობას. ბალსერას აზრით, ათწლეულების წინ დაწყებულ აკადემიურ დებატებში შიდაპარტიულ დემოკრატიასთან დაკავშირებით ორი ძირითადი კითხვა ისმის: 1. შესაძლებელია თუ არა სიცოცხლისუნარიანი დემოკრატიის არსებობა შინაგანად არადემოკრატიული პარტიების პირობებში? და 2. რამდენად აისახება პარტიის შიგნით გადაწყვეტილებების მიღების პროცესში შიდადემოკრატიული პრაქტიკა აღნიშნული პარტიის კონკურენტუნარიანობაზე (Balcerre/ბალსერა, 2017)?

პოლიტიკური პარტიების დაკნინების ტენდენციამ, რომელიც მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში დაიწყო, დასავლურ დემოკრატიებში პარტიებს ერთგვარი ბიძგი მისცა, რომ უფრო გახსნილიყვნენ და შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარების მიმართულებით ემუშავათ. იგნაზის შეფასებით, მეინსტრიმულ პარტიებში დემოკრატიზაციის პროცესი, რომელიც პარტიებსა და საზოგადოებას შორის კავშირების შესუსტების გამო დაიწყო, ორი მიმართულებით წარიმართა: 1. წევრების პირდაპირი ჩართულობა პარტიის ოფიციალური პირებისა და კანდიდატების შერჩევა-ნომინაციის პროცესებში და 2. პირველთან შედარებით უფრო ნაკლები ხარისხით, მაგრამ მაინც გაიზარდა წევრების ჩართულობა პარტიათა ზოგიერთი პოლიტიკის განსაზღვრაში (Ignazi/იგნაზი, 2018). იგნაზის აზრით, არსებობს ოთხი ძირითადი ელემენტი, რომელსაც შიდაპარტიული დემოკრატიისთვის საკვანძო მნიშვნელობა აქვს, მას ავტორი „შიდაპარტიული დემოკრატიის 4 რაინდს“ უწოდებს, ესენია: 1. ინკლუზიურობა - გადაწყვეტილების მიღების პროცესში წევრების მაქსიმალური ჩართულობა, 2. განხილვა (deliberation) - წევრების ჩართულობა პოლიტიკის შემუშავებაში, 3. პლურალიზმი - პარტიის შიგნით უმცირესობის უფლებების უზრუნველყოფა და 4. დიფუზია (diffusion) - შიდა პარტიულ აქტორებსა და წევრებს შორის გადაწყვეტილებების მისაღებად საჭირო ძალაუფლების გაზიარება (იგნაზი, 2018).

მე-20 საუკუნის მეორე ნახევრიდან პარტიათა მიმართ ინტერესის გაღვივება მხოლოდ აკადემიური წრეებით არ შემოიფარგლება. მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ აქტიურად იწყება პარტიათა კონსტიტუციონალიზაციის სახელით ცნობილი პროცესი, რომელიც ევროპული ქვეყნების კონსტიტუციებში პოლიტიკურ პარტიებზე ჩანაწერების შეტანას გულისხმობს. პარტიათა კონსტიტუციონალიზაციის ერთ-ერთი მიზანი ავტორიტარული რეჟიმებიდან წარმომადგენლობით დემოკრატიებზე გადასულ ქვეყნებში შიდაპარტიული დემოკრატიის ხელშეწყობა იყო. გაბრიელა ბორცის აზრით, პარტიების კონსტიტუციური რეგულირების ერთ-ერთი გამამართლებელი ფაქტორი, პარტიათა მიერ ძალაუფლების ბოროტად გამოყენებისა და კორუფციის პრევენციასა, მსგავსი რეგულაციები მიზნად პოლიტიკური პარტიების მეტ ანგარიშვალდებულებასა და მათ საქმიანობაში მეტი გამჭვირვალობისა და საჯაროობის უზრუნველყოფას ისახავს მიზნად (Borz/ბორცი, 2016). ინგრიდ ვან ბიეზენის შეფასებით, მეორე მსოფლიო ომის შემდეგ დაწყებული პარტიათა კონსტიტუციონალიზაციის პროცესი ეხება, როგორც პარტიული სისტემის - პარტიათა შორის კონკურენცია - ისე ინდივიდუალურად შიდა პარტიული ორგანიზაციის - შიდა პარტიული დემოკრატია - დონეს, ამდენად, კონსტიტუციებს პარტიულ სისტემასა და პარტიების ფუნქციონირებაზე მნიშვნელოვანი გავლენა შეიძლება ჰქონდეს (Van Biezen/ვან ბიეზენი, 2012).

საქართველოს პარტიული პოლიტიკითა და შიდაპარტიული დემოკრატიით დაინტერესებულ მკვლევართათვის პარტიათა კონსტიტუციონალიზაციის პროცესის შესწავლა საინტერესოა ცენტრალური, აღმოსავლეთ და სამხრეთ ევროპის მაგალითებზე, რადგანაც აღნიშნული რეგიონის ქვეყნებში პარტიათა კონსტიტუციონალიზაცია ავტორიტარულიდან დემოკრატიულ მმართველობაზე გადასვლის ეტაპზე მიმდინარეობდა. პარტიათა კონსტიტუციონალიზაციის პროცესში ერთ-ერთი პირველი მეორე მსოფლიო ომის შემდგომი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკა და იტალია იყვნენ. ფფრ-ს 1949 წლის კონსტიტუციაში პოლიტიკურ პარტიებთან დაკავშირებით გაკეთებულ ჩანაწერებში ხაზგასმული იყო, რომ პარტიათა შიდა ორგანიზაცია დემოკრატიულ პრინციპებთან შესაბამისი უნდა ყოფილიყო (Basic Law for the Federal Republic of Germany, Article 21).

ახალ დემოკრატიებში შიდაპარტიული დემოკრატიის სირთულეებზე ვან ბიეზენი 2003 წელს გამოცემულ წიგნშიც - „Political Parties in New Democracies Party Organization in Southern and East-Central Europe“ - საუბრობს, სადაც აღნიშნავს, რომ არადემოკრატიული რეჟიმიდან დემოკრატიულზე გადასვლის პერიოდში გაჩენილ პოლიტიკურ პარტიებს ორგანიზაციული სტრუქტურა არ გააჩნიათ, ან თუ გააჩნიათ ის ნაკლოვანია (Van Biezen/ვან ბიეზენი, 2003). ამავე წიგნში ის საბიუჯეტო დაფინანსებასთან დაკავშირებით საინტერესო დასკვნას გვთავაზობს, როდესაც ანხელო პანებიანკოს მოსაზრებას ავითარებს, რომლის მიხედვითაც სახელმწიფო სუბსიდიების ცენტრალიზებული ალოკაციის გამო პარტიებში ძალაუფლების ცენტრალიზაცია იზრდება, ამასთან ერთად კი, ბიეზენი ასკვნის, რომ სახელმწიფოზე უკიდურესი ფინანსური დამოკიდებულება პარტიათა „ოლიგარქიზაციას“ უწყობს ხელს (ვან ბიეზენი, 2003).

პარტიათა დემოკრატიულობაზე საუბრისას იგალ მერსელი წევრებს შორის ურთიერთობებს, პარტიულ სტრუქტურას და ინსტიტუტებს უსვამს ხაზს, რომლებიც შემდეგ მახასიათებლებს მოიცავენ: პარტიის წევრების უნარი აირჩიონ ან უკან გამოიწვიონ პარტიის ლიდერშიპი, საჯარო პოზიციებისთვის პარტიის ნომინანტების არჩევის უნარი, შიდაპარტიული უმცირესობის თანასწორი და პროპორციული წარმომადგენლობა და უმრავლესობაზე დაფუძნებული გადაწყვეტილებები (majority-rule voting), პარტიის პლატფორმასა და დღის წესრიგზე წევრების მხრიდან გავლენის მოხდენის უნარი, პარტიის წევრების ძირითადი უფლებების დაცვა, რომელშიც შედის პარტიის წევრის უფლება, სამართლიანი პროცედურების გარეშე შეუძლებელი იყოს მისი პარტიიდან გაძევება, პარტიის მენეჯმენტის გამჭვირვალობა, განსაკუთრებით ეს ეხება ფისკალურ ანგარიშვალდებულებას, პარტიის შიგნით სიტყვისა და გაერთიანების თავისუფლება (Mersel/მერსელი, 2006). მერსელისვე დაკვირვებით, შიდაპარტიულ დემოკრატიას ქვეყნის მასშტაბით დემოკრატიის დასაცავად კრიტიკული მნიშვნელობა აქვს, მისი აზრით, გრძელვადიან პერსპექტივაში პარტიათა არადემოკრატიული ხასიათი მათ გარე ქცევებსა და აქტივობებზეც იქონიებს უარყოფით გავლენას (მერსელი, 2006).

შიდაპარტიული დემოკრატიის ერთ-ერთი შემადგენელი ნაწილი

პოლიტიკის შემუშავების პროცესის ინკლუზიურობაა. მკვლევართა ნაწილის აზრით, აღნიშნულ პროცესში დემოკრატიზაცია უფრო ნაკლებ ინტენსიურია, თუმცა, მე-20 საუკუნეში პოლიტიკურ პარტიებში დაწყებული დემოკრატიზაციის პროცესი მასაც შეეხო. გაუიას აზრით, პოლიტიკურ პარტიებში პოლიტიკის შემუშავებისა და შემდეგ კანონმდებლების მიერ აღნიშნული პოლიტიკის ინტერპრეტირებისა და განხორციელების პროცესში წევრების მონაწილეობაზე გავლენას ახდენს სამი პოტენციური ფაქტორი: 1. ეროვნული კონტექსტი, როგორცაა მაგალითად საარჩევნო სისტემა, 2. პარტიათა იდეოლოგიური კუთვნილება და 3. საკანონმდებლო დონეზე პარტიათა სტატუსი და მათი მნიშვნელობა (Gauja/გაუია, 2013). საკუთარ ნაშრომში - „The politics of party policy from members to legislators“ - გაუია პარტიებში პოლიტიკის შემუშავების პროცესში წევრთა ჩართულობის ოთხ ტიპს გამოყოფს: 1. წევრების პირდაპირი ჩართულობა, 2. დელეგირებული ჩართულობა - წევრების წარმომადგენლები, რომლებიც მათი წარმდგენების სურვილებს მიყვებიან, 3. წარმომადგენლობითი ჩართულობა - დელეგატებისგან განსხვავებით წარმომადგენლებს გადაწყვეტილებების საკუთარი სურვილის მიხედვით მიღება შეუძლიათ და 4. კონსულტაციური ხასიათის ჩართულობა, როდესაც პოლიტიკის შემუშავების პროცესში წევრების მიერ წინადადებების წარდგენა და სამუშაო ჯგუფებთან და კომისიებთან კონსულტაციები მიმდინარეობს (გაუია, 2013).

შიდაპარტიულ დემოკრატიზაციაზე საუბრისას მთავარ საკითხთა შორის აუცილებლად ექცევა საჯარო თანამდებობებზე კანდიდატების ნომინირებისა და პარტიის ლიდერებისა და მმართველი ორგანოების არჩევის წესები. ერთ-ერთი პირველი, ვინც ამ საკითხს საფუძვლიანი ნაშრომი მიუძღვნა ალან ვეირია. ვეირის მიხედვით, რაც უფრო ღიაა ნომინაციის პროცესი, მით მეტად მიღწევადია შიდაპარტიული დემოკრატიაც. ვეირისვე აზრით, აღნიშნულ პროცესში ეფექტური კონტროლის განხორციელება აუცილებელია, რისთვისაც სამი მახასიათებლის არსებობაა საჭირო: 1. ნომინაციის პროცესი უნდა მიმდინარეობდეს დროის ფიქსირებულ და მოკლე პერიოდში, 2. პარტიის აქტივისტებს სრული კონტროლი უნდა ჰქონდეთ იმაზე, თუ პრაიმერის ელექტორატისთვის რომელი კანდიდატები იქნებიან შესარჩევად წარმოდგენილები და 3. პრაიმერის არჩევნებზე ყველა მხარეს უნდა

ჭქონდეს საკუთარი პოზიციების გამოხატვის შესაძლებლობა (Ware/ ვერი, 1979).

სქეროუს მიხედვით, ყველა პოლიტიკურ პარტიას საკუთარი ორგანიზაციული სტრუქტურა აქვს, რომლის შეფასებაც მისი ინკლუზიურობის, ცენტრალიზაციის, ინსტიტუციონალიზაციის, კანდიდატებისა და ლიდერების შერჩევისა და პარტიული პოლიტიკის შემუშავების პროცესის მიხედვით შეიძლება (Scarrow/სქეროუ, 2007).

კანდიდატების შერჩევის მეთოდების დეტალურ ანალიზს გვთავაზობენ ჰაზანი და რაჰატი, რომლებიც კანდიდატთა შერჩევის მეთოდებს ოთხი განზომილებიდან აფასებენ, ესენია: 1. კანდიდატურა, 2. სელექტორატი (selectorate), 3. დეცენტრალიზაცია და 4. დანიშვნისა და ხმის მიცემის სისტემები. იმის მიხედვით, თუ ვის შეუძლია საკუთარი კანდიდატურის წამოყენება ავტორები გვთავაზობენ 3 სცენარს, რომელიც ინკლუზიურობიდან ექსკლუზიურობისკენ მერყეობს. ყველაზე ინკლუზიურობის შემთხვევაში საკუთარი კანდიდატურის წამოყენება ყველა მოქალაქეს შეუძლია, იმის განურჩევლად არის თუ არა ის პარტიის წევრი, ზომიერი ინკლუზიურობის პირობებში საკუთარი კანდიდატურის წამოყენება პარტიის ნებისმიერ წევრს შეუძლია, ექსკლუზიურობის შემთხვევაში მხოლოდ წევრობა საკმარისი არაა და დამატებითი მოთხოვნების შესრულებაც სავალდებულო ხდება (Hazan & Rahat/ ჰაზანი & რაჰატი, 2010) სელექტორატი იმ ინდივიდების ერთობლიობაა, რომელიც კანდიდატებს არჩევს, აქ ავტორები ხუთ მეთოდს გამოყოფენ: 1. ყველაზე ინკლუზიური შემთხვევა, როდესაც კანდიდატებს ირჩევს საარჩევნო ელექტორატი, 2. მაღალი ინკლუზიურობის სელექტორატი, როდესაც კანდიდატებს პარტიის წევრები ირჩევენ, 3. შუალედური ინკლუზიურობის (in-between) სელექტორატი, როდესაც კანდიდატებს ირჩევენ დელეგატები, 4. მაღალი ექსკლუზიურობის სელექტორატი - არჩევანს აკეთებს პარტიული ელიტა, 5. ყველაზე ექსკლუზიური სელექტორატი - გადაწყვეტილებას იღებს ერთი ლიდერი (ჰაზანი & რაჰატი, 2010). საბოლოო ჯამში, რაც უფრო მეტ ადამიანს აქვს კანდიდატების შერჩევის პროცესში მონაწილეობის მიღების საშუალება, მით მეტად ინკლუზიურია პროცესი და შიდაპარტიული დემოკრატია უფრო უკეთაა უზრუნველყოფილი.

ლიდერების შერჩევაზე აკეთებენ აქცენტს შუმახერი და ჯიჯერი, რომელთა მიხედვითაც, არსებობს ლიდერების შერჩევის ექვსი განსხვავებული ვარიანტი. წევრების მიერ შერჩევა, დელეგატების მიერ, პარტიული საბჭოს მიერ, პარტიის საპარლამენტო ჯგუფის მიერ, პარტიის ლიდერის მიერ პირდაპირ შერჩევა და ზემოხსენებული ხუთის კომბინაცია. ყველაზე ხშირია ლიდერების შერჩევის პირდაპირი წესი, რიგითი წევრების მიერ, ასევე ხშირია დელეგატების მიერ შერჩევა, ხოლო იშვიათია პარტიული საბჭოსა და საპარლამენტო ჯგუფის მიერ შერჩევა (Schumacher & Giger. / შუმახერი & ჯიჯერი, 2017).

პარტიათა შიდა დემოკრატიაზე ბევრი ფაქტორი ახდენს გავლენას, ზემოთ განხილულ შემთხვევებში ავტორები ძირითადად პარტიის შიგნით მიმდინარე პროცესებზე და ორგანიზაციულ სტრუქტურაზე აკეთებდნენ მთავარ აქცენტს, თუმცა, არსებობს გარეშე ფაქტორებიც, რომელთა უგულვებელყოფაც შიდაპარტიულ დემოკრატიაზე მსჯელობისას მიზანშეწონილი არ უნდა იყოს. ასეთ საკვანძო გარეშე ფაქტორს წარმოადგენს საარჩევნო სისტემა. ჯონ ვილდგენი იტალიის საარჩევნო სისტემის ანალიზისას ასკვნის, რომ ქვეყანაში მოქმედი პრეფერენციული პროპორციული საარჩევნო სისტემის პირობებში, იტალიაში „ორმაგი არჩევნები“ ტარდება, სადაც არა მხოლოდ პარტიათა შორის კონკურენცია, არამედ, იმავდროულად, შიდა პარტიული შეჯიბრებაც მიმდინარეობს (Wildgen/ვილდგენი, 1985). ამდენად, თუ აღნიშნულ ლოგიკას გავყვებით, შიდაპარტიულ დემოკრატიაზე განსხვავებულ საარჩევნო სისტემებს განსხვავებული გავლენის მოხდენა შეუძლიათ. მაიკლ მარშის პოზიციით, ამერიკულის მსგავს მაჟორიტარულ საარჩევნო სისტემებში პრაიმერები ასრულებენ პრეფერენციული ხმის მიცემის წესის ზოგიერთ ფუნქციას, მაშინ როცა იაპონიაში მოქმედი ერთი არაგადაცემადი ხმის სისტემა პარტიულ არჩევანს ასევე აერთიანებს კანდიდატის არჩევის ელემენტთან (Marsh/მარში, 1985). მარში ასევე გამოყოფს ორი სახის პრეფერენციულ საარჩევნო სისტემას: 1. როცა ამომრჩეველი დამოუკიდებლად წყვეტს პარტიის სიდან რომელი კანდიდატი მიიღებს მანდატს და 2. როცა ამომრჩეველის სურვილებისა და პარტიის მიერ შედგენილი რიგითი თანმიმდევრობის ერთგვარი კომბინაცია ხდება (მარში, 1985).

საინტერესო დაკვირვებას გვთავაზობს ჯანლუკა პასარელი,

რომელიც აბსოლუტურად იზიარებს იმ აზრს, რომ ხმის მიცემის პრეფერენციულ სისტემაში შიდაპარტიული კონკურენცია სხვა საარჩევნო სისტემებისგან განსხვავებულია (Passarelli/პასარელი, 2020). მსოფლიოში გავრცელებული პრეფერენციული ხმის მიცემის წესზე დაფუძნებულ საარჩევნო სისტემებზე დაკვირების შედეგად, ის მიდის ჩვენთვის მნიშვნელოვან შემდეგ დასკვნამდე, მანდატის მისაღებად პრეფერენციული საარჩევნო სისტემის პირობებში ერთი და იმავე პარტიის კანდიდატები კონკურენტ პარტიებთან ერთად ერთმანეთსაც ეჯიბრებიან. დაკვირვებების შემდეგ გამოჩნდა, რომ პოლიტიკური ელიტის განახლების პროცესზე პრეფერენციული საარჩევნო სისტემა ახდენს გავლენას, პროპორციული საარჩევნო სისტემის „ღიაობის“ გაზრდასთან ერთად, პოლიტიკური ელიტის განახლებაც უფრო აქტიურად მიმდინარეობს (პასარელი, 2020). მსგავს ლოგიკას ავითარებს კარმენ ორტეგა ვილოდრესიც, რომელიც ასკვნის, რომ პრეფერენციული საარჩევნო სისტემის პირობებში შიდაპარტიული კონკურენცია დაბალია ხისტი (rigid) სიების შემთხვევაში, საშუალოა პერსონალური ხმის მიცემის სისტემებში (მრავალჯერადი, ბლოკური ხმის მიცემა, შეზღუდული ხმის მიცემა და ერთი ხმის სისტემები: ერთი გადაცემადი და ერთი არაგადაცემადი ხმის მიცემის სისტემები) და ყველაზე მაღალია მოქნილი სიების შემთხვევაში (Villodres/ვილოდრესი, Preference voting systems and their impact on the personalisation of politics).

პოლიტიკის მეცნიერებაში ფართოდ დამკვიდრებული მოსაზრებით, არსებობს მნიშვნელოვანი კორელაცია პარტიების დაფინანსების მოდელსა და შიდაპარტიული დემოკრატიის ხარისხს შორისაც. შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარებისთვის ყველაზე ხელსაყრელი სახალხო დაფინანსების მოდელია, რომელიც გულისხმობს პარტიის მხარდამჭერების მიერ პოლიტიკური ორგანიზაციის პირდაპირ დაფინანსებას, რაც ზრდის ამომრჩევლის ნდობას პარტიის მიმართ და ხელს უწყობს ამომრჩევლის მიერ დახარჯული ფულის სასურველ პარტიებთან/კანდიდატებთან დაუბეგრავად მიტანას (Ward, et al/ ვარდი და სხვები 2003). თუმცა, სახალხო დაფინანსების მოდელს პარტიათა მხოლოდ მცირე ნაწილი იყენებს, მათი უმრავლესობისთვის კი ფინანსების მოპოვების ძირითადი გზა მსხვილი კონტრიბუტორების შემოწირულობები, ან სახელმწიფოს მიერ გამოყოფილი საბიუჯეტო

რესურსებია. წინასაარჩევნო კამპანიების გაზრდილი ხარჯი პარტიებს აიძულებს, მიიღონ კონტრიბუციები მსხვილი შემომწირველებისგან (Snipe/სნაიპი 2003), რაც დონორებს პარტიული პოლიტიკის შემუშავებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესზე მნიშვნელოვან ბერკეტს აძლევს. რაც შეეხება სახელმწიფოს მიერ პარტიებისთვის გამოყოფილ ალოკაციებს, ის ხელს უწყობს პარტიების ცენტრალიზაციას, რადგან ხშირ შემთხვევაში საბიუჯეტო დაფინანსებას პარტიების მიმართ კონკრეტული ფინანსური ვალდებულებები არ მოყვება და ფინანსების განაწილებაზე მონოპოლია პარტიის ლიდერს ან ლიდერთა მცირერიცხოვან ჯგუფს აქვს. პარტიის გავლენიანი ჯგუფის მიერ ფინანსების სრული კონტროლი პარტიის ფინანსური გამჭვირვალობის ხარისხის შემცირებაში აისახება, რაც, საბოლოოდ, პარტიების „ოლიგარქიზაციით“ და პარტიის შიგნით დემოკრატიზაციის ხარისხის გაუარესებით სრულდება.

I. 2 მეთოდოლოგია

ჭავჭავაძის ცენტრის მიერ 2020 წელს ჩატარებულმა კვლევამ „შიდაპარტიული დემოკრატია საქართველოში“ დაადგინა, რომ ქვეყანაში მოქმედი პოლიტიკური პარტიები შიდაპარტიული დემოკრატიის მწვავე დეფიციტს განიცდიან, თუმცა, აღნიშნული დეფიციტის გამომწვევი მიზეზები კვლევის საგანს არ წარმოადგენდა და, შესაბამისად, იდენტიფიცირებული არ ყოფილა. ამასთანავე, შიდაპარტიულ დემოკრატიასთან დაკავშირებით ქვეყანაში აკადემიური ლიტერატურის სიმწირეც შეინიშნება, რაც აღნიშნული საკითხის კვლევას კიდევ უფრო მეტ აქტუალურობას სძენს.

წინამდებარე კვლევის მიზანს საქართველოს პოლიტიკურ პარტიებში შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტის გამომწვევი მიზეზების იდენტიფიცირება წარმოადგენს. აქედან გამომდინარე საკვლევი კითხვა შემდეგნაირად ფორმულირდება:

რა კონკრეტული ფაქტორები განაპირობებენ საქართველოს პოლიტიკურ პარტიებში შიდაპარტიული დემოკრატიის დაბალ ხარისხს?

დასახული მიზნის შესასრულებლად და დასმულ კითხვაზე პასუხის გასაცემად კვლევა (ტაფტოლოგიის თავიდან ასაცილებლად, ხომ არ ჯობს გამოვიყენოთ ტერმინი „ნაშრომი“ ვითვალისწინებთ რჩევას, იყოს ნაშრომი.) ეყრდნობა თვისებრივი კვლევის მეთოდებს. ის ორ ეტაპად მიმდინარეობდა. პირველ ეტაპზე, შიდაპარტიული დემოკრატიის მახასიათებლების, მისი განვითარების ხელშემწყობი და ხელისშემშლელი ფაქტორების იდენტიფიცირებისთვის შესწავლილ იქნა საკვლევი საკითხის ირგვლივ არსებული აკადემიური ლიტერატურა. მეორე ეტაპზე კი გამოიკვეთა ის კონკრეტული მიზეზები, რომელიც საქართველოში შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტს განაპირობებს, აღნიშნული მიზეზების იდენტიფიცირებისთვის კი შემდეგი ნაბიჯები გადაიდგა: 1) საქართველოში მოქმედი ძირითადი პოლიტიკური პარტიების წესდებების შესწავლა. პარტიები შეირჩინენ შემდეგი პრინციპით - 2021 წლისთვის პოლიტიკურ პარტიას მინიმუმ ორი ყრილობა მაინც უნდა ჰქონოდა გამართული, რაც შიდა ორგანიზაციული სტრუქტურის

ჩამოყალიბებისთვისა და წევრების/მხარდამჭერების მობილიზებისთვის გონივრულ ვადას წარმოადგენს და პარტიას საპარლამენტო მანდატების მოსაპოვებლად საკმარისი მხარდაჭერა უნდა ჰქონოდა; 2) საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების ისეთი აქტივობების გაანალიზება, როგორიცაა კანდიდატების შერჩევა, ლიდერების არჩევა, შიდაპარტიული ორგანოების დაკომპლექტება, ფინანსური აქტივების მიღების, განკარგვისა და კონტროლის პროცესი; 3) საქართველოს კანონმდებლობით პოლიტიკური პარტიების რეგულირების გამოკვლევა და 4) საქართველოს საარჩევნო სისტემისა და ქვეყანაში შიდაპარტიულ დემოკრატიაზე მისი შესაძლო გავლენის შესწავლა.

აღსანიშნავია, რომ შერჩეულ პარტიებს შორის ორს - ევროპულ საქართველოსა და საქართველოს პატრიოტთა ალიანსს საკუთარ ვებ-გვერდებზე კვლევის მიმდინარეობის ეტაპზე საკუთარი პარტიების წესდებები არ აღმოაჩნდათ განთავსებული, საქართველოს რესპუბლიკური პარტიის ვებ-გვერდი არ ფუნქციონირებდა, ერთიან ნაციონალურ მოძრაობას კი წესდების 2013 წლის რედაქცია ჰქონდა გამოქვეყნებული. აღნიშნულ პარტიებთან დაკავშირების შემდეგ, ჭავჭავაძის ცენტრმა ევროპული საქართველოს, რესპუბლიკური პარტიისა და ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წესდებების მიღება მოახერხა. რაც შეეხება პატრიოტთა ალიანსს, დაკავშირების მიუხედავად, პატრიოტთა ალიანსისგან ჭავჭავაძის ცენტრმა თანამშრომლობის შეთავაზებაზე დადებითი პასუხი ვერ მიიღო.

თავი II

II. 1 ლიდერის როლი და მისი გავლენა შიდაპარტიულ დემოკრატიაზე

უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე მსოფლიოს ბევრი სახელმწიფოს მაგალითზე დაკვირვება ცხადჰყოფს, რომ პოლიტიკური პარტიების როლი მნიშვნელოვნად შემცირდა. პარტიების დაკნინების პარალელურად კი პოლიტიკური პროცესები პერსონალიზებული, კონკრეტულ ლიდერებზე ორიენტირებული გახდა (Garzia/გარსია, 2011). ზემოხსენებული ტენდენცია მკაფიოდ „ცივი ომის“ დასრულებისა და სსრკ-ს დანგრევის შემდეგ გამოიკვეთა, როდესაც ბიპოლარული მსოფლიო წესრიგის მოშლამ პოლიტიკურ პროცესებზე იდეოლოგიისა და პარტიული მანიფესტის გავლენა შეასუსტა. უოტენბერგმა (1991) საერთაშორისო პოლიტიკაში ახალი ეპოქის დაწყება დააანონსა, რომლის მთავარი მახასიათებელი კანდიდატებზე ორიენტირებული (Candidate centered) მიდგომა იყო. ზემოხსენებული თეორიის განვითარება 1952-1988 წლების ამერიკის შეერთებული შტატების საპრეზიდენტო არჩევნებზე ემპირიულმა დაკვირვებამ განაპირობა, რომელმაც გამოავლინა, რომ ყოველი მომდევნო არჩევნებისას, ამერიკელი მოქალაქეების პოლიტიკური პრეფერენციის განსაზღვრაზე სულ უფრო მზარდი ეფექტი ჰქონდა კონკრეტული კანდიდატის ინდივიდუალურ თვისებებს, ხოლო პარტიის იდეოლოგიისა და პროგრამის გავლენა თანდათანობით მცირდებოდა. მსგავსი პერსონიფიცირებული საარჩევნო კამპანიები არამხოლოდ საპრეზიდენტო, არამედ საპარლამენტო რესპუბლიკებისთვისაც დამახასიათებელია, სადაც პრემიერ-მინისტრობის კანდიდატები წინასაარჩევნო სტრატეგიას იმგვარად გვემავნ, რომ განსაკუთრებული ყურადღების ცენტრში მათი პიროვნული მახასიათებლები მოექცეს. რაჰატისა და შაპირას (2007) განმარტებით, პოლიტიკის პერსონალიზაცია გულისხმობს პროცესს, რომელშიც

ინდივიდუალური აქტორების პოლიტიკური წონა დროთა განმავლობაში იზრდება, ხოლო პოლიტიკური ჯგუფის კი პირიქით, მცირდება (Rahat & Shafer/რაჰატი & შეფერი, 2007).

მანინი (1997) მიიჩნევდა, რომ ამომრჩევლები დღეს უმეტესად ხმას აძლევენ არა კონკრეტულ პარტიასა და მის იდეოლოგიურ პლატფორმას, არამედ კონკრეტულ ლიდერს (Manin/მანინი, 1997). შესაბამისად, პარტიებმა დაკარგეს კოლექტიური იდენტობა და გზა დაუთმეს პოლიტიკისა და სოციალური ცხოვრების პერსონალიზაციას. კარვონენი (2010) პოლიტიკის პერსონალიზაციის ხუთ ძირითად მახასიათებელს გამოყოფს:

1. სახელმწიფო ინსტიტუციები არა კოლექტიურ იდენტობას, არამედ ინდივიდუალიზმს აძლიერებს;
2. საარჩევნო კამპანიები ორიენტირებულია კონკრეტულ ინდივიდებზე;
3. პოლიტიკური პროცესი აღქმულია არა როგორც კოლექტიური ინტერესების ორგანიზების მცდელობა, არამედ როგორც პოლიტიკურ ლიდერებს შორის კონკურენცია;
4. ამომრჩეველთა პოლიტიკური პრეფერენციები კონკრეტული პოლიტიკოსების შეფასებით განისაზღვრება;
5. პოლიტიკური ძალაუფლების განაწილებაზე განსაკუთრებულ გავლენას ლიდერის ინდივიდუალური მახასიათებლები ახდენს (Karvonen/კარვონენი, 2010).

პოლიტიკურ ლიდერზე დამოკიდებულების ფენომენი პირველად მაქს ვებერმა (1918) შეისწავლა, რომელმაც ლიდერის მიერ მართული დემოკრატის ცნება განავითარა. ვებერის დაკვირვებით, ამ პერიოდის პარტიებს სულ უფრო უჭირდათ ამომრჩევლის მობილიზაცია საერთო იდეოლოგიის ირგვლივ, ამიტომ მათ აქტიურად დაიწყეს ქარიზმატული ლიდერების გამოყენება. ვებერის შეფასებით, პოლიტიკურ ლიდერებს სხვებისგან „განსაკუთრებული პოლიტიკური ინსტინქტი“ გამოარჩევს და მათი კარიერა არა ბიუროკრატიული დაწინაურებების, არამედ პოლიტიკური ბრძოლების შედეგად ყალიბდება (Weber/ვებერი, 1978).

ვებერი აღნიშნავდა, რომ პარტიისა და საკანონმდებლო ორგანოს მიმართ ქარიზმატული ლიდერის ანგარიშვალდებულების მაღალი ხარისხი პოლიტიკურ პროცესს ამდიდრებს, ხოლო საწინააღმდეგო შემთხვევაში ყალიბდება ე.წ. „პასიური დემოკრატია“, რომელშიც პოლიტიკურ პროცესებზე მონაპოვია პროფესიონალ პოლიტიკოსებს აქვთ, მათი ძირითადი მოტივაცია კი საკუთარი ინდივიდუალური ინტერესების გატარებაა (ვებერი, 1978).

გარსიას (2011) შეფასებით, მეოცე საუკუნის მეორე ნახევარში პოლიტიკის პერსონალიზაცია ორმა ძირითადმა ფაქტორმა - პოლიტიკური კომუნიკაციის საშუალებების განვითარებამ და ტრადიციული, იდეოლოგიაზე დაფუძნებული პოლიტიკის ეროზიამ - განაპირობა. მასმედიის განვითარებამ, განსაკუთრებით კი ტელევიზიის გლობალურად გავრცელებამ პოლიტიკის გაშუქების პროცესი შეცვალა და თუ ადრე განსაკუთრებული ყურადღება პარტიასა და მის საარჩევნო პროგრამას ექცეოდა, დღეს ტელევიზიათა ყურადღების ცენტრში კონკრეტული ლიდერები და მათი პიროვნული მახასიათებლები ექცევა (Mughan/მუღანი, 2000). პოლიტიკის პერსონალიზაციას ხელი საკუთრივ პარტიებმაც შეუწყვეს, რომლებმაც გასული საუკუნის შუა ხანებში ტრანსფორმაციის მტკივნეული პროცესი გაიარეს. ტრადიციული სოციალური პარტიების დაკნინებამ მათ ახალ გარემოსთან ადაპტირება და ამომრჩევლის უფრო ფართო სპექტრზე გასვლა აიძულა. შესაბამისად, მასებზე ორიენტირებული პარტიები (Mass parties) 1970-იან წლებში მრავალწახნაგოვანმა პარტიებმა (Catch-all parties) ჩაანაცვლა, რომელმაც პოლიტიკურ პროცესებში ინდივიდუალიზმის გაძლიერებას შეუწყო ხელი (გარსია, 2011).

მეორე მსოფლიო ომის შემდგომ პერიოდში პოლიტიკური ლიდერები ძირითადად პარტიის პლატფორმის გამხმოვანებლები იყვნენ, ხოლო თანამედროვე მსოფლიოში პოლიტიკური პარტიები ლიდერზე დამოკიდებული სუბიექტები გახდნენ. მთავრობები სულ უფრო ხშირად არიან გაიგივებულნი არა მმართველ პარტიასთან, არამედ მის ლიდერთან, რომელსაც ხშირად პრემიერ-მინისტრი ან პრეზიდენტი წარმოადგენს. ამომრჩევლისთვის ლიდერის ქარიზმა, მისი რეპუტაცია და სანდოობა უფრო მნიშვნელოვანია, ვიდრე მისი ინტელექტუალური

შესაძლებლობები, იდეოლოგია და პოლიტიკური გამოცდილება. მაკალისტერის (2003) შეფასებით, თანამედროვე არჩევნები დიდწილად პარტიის ლიდერთა იმიჯზე რეფერენდუმის სახეს ატარებს (Macalister/ მაკალისტერი, 2003). ქარიზმატული ლიდერები ამომრჩეველთა ფართო მასების მხარდაჭერის მოსაპოვებლად საკუთარ წინასაარჩევნო კამპანიას კონკრეტულ იდეოლოგიურ პლატფორმაზე კი არ აფუძნებენ, არამედ ცდილობენ მათთვის სხვადასხვა, მათ შორის ერთმანეთთან შეუთავსებელ იდეოლოგიათა შერწყმის შეთავაზებას, რაც მათ მოქნილობასა და საჭიროების შემთხვევაში პოლიტიკური მანევრირების შესაძლებლობას აძლევს (Pakulski & Higley/პაკულსკი & ჰიგლი, 2008).

პანებიანკო (1988) ყურადღებას ამახვილებდა იმ ფაქტზე, რომ პარტიის ლიდერები ერთმანეთისგან განხვავდებიან მათი ძალაუფლების ხარისხით. ზოგიერთ პარტიაში ლიდერს აბსოლუტური ძალაუფლება აქვს და მას შეუძლია გავლენა მოახდინოს თითქმის ყველა მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღებაზე, მათ შორის კანდიდატების შერჩევაზე, პარტიული პროგრამის შემუშავებასა და პარტიის მიზნების ფორმულირების საკითხზე, ხოლო ზოგიერთ პარტიაში აქტივისტები, სავაჭრო კავშირები და პარტიის რიგითი წევრები ლიდერის გავლენას მნიშვნელოვნად ზღუდავენ (Panebianco/პანებიანკო, 1988). შესაბამისად, პარტიები მათი ლიდერის გავლენის ხარისხის მიხედვით ორ ნაწილად იყოფა: ლიდერის მიერ დომინირებად (Leadership dominated) და აქტივისტების მიერ დომინირებად (Activist dominated) პარტიებად (Schumacher et al/შუმახერი და სხვები, 2013).

II. 2 ლიდერზე დამოკიდებულების ფენომენი საქართველოში

საქართველოში პოლიტიკური პარტიები ინსტიტუციურად სუსტი ორგანიზაციებია. ბეიდერის (2010) მიხედვით, ქართული პოლიტიკური პარტიების ორგანიზაციული სისუსტე გამოწვეულია შიდა (პარტიების ჩანასახოვანი მდგომარეობა, აქტიური წევრების მცირე რაოდენობა, უკიდურესი ცენტრალიზაცია და ლიდერზე დამოკიდებულება) და გარე (პარტიასა და ამომრჩეველს შორის უკიდურესად სუსტი უკუკავშირი) პრობლემების ერთობლიობით (Bader/ბეიდერი, 2010). ფორესტი და სხვები (2010) მიიჩნევენ, რომ ქართული პოლიტიკური პარტიების ინსტიტუციონალურ სისუსტეს სხვადასხვა ფაქტორების ერთობლიობა განაპირობებს, მათ შორის:

1. საბჭოთა კავშირისგან მემკვიდრეობით მიღებული პოლიტიკური სტრუქტურები და კულტურული ტრადიციები, რომლებიც სახელმწიფოსა და მმართველ პარტიას შორის ზღვარს აუფერულებს;
2. პარტიების დაფინანსების კუთხით არსებული შეზღუდვები მმართველ პარტიასა და ოპოზიციურ პარტიებს შორის ფინანსური რესურსების არათანაბარ განაწილებას განაპირობებს;
3. პარტიების უკიდურესი ცენტრალიზაცია, რაც რეგიონებში ეფექტური წინასაარჩევნო კამპანიის ჩატარებას ხელს უშლის;
4. მმართველი პარტიის დომინაცია საკანონმდებლო ორგანოში, რაც მას სხვა პარტიებთან შეუთანხმებლად საკუთარი პოლიტიკური დღის წესრიგის გატარების შესაძლებლობას აძლევს. მმართველი პარტიის დომინაცია ხელს უშლის კონტროლის და ბალანსის სისტემის ეფექტურობას;
5. პარტიის პროგრამაზე და პოლიტიკურ საკითხებზე ნაკლებად ფოკუსირება და გრძელვადიანი სტრატეგიული მიდგომების არარსებობა;
6. მოუწესრიგებელი შიდაპარტიული სტრუქტურა და შიდაპარტიული დემოკრატიის არარსებობა კონკრეტულ ინდივიდებზე დამყარებული პარტიების გაძლიერებას განაპირობებს (Foresti, Welton, Jijelava/ფორესტი, ველტონი, ჯიჯელავა, 2010).

ბეიდერის (2010) შეფასებით, ქართული პოლიტიკური სისტემა შეიძლება დახასიათდეს, როგორც „სუსტი მრავალპარტიული სისტემა დომინანტი პარტიით“. ქართული პოლიტიკური პარტიების სიცოცხლის ხანგრძლივობა მცირეა, ისინი არჩევნებში დამარცხებისთანავე

ქრებიან და მათ ამორფული იდეოლოგიის მქონე, არაპროგრამული და ლიდერებზე დამოკიდებული პარტიები ანაცვლებენ (ბეიდერი, 2010). ქართული პოლიტიკური პარტიების უმრავლესობას არა კონკრეტული იდეოლოგია, არამედ მხოლოდ არჩევნებში გამარჯვების მიზანი აერთიანებს (ბეიდერი, 2010).

თანამედროვე საქართველოში პარტიული სისტემის სისუსტეს და შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტს დიდწილად სწორედ ლიდერზე დამოკიდებულების ფენომენი განაპირობებს. ნოდისა და სქოლტბახის (2006) შეფასებით, ქართულ პარტიებს ახასიათებს სუსტი ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელშიც ძალაუფლება ზემოდან ქვემოთ (Top down) გადაეცემა და არა პირიქით. ქართული პარტიები იმართება კონკრეტული ლიდერის ან ლიდერთა ვიწრო წრის მიერ და გადაწყვეტილების მიღების პროცესებში პარტიის რიგითი წევრების (Grassroots members) ჩართულობა ნომინალურია. საქართველოში ამომრჩევლის პოლიტიკურ პრეფერენციას არა პარტიის პროგრამა ან იდეოლოგია, არამედ კონკრეტული ლიდერის პერსონალური თვისებები განსაზღვრავს (Nodia & Scholtbach/ნოდია & სქოლტბახი, 2006). შესაბამისად, პარტიები იქმნება კონკრეტული ქარიზმატული ლიდერის გარშემო, ამომრჩეველი ენდობა არა პარტიას, არამედ მის ლიდერს. ქარიზმატული ლიდერი პოლიტიკური პროცესების ცენტრშია და ჯერ საკუთარი პარტიის, ხოლო ხელისუფლების სათავეში აღმოჩენის შემდეგ მთელი პოლიტიკური ძალაუფლების მონოპოლიზებას ახდენს. ქარიზმატულ ლიდერსა და ამომრჩეველს შორის იქმნება ემოციაზე დაფუძნებული პერსონალური კავშირი, რომელსაც არარაციონალური ხასიათი აქვს და მხოლოდ ლიდერისადმი პირად ერთგულებას ეფუძნება (დოლიძე, 2017). იქიდან გამომდინარე, რომ პოლიტიკური პროცესების პერსონალიზაცია დამახასიათებელია არა მხოლოდ ავტორიტარული რეჟიმებისთვის, არამედ კონსოლიდირებული დემოკრატიებისთვისაც, მწირი დემოკრატიული ტრადიციის მქონე საქართველოსთვის პერსონალიზაციის პროცესმა მთლიანად დაიპყრო პოლიტიკა და პარტიულ პოლიტიკას განვითარების საშუალება მოუსპო.

პერსონალიზებული პოლიტიკური პროცესის განვითარებაზე მნიშვნელოვანი გავლენა იქონია სტალინის მმართველობის პერიოდმა, როდესაც ქვეყანაში პიროვნების კულტი ჩამოყალიბდა. დოლიძის

(2017) შეფასებით, პოლიტიკის პერსონიფიკაციას ხელი სსრკ-ს ბოლო წლებში მიმდინარე დენისტიტუციონალიზაციის პროცესმაც შეუწყო. (დოლიძე, 2017). ინსტიტუციური კონტროლის შესუსტების პარალელურად, წინა საფეხურზე გადმონაცვლა პიროვნულმა ფაქტორმა, რომელიც პოლიტიკური მობილიზაციის ცენტრად იქცა და პოლიტიკური ინსტიტუტების, მათ შორის პარტიების ადგილი დაიკავა. 1980-იანი წლების მეორე ნახევარში საქართველოში გააქტიურდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა, რომელიც კონკრეტული დისიდენტების სახელთან იყო დაკავშირებული. საზოგადოების ფართო ფენებში განსაკუთრებული ნდობა მოიპოვა ზვიად გამსახურდიამ, რომელმაც ქარიზმატული თვისებების გამო ამომრჩევლის მხარდაჭერა მოიპოვა და 1991 წლის საპრეზიდენტო არჩევნებში დამაჯერებლად გაიმარჯვა.

პოლიტიკური პროცესები პერსონიფიცირებული იყო ყოველი მომდევნო ხელისუფლების მმართველობის პირობებშიც. გამსახურდიას ხელისუფლების დამხობისა და სამოქალაქო ომის დასრულების შემდეგ საქართველოში ჩამოსულმა ედუარდ შევარდნაძემ ჯერ სამხედრო საბჭოს გაუქმება, ხოლო შემდეგ აბსოლუტური ძალაუფლების მონოპოლიზება შეძლო. შევარდნაძე ნაკლებად განეკუთვნებოდა კლასიკური ქარიზმატული ლიდერის კატეგორიას, თუმცა, მის გარშემო პოლიტიკური ძალაუფლების თავმოყრა მისმა პოლიტიკურმა წარსულმა განაპირობა. ხანგრძლივი პოლიტიკური კარიერის განმავლობაში დაგროვილი გამოცდილება და კონტაქტები მას ძალაუფლების კონსოლიდაციასა და საკუთარი პარტიის - „მოქალაქეთა კავშირის“ ჩამოყალიბებაში დაეხმარა, რომელსაც პოლიტიკურ ძალაუფლებაზე მონოპოლია ზედიზედ ორი ვადის განმავლობაში (1995-2003) ჰქონდა.

გამონაკლისი არც შემდგომი ხელისუფლებები აღმოჩნდა. 2003 წელს ვარდების რევოლუციის შემდეგ ხელისუფლების სათავეში ერთიანი ნაციონალური მოძრაობა აღმოჩნდა, რომლის ლიდერი ქარიზმატული მიხეილ სააკაშვილი იყო. წინამორბედების მსგავსად მანაც საკუთარი პერსონის ირგვლივ მთელი პოლიტიკური ძალაუფლების მონოპოლიზება მოახერხა. ერთიანი ნაციონალური მოძრაობა 2012 წელს არჩევნებში ახლადჩამოყალიბებულ პარტიასთან - „ქართულ ოცნებასთან“

დამარცხდა და ოპოზიციაში გადაინაცვლა, თუმცა, დღესაც, ოპოზიციაში ყოფნის 9 წლის თავზე, ერთიანი ნაციონალური მოძრაობის ამომრჩევლის ერთგულებას პარტიის მიმართ მისი ლიდერის აქტიურ პოლიტიკაში დარჩენა და მასთან ემოციური კავშირი განაპირობებს.

2012 წელს „ქართული ოცნების“ ერთ-ერთი წინასაარჩევნო დაპირება ლიდერებზე ორიენტირებული პოლიტიკის საბოლოოდ დასრულება იყო, თუმცა, პარტიის არსებობა და მისი შემდგომი განვითარება მთლიანად მისი ლიდერის - ბიძინა ივანიშვილის პოლიტიკურ და ფინანსურ კაპიტალზე იყო დამოკიდებული. ხელისუფლებაში ყოფნის დაახლოებით ერთი წლის თავზე, ივანიშვილმა პრემიერ-მინისტრის თანამდებობა ოფიციალურად დატოვა, თუმცა, კულისებიდან არაფორმალურად მართვა გააგრძელა. სხვადასხვა საერთაშორისო ორგანიზაციისა თუ დამოუკიდებელი ექსპერტის შეფასებით, ივანიშვილი დღემდე გადამწყვეტი გავლენით სარგებლობს და ხელისუფლებაში მყოფი მაღალი თანამდებობის პირები ყველა მნიშვნელოვან საკითხს სწორედ მასთან ათანხმებენ. სწორედ ივანიშვილი იღებს კონკრეტული პირების თანამდებობაზე დანიშვნის გადაწყვეტილებას. Georgia's bumpy road to democracy: On track for a European future? 2021, Eurpean Union). მწვავე პოლიტიკური კრიზისებისას ან მაშინ, როდესაც წინ მნიშვნელოვანი არჩევნები იყო და პარტიის რეიტინგი მცირდებოდა, ივანიშვილი კულისებიდან გამოდიოდა და ელექტორატის მობილიზაციას პოლიტიკურ პროცესებში აქტიურად ჩართვით ცდილობდა. ზემოხსენებულის კლასიკური მაგალითია 2018 წლის საპრეზიდენტო არჩევნები, როდესაც ქართული ოცნების მხარდაჭერილი კანდიდატის - სალომე ზურაბიშვილის რეიტინგი უკიდურესად დაბალი იყო და არსებობდა არჩევნებში ოპოზიციური კანდიდატის გამარჯვების მაღალი ალბათობა, ივანიშვილი ხილულ პოლიტიკაში კიდევ ერთხელ დაბრუნდა. მწვავე პოლიტიკური კრიზისი განვითარდა 2019 წლის ზაფხულშიც, როდესაც მმართველმა პარტიამ ანტისაოკუპაციო აქცია დისპროპორციული ძალის გამოყენებით დაშალა, რამაც მოქალაქეებში მძლავრი საპროტესტო მუხტი გააჩინა. დემონსტრანტები შს მინისტრის გადადგომას, პოლიტპატიმრების გათავისუფლებასა და საარჩევნო სისტემის შეცვლას ითხოვდნენ. პოლიტიკური კრიზისის განსამუხტად ივანიშვილი კიდევ ერთხელ გამოვიდა ჩრდილიდან და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნების

სრულად პროპორციული სისტემით ჩატარება დააანონსა, რაც მიზნად დროის მოგებასა და საპროტესტო მუხტის განელებას ისახავდა. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებშიც ივანიშვილი პარტიის თავმჯდომარედ მოგვევლინა, თუმცა, მან საპარლამენტო სიაში ყოფნა არ ისურვა. ზემოხსენებული ფაქტები, მრავალ სხვა ფაქტთან და მტკიცებულებასთან ერთად, ადასტურებს ქვეყანაში ლიდერზე დამოკიდებულების ფენომენისა და მმართველ პარტიაში არაფორმალური მმართველობის არსებობას.

პოლიტიკის პერსონალიზაცია არამხოლოდ მმართველ ძალას, არამედ ოპოზიციურ პარტიებსაც ახასიათებს. 2020 წლის არჩევნები ზემოხსენებულის კლასიკური მაგალითია. არჩევნებზე 1%-იანი ბუნებრივი ზღვრის გადალახვა 9 პარტიამ მოახერხა. აქედან 8 მათგანში (ქართული ოცნება, ერთიანი ნაციონალური მოძრაობა, ლელო, მესამე ძალა (ყოფილი სტრატეგია აღმაშენებელი), გირჩი - მეტი თავისუფლება, მოქალაქეები, ევროპული საქართველო და ლეიბორისტული პარტია) პარტიული პოლიტიკის შემუშავებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესზე განსაკუთრებული გავლენა ერთ კონკრეტულ ლიდერს აქვს. თითოეული ამ პარტიისადმი ამომრჩევლის ნდობას მისი ლიდერის მიმართ ემოციური კავშირი განაპირობებს. გამონაკლისს ამ შემთხვევაში მხოლოდ ორი პარტია: გირჩი და პატრიოტთა ალიანსი წარმოადგენს, რომელთაც ფორმალურად არა ერთი, არამედ ორი ძირითადი ლიდერი ჰყავს (გირჩის შემთხვევაში იავო ხვიჩია და ვახტანგ მეგრელიშვილი, ხოლო პატრიოტთა ალიანსის შემთხვევაში დავით თარხან - მოურავი და ირმა ინაშვილი).

ზემოხსენებულ ტენდენციას სხვადასხვა სოციოლოგიური კვლევებიც ადასტურებს. საერთაშორისო რესპუბლიკური ინსტიტუტის (IRI) საზოგადოებრივი გამოკითხვები აჩვენებს, რომ დამოუკიდებლობის 30-წლიანი პერიოდის მანძილზე ამომრჩევლებისთვის ყოველთვის უფრო მნიშვნელოვანი იყო ლიდერის ინდივიდუალური თვისებები, ვიდრე პარტიის იდეოლოგია ან პარტიული პროგრამა. მაგალითად, 2005 წლისთვის, გამოკითხულთა 60% აღნიშნავდა, რომ ისინი არჩევნებში ხმას აძლევდნენ კონკრეტულ ინდივიდს და არა პარტიას. დროთა განმავლობაში ეს რიცხვი შემცირდა, თუმცა, პარტია-ლიდერის მნიშვნელობის მიმართ რესპოდენტთა დამოკიდებულება ყველა

გამოკითხვაში ამ უკანასკნელის სასარგებლოდ იხრებოდა.

2021 წლის საზოგადოებრივი გამოკითხვები ადასტურებს ქართული პარტიული სისტემის მიმართ ამომრჩევლის უნდობლობას. გამოკითხულ რესპოდენტთა მხოლოდ 27% აფასებს დადებითად პოლიტიკური პარტიების მუშაობას, ხოლო უარყოფითად - გამოკითხულთა 62%. ამ კუთხით 17 დასახელებული ინსტიტუტიდან პარტიები რეიტინგით ბოლოდან მეორე ადგილზეა და მასზე დაბალი ნდობის მაჩვენებელი მხოლოდ სავაჭრო კავშირებს (15%) აქვს. რესპოდენტთა უმრავლესობისთვის საზოგადოებაში პოლიტიკურ პარტიებზე მეტად ნდობას იწვევს ისეთი ინსტიტუციები, როგორებიცაა აღმასრულებელი ხელისუფლება (45%), პარლამენტი (42%), პრემიერ-მინისტრის ოფისი (53%), პრეზიდენტის ოფისი (33%) და სასამართლოები (30%), განსაკუთრებით მძიმე ვითარებაა პარტიების ღიაობისა და გამჭვირვალობის საკითხში, რომელსაც რესპოდენტთა თითქმის ნულოვანი შეფასება აქვს. ჭავჭავაძის ცენტრის კვლევის - „შიდაპარტიული დემოკრატია საქართველოში“ მიხედვით, რესპოდენტთა 31% -ის შეფასებით, ქართულ პარტიებში უკიდურესად დაბალია პროცედურების გამჭვირვალობის მაჩვენებელი (გერსამია და სხვები, 2020). ქართული პოლიტიკის პერსონალიზაციის ფენომენი კარგად ჩანს გამოკითხულთა მიერ პოლიტიკური ფიგურების შეფასებაშიც. თუ არ ჩავთვლით საქართველოს მართლმადიდებლური ეკლესიის პატრიარქს (ნდობის 89%-იანი მაჩვენებლით), სხვა პოპულარულ საზოგადოებრივ ფიგურებს პარტიათა კონკრეტული ლიდერები იკავებენ, რომელთა ინდივიდუალური რეიტინგი ხშირად მნიშვნელოვნად აღემატება მათი პარტიების რეიტინგს. მაგალითად, ევროპული საქართველოს ერთ-ერთ ლიდერს, დავით ბაქრაძეს რესპოდენტთა 52% დადებითად აფასებს, ხოლო მისმა პარტიამ - ევროპულმა საქართველომ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებზე ხმების მხოლოდ 3.7% აიღო. ასევეა სტრატეგია აღმაშენებლის (3.15%) ლელოს (3.15%), მოქალაქეების (1.33%), გირჩისა (2.9%), პატრიოტთა ალიანსისა (3.15%) და ლეიბორისტული პარტიის (1%) შემთხვევაშიც. ამ პარტიის ლიდერთა ინდივიდუალური რეიტინგები (გიორგი ვაშაძე 39%, შალვა ნათელაშვილი 27%, მამუკა ხაზარაძე 26%, ალექო ელისაშვილი 26%, ზურაბ ჭაფარიძე 21%, ირმა ინაშვილი - 21%) გაცილებით მაღალია, ვიდრე მათი პარტიების რეიტინგი. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ

კონკრეტული ლიდერების საქმიანობის შეფასების რეიტინგი პარტიების შეფასების რეიტინგისგან განსხვავდება, ამიტომ მათი ერთი-ერთში შედარება არასწორია. მიუხედავად ამისა, ეს საზოგადოებრივი კვლევები ასახავს ტენდენციას, რომლის მიხედვითაც კონკრეტული ლიდერების რეიტინგი მათ პარტიულ რეიტინგს მნიშვნელოვნად აღემატება, (Public opinion survey: Residents of Georgia, February 2021, IRI).

ლიდერებზე დამოკიდებულებას უსვამს ხაზს ეროვნული დემოკრატიული ინსტიტუტის (NDI) კვლევებიც. 2017 წლის ივნისში ჩატარებული კვლევის მიხედვით, ამომრჩევლის პოლიტიკური პრეფერენციის განსაზღვრის პროცესში ყველაზე მნიშვნელოვან ფაქტორად გამოკითხულთა 75% მიიჩნევდა კონკრეტული ლიდერის მიმართ ნდობას, შედარებისთვის კი პარტიული პროგრამა მნიშვნელოვანი რესპოდენტა მხოლოდ 49%-სთვის იყო (NDI, საზოგადოების განწყობების კვლევა საქართველოში, 2017 წლის ივნისი, გვერდი 35-39). 2019 წლის დეკემბერში ჩატარებული კვლევის მონაწილეებმა კითხვაზე, თუ რომელია გადამწყვეტი ფაქტორი პარტიისთვის ხმის მიცემის პროცესში, რამდენიმე მნიშვნელოვანი ფაქტორი დაასახელეს, მათ შორის, რესპოდენტთა ყველაზე დიდი ნაწილი (36%) მიიჩნევდა, რომ მის საარჩევნო პრეფერენციაზე ყველაზე დიდი გავლენა პარტიის კონკრეტული წარმომადგენლის/ლიდერის მიმართ ნდობას ჰქონდა, ხოლო ასეთ ფაქტორად რესპოდენტთა მხოლოდ 25%-მა დაასახელა პარტიის პოლიტიკური პროგრამა და 17%-მა პარტიის წარსული საქმიანობა (NDI, საზოგადოების განწყობების კვლევა საქართველოში, 2019 წლის დეკემბერი, გვ.66).

ლიდერზე დამოკიდებულებისა და შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტის ფენომენს ყველაზე უკეთ პარტიის ლიდერის/თავმჯდომარის/გენერალური მდივნის არჩევის წესი აჩვენებს. ჰაზანისა და რაჭატის მიხედვით, შიდაპარტიული დემოკრატიის ხარისხს ძირითადად სწორედ ლიდერის შერჩევის წესი განაპირობებს. ისინი გამოყოფენ ხუთ ძირითად სცენარს, რომლებიც ექსკლუზიურობიდან ინკლუზიურობამდე მერყეობს. ყველაზე ინკლუზიურია შემთხვევა, როდესაც პარტიის ლიდერის არჩევაში მონაწილეობა თითოეულ მოქალაქეს მისი პარტიული კუთვნილების მიუხედავად შეუძლია. მაღალი ინკლუზიურობის შემთხვევაში ლიდერის

არჩევა პარტიის ყველა წევრს შეუძლია. შუალედური ინკლუზიურობა გულისხმობს ლიდერის შერჩევას პარტიის წევრების მიერ არჩეული წარმომადგენლების, დელეგატების მეშვეობით. ხოლო ბოლო ორი შემთხვევა უკიდურესად ექსკლუზიურია, როდესაც პარტიაში გადაწყვეტილებები პარტიული ელიტის, ხოლო უკიდურეს შემთხვევაში ერთი კონკრეტული ლიდერის მიერ მიიღება. საქართველოში პარტიის ლიდერების შერჩევის მოდელი საუკეთესო შემთხვევაში შუალედური ინკლუზიურობისაა, ხოლო ყველაზე ხშირ შემთხვევაში მაღალი ექსკლუზიურობის კატეგორიას განეკუთვნება.

ამ არგუმენტის დასადასტურებლად პარტიათა ოფიციალურ წესდებებში ჩახედვაც საკმარისია. თითქმის ყველა შემთხვევაში პარტიის ლიდერს/თავმჯდომარეს/გენერალურ მდივანს პარტიის უმაღლესი მმართველი ორგანო, ძირითად შემთხვევაში კი პოლიტიკური საბჭო ან პარტიის ყრილობა ირჩევს. უკიდურესად გაუმჭვირვალეა პარტიული სიების დაკომპლექტების პროცესიც, რომელზეც გადაწყვეტილებები ექსკლუზიურად, პარტიის მცირერიცხოვანი ელიტის მიერ მიიღება. პარტიის ლიდერები, როგორც წესი, სიის სათავეში აღმოჩნდებიან ხოლმე, ხოლო რიგითი წევრებისთვის საკუთარი კანდიდატურის წამოყენება მნიშვნელოვან სირთულეებთანაა დაკავშირებული. შესაბამისად, ქართული პოლიტიკური პარტიები ლიდერების შესარჩევად საუკეთესო შემთხვევაში დელეგატების სისტემას ეყრდნობა, რომელიც ჩანასახშივე არაინკლუზიურია. ასეთ რეალობაში პარტიის რიგითი წევრები არათუ არ არიან ჩართულნი პოლიტიკურ პროცესებში, მათ ხშირად ისიც არ იციან, ვის მიერ და რა კრიტერიუმით ხდება პარტიის ლიდერების შერჩევა.

შეჯამებისთვის შეიძლება ითქვას, რომ ქართული პარტიული სისტემა უკიდურესად განუვითარებელია, რაც სხვადასხვა ფაქტორების (პარტიების ჩანასახოვანი მდგომარეობა, აქტიური წევრების მცირე რაოდენობა, უკიდურესი ცენტრალიზაცია, ლიდერზე დამოკიდებულება, პარტიასა და ამომრჩეველს შორის უკიდურესად სუსტი უკუკავშირი) ერთობლიობითაა გამოწვეული. შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტს განსაკუთრებით ლიდერზე დამოკიდებულების ფენომენი განაპირობებს. დამოუკიდებლობის 30 წლიანი პერიოდის მანძილზე, ქართული პარტიები არა იდეოლოგიის, არამედ კონკრეტული

ლიდერის გარშემო იქმნებოდა და არჩევნებში დამარცხების შემდეგ ისინი მალევე იშლებოდა. პოლიტიკური პროცესის პერსონალიზაციის პირობებში, პარტიაში გადაწყვეტილების მიღების პროცესი მთლიანად ერთი კონკრეტული ლიდერის ან ლიდერთა მცირე ჯგუფის მიერაა მონოპოლიზებული. არსებულ მოდელში ძალაუფლება ზემოდან ქვემოთ გადაეცემა და პარტიულ პროცესებში უკიდურესად მცირეა რიგითი წევრების ჩართულობა. ასეთ პირობებში მცირდება ამომრჩევლის ნდობა პოლიტიკური პარტიების, როგორც ინსტიტუციონალური აქტორების მიმართ. შესაბამისად, პარტიული სისტემა რჩება განვითარების საწყის ეტაპზე მყოფ ჩანასახოვან წარმონაქმნად, რომელშიც შიდაპარტიული დემოკრატიის ხარისხი უკიდურესად დაბალია.

თავი III

III. 1 პარტიული ფინანსების გავლენა შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტზე

პოლიტიკური პარტიების დაფინანსების კლასიკური მოდელი სათავეს მე-19 საუკუნის შუა ხანებიდან იღებს, როდესაც თანამედროვე პარტიების ჩამოყალიბების პროცესი იწყება. პეტალისა და მატაკოვიჩის (2015) შეფასებით, ვიწრო გაგებით პარტიული ფინანსები მხოლოდ წინასაარჩევნო კამპანიაზე დახარჯულ ფულს გულისხმობს, ხოლო უფრო ფართო გაგებით ის პარტიის ოპერაციულ, საგანმანათლებლო და რეგულარულ ფუნქციასაც მოიცავს. პარტიული ფინანსების რეგულირება თანამედროვე პოლიტიკური პარტიების ფუნქციონირებისა და ეფექტურობის უმთავრესი გამოწვევაა (Petal & Matakovic/ პეტალი & მატაკოვიჩი, 2015).

შიდაპარტიული დემოკრატიის მკვლევართა უმრავლესობა აღნიშნავს, რომ უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე ამომრჩეველსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის კავშირი მნიშვნელოვნად შესუსტდა, რაც სხვა ფაქტორებთან ერთად, პარტიების დაფინანსების მანკიერი პრაქტიკითაც არის განპირობებული. ჰეივუდის შეფასებით, პოლიტიკური პარტიები დემოკრატიის ძირითადი აგენტები არიან (Heywood/ჰეივუდი, 2013), ამდენად ისინი სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან როლს თამაშობენ თითოეული სახელმწიფოს დემოკრატიზაციის საქმეში. უკანასკნელი ათწლეულების ტენდენცია აჩვენებს, რომ პარტიათა წინასაარჩევნო კამპანიის ხარჯები მუდმივად მზარდია, რამაც პარტიების ფინანსურ რესურსებზე დამოკიდებულება მნიშვნელოვნად გაზარდა. შესაბამისად, ფინანსების არასწორმა რეგულირებამ შესაძლოა საფრთხე შეუქმნას შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარებას (პეტალი & მატაკოვიჩი, 2015).

დღესდღეობით, მსოფლიოში პარტიების დაფინანსების სამი ძირითადი მოდელი არსებობს. ყველაზე გავრცელებული მეთოდი საბიუჯეტო დაფინანსებაა, რაც სახელმწიფოს მიერ კვალიფიციური პოლიტიკური პარტიებისთვის ფინანსური რესურსების გამოყოფას ითვალისწინებს. საბიუჯეტო დაფინანსების შემოღების ძირითადი მიზანი პარტიებს შორის მეტ-ნაკლები ფინანსური თანასწორობის მიღწევას, რადგან ამ მოდელის მიხედვით, დაფინანსებას იღებს ყველა კვალიფიციური პარტია და არა მხოლოდ ის პარტიები, რომელთაც მდიდარი შემომწირველები ჰყავთ. მიუხედავად ამისა, სნაიპეს (2003) შეფასებით, სახელმწიფო სუბსიდიების ცენტრალური ალოკაცია შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარებისთვის რამდენიმე მნიშვნელოვან გამოწვევას ქმნის, მათ შორის:

1. ზრდის პარტიების დამოკიდებულებას სახელმწიფოს (ხელისუფლების) ფინანსურ რესურსებზე;

2. ამცირებს პარტიათა ფინანსური გამჭვირვალობის ხარისხს, იმ შემთხვევაში თუ საბიუჯეტო დაფინანსებას კონკრეტული ფინანსური ვალდებულებები არ ახლავს.. ასეთ პირობებში მცირდება პარტიის მიმართ ამომრჩევლის ნდობა, რადგან მან არ იცის, რაში იხარჯება პარტიის ფინანსები;

3. იწვევს საზოგადოებასა და პარტიებს შორის გაუცხოებას, რადგან პოლიტიკურ სუბიექტებს საბაზისო დაფინანსების მისაღებად მოქალაქეთა მხარდაჭერა ნაკლებადსჭირდებათ;

4. აიძულებს გადასახადის გადამხდელებს, ფული იმ პარტიებზე გაანაწილონ, რომელთაც მხარს არ უჭერენ;

5. ხელს უწყობს პარტიების ცენტრალიზაციას, რადგან ფინანსურ რესურსებზე კონტროლს ხელში იგდებს კონკრეტული ლიდერი ან ლიდერთა მცირე ჯგუფი (Snipe/სნაიპე, 2003).

პარტიების დაფინანსების მეორე ძირითადი მოდელი საწევრო გადასახადები და პირადი დონაციებია. უკანასკნელი ათწლეულების მანძილზე პარტიის საერთო შემოსავლებში საწევრო გადასახადების წილი მნიშვნელოვნად შემცირდა, ხოლო დონაციების რაოდენობა, პირიქით,

გაიზარდა. წინასაარჩევნო კამპანიების გაზრდილი ხარჯი პარტიებს აიძულებს, მიიღონ კონტრიბუციები მსხვილი შემომწირველებისგან (სნაიპე, 2003), რაც დონორებს პარტიული პოლიტიკის შემუშავებისა და გადაწყვეტილების მიღების პროცესზე მნიშვნელოვან ბერკეტს აძლევს. როგორც წესი, არჩევნებში გამარჯვების შემდეგ, პარტიების უმთავრესი ამოცანა არაა წინასაარჩევნო დაპირებების შესრულება, არამედ დონორების ვალის გასტუმრებაა. შედეგად, პარტია არაინკლუზიური და კონკრეტული ინდივიდების პოლიტიკურ თუ ფინანსურ ინტერესებზე ორიენტირებული ხდება, რაც საბოლოო ჯამში იმით სრულდება, რომ პარტიაში გადაწყვეტილებებს კონკრეტული ლიდერები იღებენ და რიგითი წევრების როლი პარტიული პოლიტიკის შემუშავების პროცესში ნომინალური ხდება (Ward, et al/ვარდი და სხვები, 2003).

პარტიების დაფინანსების მესამე და ყველაზე ნაკლებად გავრცელებული სახალხო დაფინანსების მოდელია, რომელიც ამომრჩევლის მიერ პარტიის ან კონკრეტული ინდივიდის პირდაპირ დაფინანსებას გულისხმობს. ვარდის (2003) შეფასებით, დაფინანსების ეს მეთოდი განსაკუთრებით ეფექტურია, რადგან ის: 1. ამცირებს პარტიების საბიუჯეტო რესურსებზე დამოკიდებულებას; 2. ხელს უშლის მსხვილი დონორების მიერ პარტიაში გადაწყვეტილების მიღების პროცესზე გავლენის მოპოვებას; 3. ზრდის პარტიების ანგარიშვალდებულების ხარისხს დამფინანსებლების მიმართ, რაც პარტიებისა და კონკრეტული კანდიდატების მიმართ ამომრჩევლის ნდობას აძლიერებს (ვარდი და სხვები, 2003).

პარტიების დაფინანსების თითოეულ მოდელს მნიშვნელოვანი ხარვეზები ახასიათებს. დემოკრატიული სტანდარტების არარსებობის პირობებში პრობლემურია საბიუჯეტო და განსაკუთრებით პირადი შემოწირულობებით დაფინანსების მეთოდი, რომელიც ხელს უწყობს პოლიტიკურ პარტიებს შორის უთანასწორობის გაღრმავებას, რაც, ძირითადად, მმართველ პარტიასა და ოპოზიციურ პარტიებს შორის ფინანსური რესურსების არაპროპორციულ განაწილებაში გამოიხატება. ამ შემთხვევაში მთელი ფინანსური ძალაუფლება თავმოყრილია მმართველი პარტიის ხელში, ხოლო ოპოზიციური პარტიები ზედმეტად სუსტი და არასტაბილურია. მათთვის ფინანსური რესურსების მოზიდვას

ეგზისტენციალური მნიშვნელობა აქვს და ხშირ შემთხვევაში ისინი პარტიის სიცოცხლის გასახანგრძლივებლად მზად არიან, არალეგალური დონაციები მიიღონ.

უთანასწორო პოლიტიკური გარემო ქვეყანაში ოპოზიციური პარტიებისადმი ფინანსური ბარიერების შექმნითაც ვლინდება. არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად ზოგიერთი სახელმწიფო პარტიებსა და კონკრეტულ კანდიდატებს მაღალ ფინანსურ თამასას უწესებს, რომლის დაკმაყოფილება მათ, შეზღუდული რესურსების გამო, არ შეუძლიათ. ზემოხსენებული ფინანსური ბარიერები მდიდარ პარტიებსა თუ კანდიდატებს პრივილეგირებულ მდგომარეობაში აყენებს (ვარდი და სხვები, 2003);

პარტიული ფინანსები ხშირად ხდება კორუფციის წამახალისებელი ფაქტორი. პოლიტიკაში ჩართულ ინდივიდთა საკმაოდ დიდი ნაწილისთვის ძირითადი მოტივაცია არა ამომრჩევლის ნების აღსრულება, არამედ ფინანსური კეთილდღეობის მოპოვებაა, რაც არალეგალურ გარიგებებში პოლიტიკოსთა მონაწილეობის შესაძლებლობას ერთიორად ზრდის. ლარი დაიმონდის (2003) შეფასებით, „ძირგამომპალი ხელისუფლების პირობებში, ინდივიდები სამთავრობო პოზიციების დაკავებას პერსონალური სიმდიდრის დასაგროვებლად ცდილობენ“ (Diamond/დაიმონდი, 2003). შესაბამისად, შეიძლება ითქვას, რომ პარტიების დაფინანსების მანკიერი პრაქტიკა შიდაპარტიული დემოკრატიის ეფექტურად ფუნქციონირებისთვის მრავალ გამოწვევას ქმნის, მათ შორისაა პარტიული კორუფცია, პარტიის შიგნით ფინანსური გამჭვირვალობის არარსებობა, არაინკლუზიურობა და პარტიული ცენტრალიზაციის მაღალი ხარისხი.

ზემოხსენებული რისკების თავიდან ასარიდებლად სახელმწიფოთა უმრავლესობამ შეიმუშავა ფინანსური რეგულაციების ერთობლიობა, რომელთა მიზანია ხელი შეუწყოს პოლიტიკური პარტიების ანგარიშვალდებულების გაზრდას, ამომრჩეველსა და საზოგადოებას შორის კავშირის აღდგენასა და შესაბამისად შიდაპარტიული დემოკრატიის გაძლიერებას. პეტაკისა და მატაკოვიჩის (2015) შეფასებით, პარტიული ფინანსების რეგულირებას შესაძლოა 4 ძირითადი მიზანი ჰქონდეს:

- ძალაუფლების გადამეტების პრევენცია - მისი მიზანია ხელი შეუშალოს პარტიულ კორუფციას და დაამკვიდროს „სუფთა პოლიტიკა“;
- პოლიტიკური კონკურენციის ხელშეწყობა - პოლიტიკურ პარტიებს უნდა გააჩნდეთ სამართლიანი კონკურენციის შესაძლებლობა, რაც მულტიპარტიული დემოკრატიის ერთ-ერთი ძირითადი პრინციპია;
- ამომრჩეველთა უფლებების გაზრდა - პარტიის ფინანსური საქმიანობა სრულიად გამჭვირვალე უნდა იყოს, რათა ამომრჩეველს სხვადასხვა პოლიტიკურ სუბიექტს შორის არჩევანის გაკეთება გაუმარტივდეს;
- პოლიტიკური პარტიების გაძლიერება - მიზნად ისახავს პარტიების, როგორც დემოკრატიის ძირითადი აგენტების როლის გაზრდას, რამაც ამომრჩეველსა და პარტიას შორის ნდობა უნდა აღადგინოს (პეტალი & მატაკოვიჩი 2015).

პარტიული ფინანსების კონტროლის მიმართულებით დამკვიდრდა რამდენიმე ძირითადი პრაქტიკა, რომლებსაც სახელმწიფოთა უმრავლესობა აქტიურად იყენებს. შიდაპარტიული დემოკრატიის ხარისხის გასაუმჯობესებლად გამოიყენება ფინანსური ტრანზაქციების გასაჯაროების ვალდებულება, რაც პარტიის ფინანსურ შემოსავლებზე, დანახარჯებსა და აქტივებზე ფინანსური ინფორმაციის გასაჯაროებას გულისხმობს (ვარდი და სხვები, 2003). საარჩევნო სისტემების საერთაშორისო ფონდის (IFES) რეკომენდაციით, პოლიტიკურმა პარტიებმა უნდა მოამზადონ ყოველწლიური მოხსენება, რომელშიც ყველა რელევანტური ფინანსური ინფორმაცია იქნება მოცემული. გარდა ამისა, საჭიროა მოხსენების დროული მიწოდებისა და საყოველთაო ხელმისაწვდომობის უზრუნველყოფა. მნიშვნელოვანია, რომ ფინანსური გამჭვირვალობა დაცული იყოს როგორც ცენტრალიზებულ, ისე დეცენტრალიზებულ პარტიებში, რათა პარტიის მხარდამჭერებმა იცოდნენ, რაში იხარჯება პარტიის ფინანსები არამხოლოდ ცენტრალური აპარატის, არამედ რეგიონული ოფისების მიერ (Bértoa & Teruel/ბერტოა & ტერუელი, 2017); პარტიის ფინანსური ტრანზაქციების გასაჯაროება მნიშვნელოვნად ზრდის შიდაპარტიული დემოკრატიის ხარისხს, რადგან: 1. ამომრჩეველმა იცის რაში იხარჯება პარტიის ფული,

რაც პარტიის მიმართ ნდობას ავტომატურად ზრდის; 2. ფინანსური ტრანზაქციების კონტროლი ხელს უწყობს პოლიტიკური პარტიების ანგარიშვალდებულების ზრდას; 3. პარტიები ხდებიან უფრო მეტად დეცენტრალიზებულნი.

პარტიული ფინანსების ეფექტური კონტროლი ძლიერი და დამოუკიდებელი საზედამხედველო ინსტიტუციის შექმნას მოითხოვს, თუმცა, მისი ფუნქციების აღსრულება მხოლოდ იმ შემთხვევაშია შესაძლებელი, თუ ხელისუფლება პატივს სცემს ინსტიტუციის ავტონომიას და საარჩევნო პროცესის გამჭვირვალობას (Pepera , et al/პეპერა და სხვები, 2001);

ბერტოასა და ტერუელის (2017) მიხედვით, სახელმწიფოთა უმრავლესობაში, პოლიტიკური დაფინანსების შესახებ კანონის დარღვევის შემთხვევაში, პარტიები ადმინისტრაციულ ჯარიმას იხდიან. სანქციების მეორე ყველაზე პოპულარული ფორმა საბიუჯეტო დაფინანსების დაკარგვა/შეჩერებაა. მისი ხანგრძლივობა შეიძლება მერყეობდეს 1 თვიდან (ბელგია) 1 წლამდე (გერმანია, საფრანგეთი და ა.შ.). უკიდურეს შემთხვევებში, საბიუჯეტო დაფინანსების უკანონო გამოყენებამ და არალეგალური დონაციების მიღებამ შესაძლოა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა და პარტიებში ფინანსებზე პასუხისმგებელი პირების დაპატიმრება გამოიწვიოს (ბერტოა/ტერუელი, 2017).

პარტიების ფინანსური ანგარიშვალდებულების გაზრდა მრავალმა სახელმწიფომ შემოწირულობებზე ლიმიტების დაწესებით სცადა. ეს მიდგომა დონორების კონტრიბუციებზე კონკრეტული შეზღუდვების დაწესებას გულისხმობს, რომლის მიზანია პარტიულ პოლიტიკაზე მსხვილი შემომწირველების გავლენის შესუსტება (ვარდი და სხვები, 2003). ზოგიერთი სახელმწიფო პარტიული ფინანსების რეგულირების საქმეში უფრო შორსაც მიდის და ფინანსური კონტრიბუციების აკრძალვასაც იყენებს. ეს მეთოდი კონკრეტული ინდივიდებისა და ჯგუფისგან, განსაკუთრებით კი უცხოური კომპანიებისგან პარტიული დაფინანსების მიღებას კრძალავს. ზემოხსენებული შეზღუდვის კლასიკური მაგალითია ამერიკის შეერთებული შტატები, სადაც ნებისმიერ საშტატო და ფედერალურ დონეზე უცხო ქვეყნის პირსა და

კომპანიას საარჩევნო სუბიექტების დაფინანსება ეკრძალება (ვარდი და სხვები, 2003);

პარტიული ფინანსების რეგულირების კიდევ ერთი მეთოდია პარტიული დანახარჯების ლიმიტირება, რომელიც მიზნად პოლიტიკური კამპანიების ხარჯების შემცირებასა და თანასწორი პოლიტიკური გარემოს უზრუნველყოფას ისახავს. თუმცა, არარეალისტურად დაბალი სადანახარჯო ზღვრის დაწესება კონტრპროდუქტიულია, რადგან ის ზრდის პარტიების კორუფციულ გარიგებებში მონაწილეობის ალბათობას (ვარდი და სხვები, 2003).

III. 2 პარტიული დაფინანსება საქართველოში - ძირითადი გამოწვევები

საქართველოში პოლიტიკური ფინანსების რეგულირების ძირითადი სამართლებრივი საფუძვლები განსაზღვრულია ორგანული კანონებით „მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ“ და „საარჩევნო კოდექსი“, ასევე, კანონებით - „სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შესახებ“, „ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსი“, და „ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსი“ (ჩიხლაძე & ნატროშვილი, 2019). კანონმდებლობის მიხედვით, საქართველოში არსებული პარტიების დაფინანსების ექვსი ძირითადი წყარო არსებობს:

1. საბიუჯეტო დაფინანსება - მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ კანონის 30-ე მუხლის მიხედვით, საბიუჯეტო დაფინანსებას იღებს ყველა ის პარტია, რომელიც უკანასკნელ საპარლამენტო არჩევნებში ბუნებრივ ბარიერს გადალახავს და ხმების მინიმუმ 1%-ს მიიღებს. დაფინანსების რაოდენობა პარტიის მიერ მიღებული ხმების მიხედვით განისაზღვრება. თითოეული პარტია საპარლამენტო არჩევნებში მიღებული პირველი 50 000 ხმის ფარგლებში თითოეული ხმისთვის 15 ლარს იღებს, ხოლო შემდეგი თითოეული ხმისთვის 5 ლარს (კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ, 2019, მუხლი 30);

2. საწევრო შენატანები - პარტიის საწევრო შენატანების წილი პარტიის სრულ დაფინანსებაში ყოველწლიურად მცირდება. საქართველოში არსებული პარტიები ინდივიდუალურად აწესებენ პარტიის წევრობისთვის საჭირო ყოველთვიური მინიმალური საწევრო შენატანების რაოდენობას, ხოლო კანონმდებლობის მიხედვით, მაქსიმალური რაოდენობა ყოველწლიურად არ უნდა აღემატებოდეს 1200 ლარს (კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ, 2019, მუხლი 27);

3. შემოწირულობები - საბიუჯეტო დაფინანსების შემდეგ, პარტიათა შემოსავლის მეორე ძირითადი წყარო კერძო შემოწირულობებია (საერთო შემოსავლების 41%). მოქალაქეთა პოლიტიკური გაე-

რთიანებების შესახებ კანონის მიხედვით, კერძო შემოწირულობად განსაზღვრულია როგორც ფულადი თანხა, ასევე პარტიის მიერ ფიზიკური ან იურიდიული პირისაგან უსასყიდლოდ ან ფასდაკლებით/შელავათიანი პირობებით მიღებული მატერიალური ან არამატერიალური ფასეულობა (კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ, კონსოლიდირებული ვერსია, 2019, მუხლი 25). ფიზიკური პირისთვის ერთი კალენდარული წლის განმავლობაში გაკეთებული შემოწირულობების რაოდენობა არ უნდა აღემატებოდეს 60 000, ხოლო იურიდიული პირისთვის 120 000 ლარს. კანონმდებლობით აკრძალულია შემოწირულობების მიღება უცხო ქვეყნის ფიზიკური და იურიდიული პირებისგან, სახელმწიფო ორგანოებისგან, არასამეწარმეო იურიდიული პირისგან, რელიგიური ორგანიზაციებისგან და მოქალაქეობის არმქონე პირისგან (კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ, 2019, მუხლი 26).

4. გენდერული ქვოტირება - კანონმდებლობის მიხედვით, თითოეული პარტია, რომელიც პარტიული სიის ყოველ სამეულში ერთიმეორისაგან განსხვავებული სქესითაა წარმოდგენილი, საბაზისო საბიუჯეტო დაფინანსებაზე 30%-ის ოდენობის დანამატს იღებს (ჩიხლაძე & ნატროშვილი, 2019);

5. პარტიებისთვის საარჩევნო წელს სატელევიზიო რეკლამისთვის მიზნობრივი დაფინანსების გამოყოფა და უფასო პოლიტიკური რეკლამა - გარდა პირდაპირი საბიუჯეტო დაფინანსებისა, პოლიტიკური პარტიები სახელმწიფოსგან არაპირდაპირ სუბსიდიებსაც იღებენ. ასეთი არაპირდაპირი სუბსიდიების კატეგორიას მიეკუთვნება უფასო პოლიტიკური რეკლამა და ამ რეკლამისთვის გამოყოფილი კონკრეტული საეთერო დრო. კანონმდებლობის მიხედვით, საერთო ეროვნული საეთერო მაუწყებელი საარჩევნო კამპანიის დროს ვალდებულია ეთერში ყოველ 3 საათში არანაკლებ 7.5 წუთი გამოყოს კვალიფიციური საარჩევნო სუბიექტების რეკლამისთვის (ჩიხლაძე & ნატროშვილი, 2019). გარდა ამისა, არჩევნებში ზღვარგადალახული პარტიები იღებენ ყოველწლიურ მიზნობრივ დაფინანსებას სატელევიზიო რეკლამისთვის, რომელიც არ უნდა აღემატებოდეს 600 000 ლარს.

6. საბანკო სესხები - პოლიტიკური გაერთიანების შესახებ კანონის მიხედვით, პარტიებს სესხის მიღება მხოლოდ ქვეყანაში მოქმედი კომერციული ბანკებისგან შეუძლიათ. თითოეულ პარტიას აქვს უფლება მიიღოს ყოველწლიურად არაუმეტეს 1 მილიონი ლარის ოდენობის სესხი (კანონი პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ, კონსოლიდირებული ვერსია, 2019, მუხლი 25).


საქართველოში პოლიტიკურ პარტიებზე საბიუჯეტო ალოკაციების განაწილების შესახებ კანონი ჯერ კიდევ 1997 წელს მიიღეს, ხოლო შემდგომ ის რამდენჯერმე შეიცვალა. 2020 წლამდე კვალიფიციური პოლიტიკური პარტიები საბიუჯეტო დაფინანსებას იმ შემთხვევაშიც იღებდნენ, თუ ისინი საპარლამენტო არჩევნებზე დაწესებულ საარჩევნო ზღვარს ვერ გადალახავდნენ, თუმცა, ეს კანონი 2020 წლის ზაფხულში შეიცვალა, რომლის მიხედვითაც საბიუჯეტო დაფინანსებას ამიერიდან მხოლოდ ის პარტიები მიიღებენ, რომლებიც საპარლამენტო არჩევნებზე ხმების მინიმუმ 1%-ს მოაგროვებენ (საარჩევნო და პოლიტიკური პარტიების კანონმდებლობაში შესატანი ცვლილებები დემოკრატიულ სტანდარტებს არ აკმაყოფილებს, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო, 2020).

უთანასწორო პოლიტიკური გარემო და მცირე პარტიების საბიუჯეტო რესურსებზე კრიტიკული დამოკიდებულება, პარტიათა ფინანსური გაუმჭვირვალობა, კორუფციულ სქემებში მონაწილეობა, ფინანსების დაუდგენელი წარმომავლობა, უკონტროლო საექვო შემოწირულობები (მესამე მხარის დაფინანსება), ფულის მიმოქცევის კონტროლის ეფექტური მექანიზმების არარსებობა - ის ძირითადი გამოწვევებია, რომლებსაც საქართველოში პოლიტიკური დაფინანსების არსებული მოდელი ქმნის. უპირველეს ყოვლისა, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი გამოწვევა პარტიათა საბიუჯეტო რესურსებზე დამოკიდებულებაა, რაც ხშირად მმართველ ძალას ოპოზიციურ პარტიებზე პოლიტიკური ბერკეტის მოპოვების შესაძლებლობას აძლევს. 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ზემოხსენებული შემთხვევის კლასიკური მაგალითია, როდესაც ოპოზიციამ ბოიკოტი გამოუცხადა არჩევნების შედეგებს და უარი თქვა მოპოვებულ მანდატებზე. ამან მმართველ პარტიას მისცა შესაძლებლობა გამოეყენებინა კანონმდებლობით გათვალისწინებული

ზომები და შეეხსენებინა ოპოზიციური პარტიებისთვის, რომ თუ ისინი არ შევიდოდნენ პარლამენტში, დაკარგავდნენ საბიუჯეტო დაფინანსებას.


მოცემული მოდელის მეორე ძირითადი პრობლემა პარტიებს შორის არსებული ფინანსური უთანასწორობაა. მნიშვნელოვან პრობლემას წარმოადგენს ისიც, რომ მმართველი პარტია სხვა პარტიებთან შედარებით არაპროპორციულად დიდ კერძო შემოწირულობებს იღებს. „საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს“ კვლევის მიხედვით, 2020 წელს რეგისტრირებული 48 პოლიტიკური პარტიიდან მხოლოდ 29-მ მიიღო კერძო შემოწირულობა. აღნიშნულმა პარტიებმა სულ 35 376 394 ლარის ოდენობის შემოწირულება მიიღეს, აქედან 17 086 626 ლარი (საერთო შემოწირულობების 48%) მმართველ პარტიაზე „ქართული ოცნება - დემოკრატიულ საქართველო“ მოდიოდა, 5 075 844 ლარით მეორე ადგილზე იყო „ლელო“, ხოლო მესამეზე - ბლოკი - „ერთიანი ნაციონალური მოძრაობა - ძალა ერთობაშია“ 3 735 583 ლარით. მონაცემები გვიჩვენებს, რომ „ქართული ოცნების“ მიერ მიღებული შემოწირულობები დაახლოებით 3-ჯერ აღემატებოდა მეორე ადგილზე მყოფი „ლელოს“ შემოწირულებებს და თითქმის ორჯერ აღემატებოდა დანარჩენი 27 პოლიტიკური პარტიის ჯამურად მიღებულ შემოწირულობებს (საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების კამპანიის დაფინანსება, შუალედური ანგარიში, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო). უთანასწორო პოლიტიკური გარემოს პირობებში, სუსტი პარტიები ვერ ახერხებენ არსებობისთვის საჭირო ფინანსური რესურსების მობილიზებას, რაც მათ ხშირად აიძულებს კორუფციულ ფინანსურ გარიგებებში მონაწილეობას. არაკონკურენტული პოლიტიკური გარემო აყალიბებს ერთპარტიულ მმართველობას, რაც, პოლიტიკური პლურალიზმის განვითარებას მნიშვნელოვნად აფერხებს. პარტიათა ფინანსური გამჭვირვალობისა და მეტ-ნაკლებად თანაბარი მდგომარეობის პირობებში კი მმართველ პარტიასა და ოპოზიციურ პარტიებს შორის კონკურენცია იზრდება, რაც, თავის მხრივ, აუმჯობესებს დემოკრატიის ხარისხს პოლიტიკურ სისტემაში.

დიაგრამა N 1 - პარტიების კერძო შემწირულობები 2020 წელს (ლარში)




- ქართული ოცნება - ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს
- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია
- ლელო საქართველოსთვის
- ევროპული საქართველო
- სტრატეგია აღმაშენებელი
- საქართველოს პატრიოტთა ალიანსი
- თავისუფალი საქართველო
- სოციალ-დემოკრატები საქართველოს განვითარებისთვის
- სოციალური სამართლიანობისთვის
- ერთიანი საქართველო-დემოკრატიული მოძრაობა
- ალეკო ელისაშვილი - მოქალაქეები
- საქართველოს ლეიბორისტული პარტია

დიაგრამა N 2 - პარტიების საბიუჯეტო დაფინანსება 2021 წელს (ლარში)




- ქართული ოცნება -ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს
- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა-გაერთიანებული ოპოზიცია
- მოძრაობა სახელმწიფო ხალხისთვის
- პროგრესი და თავისუფლება
- საქართველოს რესპუბლიკური პარტია
- ევროპელი დემოკრატები
- გიორგი ვაშაძე- სტრატეგია აღმაშენებელი
- კანონი და სამართალი
- ევროპული საქართველო
- ლელო საქართველოსთვის
- საქართველოს პატრიოტთა ალიანსი

დიაგრამა N 3 - პარტიების კერძო შემოწირულობები 2007-2012 წლებში (ლარში)




- ერთიანი ნაციონალური მოძრაობა
- ქართული ოცნება-დემოკრატიული საქართველოს
- საქართველოს რესპუბლიკური პარტია
- საქართველოს კონსერვატიული პარტია
- ხალხის პარტია

დიაგრამა N 4 - პარტიების კერძო შემოწირულობები 2013-2016 წლებში (მილიონ ლარში)



დიაგრამა N 5 - პარტიების კერძო შემოწირულობები 2017-2020 წლებში (ლარში)



- ქართული ოცნება
- ენმ-გაერთიანებული ოპოზიცია
- ლელო საქართველოსთვის
- ვეროპული საქართველო
- სტრატეგია აღმაშენებელი
- პატრიოტთა ალიანსი
- ლეიბორისტული პარტია
- კონსერვატიული პარტია
- რესპუბლიკური პარტია
- გირჩი
- ალეკო ელისაშვილი- მოქალაქეები
- ერთიანი საქართველო
- თავისუფალი საქართველო

დიაგრამებზე მოცემული ინფორმაცია ადასტურებს დაფინანსების კუთხით ქართულ პოლიტიკურ პარტიებს შორის არსებულ უთანასწორობას. მმართველი პარტია ოპოზიციურ პარტიებთან შედარებით არაპროპორციულად დიდ დაფინანსებას იღებს როგორც საბიუჯეტო დაფინანსების, ისე კერძო შემოწირულობების სახით.. დიაგრამა N 2-ზე გამოსახული მონაცემები აჩვენებს, რომ 2020 წლის არჩევნების შედეგად კვალიფიციური პოლიტიკური სუბიექტის სტატუსი სულ 12-მა პარტიამ მოიპოვა. ალოკაციების განაწილების არსებული მოდელის მიხედვით, მმართველი პარტიის დაფინანსება 2021 წელს 5.1 მილიონი ლარით განისაზღვრა, ხოლო დანარჩენი 11 ოპოზიციური პარტიის საერთო ჯამური დაფინანსება მხოლოდ 7 მილიონ ლარს შეადგენს.

მმართველ პარტიასა და ოპოზიციურ პარტიებს შორის არსებული ფინანსური უთანასწორობა განსაკუთრებით კარგად კერძო შემოწირულობების ნაწილში ჩანს. დიაგრამა N3 აჩვენებს, რომ 2007-2012 წლებში, ხელისუფლების სათავეში მყოფმა პარტიამ - ერთიანმა ნაციონალურმა მოძრაობამ დაახლოებით 5-ჯერ მეტი კერძო შემოწირულობა მიიღო, ვიდრე ყველა ოპოზიციურმა პარტიამ ერთად. ტენდენცია ხელისუფლების ცვლილების შემდეგაც შენარჩუნდა - დიაგრამა N4 და N5-ის მიხედვით, 2013-2020 წლებში ქართულმა ოცნებამ კერძო შემომწირველებისგან - 80 652 126 ლარი მიიღო, მაშინ, როდესაც ყველაზე მსხვილი ოპოზიციური პარტიის - ერთიანი ნაციონალური მოძრაობის შემოწირულობების ჯამი მხოლოდ 12 003 618 ლარს შეადგენდა. ზემოხსენებული ინფორმაციიდან გამომდინარე ამკარაა, რომ ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ხელისუფლების დაკარგვა ავტომატურად კერძო შემოწირულობების მნიშვნელოვანი ნაწილის დაკარგვასაც გულისხმობს. შესაბამისად, მსხვილი კონტრიბუტორებისთვის, რომელთათვისაც პრიორიტეტი ფინანსური სტაბილურობაა, პარტიებს არა იდეოლოგიური მხარდაჭერის, არამედ ფინანსური სარგებლის მისაღებად აფინანსებენ.

დაფინანსების არსებული მოდელი კორუფციული გარიგებების რისკებს მნიშვნელოვნად ზრდის, განსაკუთრებით მმართველი პარტიის მხრიდან, რომელსაც აქვს შესაძლებლობა, გაურიგდეს პოტენციურ შემომწირველს და მას დაფინანსების სანაცვლოდ კონკრეტული

სარგებელი შესთავაზოს. ასეთი სარგებელი შეიძლება იყოს ტენდერების მოგება ან გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების მიღება. საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველოს 2020 წლის კვლევამ მოახდინა ყველა იმ ფიზიკური, თუ იურიდიული პირის იდენტიფიცირება, რომელთაც 2020 წლის 1 იანვრიდან - 1 ოქტომბრამდე მმართველი პარტია დააფინანსეს. შუალედური ანგარიშის მიხედვით, კომპანიებმა, რომელთაც დროის მოცემულ პერიოდში მმართველი პარტია დააფინანსეს, ამავე პერიოდში დაახლოებით 47 მილიონი ლარის ღირებულების ტენდერები მოიგეს (საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების კამპანიის დაფინანსება, შუალედური ანგარიში, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო). ამასთან, 2020 წლის ოქტომბრამდე კომპანიებმა, რომელთა ხელმძღვანელებმა მმართველი პარტია ჯამში 2.2 მილიონი ლარით დააფინანსეს, მიიღეს დაახლოებით 3.8 მილიონი ლარის ღირებულების გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვები (საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების კამპანიის დაფინანსება, შუალედური ანგარიში, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო). ამგვარი გარიგებების არსებობა გარკვეულ კითხვებს აჩენს პარტიათა პოლიტიკურ და ფინანსურ გამჭვირვალობასთან დაკავშირებით. ჩატარდა თუ არა ტენდერების ან გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების მიღებასთან დაკავშირებული კონკურსი სამართლიანად? რატომ იმარჯვებენ ასეთ კონკურსებში ძირითადად ხელისუფლებასთან დაახლოებული პირები და კომპანიები? არსებობს თუ არა ფიზიკურ/იურიდიულ პირებსა და ხელისუფლებას/ხელისუფლების კონრეტულ წარმომადგენლებს შორის დადებული გარიგებები? დაფინანსების არსებული, გაუმჭვირვალე მოდელის პირობებში პარტიებს (განსაკუთრებით კი მმართველ პარტიას) აქვთ შესაძლებლობა, საკანონმდებლო შეზღუდვებს გვერდი აუარონ და დაფინანსების მისაღებად კორუფციულ გარიგებებში მიიღონ მონაწილეობა. არაფერია გასაკვირი იმაში, რომ ერთპარტიული დომინაციის პირობებში ბიზნესები თვითგადარჩენის მიზნით ცდილობენ, შესწირონ ფული ხელისუფლებას და მათი კეთილგანწყობა მოიპოვონ, წინააღმდეგ შემთხვევაში შესაძლოა მათი არსებობა საერთოდ კითხვის ნიშნის ქვეშ დადგეს. ერთი დომინანტი პარტიის მოდელი ახალისებს ფინანსური გამჭვირვალობის არარსებობას და კორუფციულ გარიგებებში

პოლიტიკური სუბიექტების მონაწილეობის შანსებს ერთიორად ზრდის.

პარტიების დაფინანსების ქართული მოდელის მესამე ძირითადი პრობლემა ფინანსების კონტროლის ეფექტური მექანიზმის არარსებობაა. არჩევნებში ზღვარგადალახული თითოეული პარტია იღებს დაფინანსებას, თუმცა, სახელმწიფო მათ არანაირ ვალდებულებას არ უწესებს. დემოკრატიულ სახელმწიფოებში პარტიები საბიუჯეტო დაფინანსებასთან ერთად კონკრეტულ ვალდებულებებსაც იღებენ. ამგვარი პრაქტიკა ფართოდაა გავრცელებული ევროპაში. ევროპული სახელმწიფოების გარკვეული ნაწილი პარტიებს გამოუყოფს ფინანსურ რესურსს კონკრეტული მიზნებისთვის, მაგალითად, წინასაარჩევნო კამპანიის დანახარჯებისთვის (უნგრეთი, მონაკო), მიმდინარე პარტიული აქტივობებისთვის (სერბეთი, სლოვენია), ქალების ჩართულობის წასახალისებლად (ფინეთი), კვლევითი მიმართულების განვითარებისთვის (საბერძნეთი, პოლონეთი) ან ახალგაზრდების პოლიტიკურ პროცესებში მონაწილეობის გასაზრდელად (ირლანდია) (ბერტოა & ტერუელი, 2017).

მათგან განსხვავებით, საქართველოში არსებული პარტიები არ იღებენ კონკრეტულ ვალდებულებებს. ამგვარი მექანიზმის არარსებობა ხელს უწყობს პარტიულ კორუფციას და ამცირებს პარტიის ფინანსურ გამჭვირვალობას, რადგანაც ფინანსების განკარგვა კონკრეტული ლიდერის ხელშია და სწორედ ის წყვეტს, როგორ უნდა დაიხარჯოს პარტიის ფინანსები.

პარტიული კორუფციის კიდევ ერთი წამახალისებელი ფაქტორი კანონის აღსრულების ეფექტური მექანიზმის არარსებობაა. პარტიების ფინანსური მდგომარეობის შეფასება და არსებული ხარვეზების გამოვლენა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეროგატივაა, რომელიც საკმაოდ არაეფექტურია პარტიულ კორუფციასთან ბრძოლის მიმართულებით. სახელმწიფო აუდიტის სამსახური მხოლოდ პარტიების ფინანსურ მონიტორინგს ახორციელებს და მას არ გააჩნია კანონის აღსრულების რაიმე მექანიზმი. ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებათა ოფისის (ODIHR) 2020 წლის ანგარიშში აღნიშნულია, რომ მართალია, უკანასკნელი წლების მანძილზე

სახელმწიფო აუდიტის სამსახური გაიზარდა, თუმცა, ამასთან ერთად მნიშვნელოვნად გაიზარდა არჩევნებში მონაწილე პოლიტიკურ პარტიათა რაოდენობა და ის 200-ს გადასცდა. ამდენად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის საქმიანობა, ძირითადად, არა კორუფციის პრევენციითა და პოლიტიკური კონტროლით, არამედ მარტივად შესამჩნევი დარღვევების იდენტიფიცირებით შემოიფარგლება, რადგან მისი უფლებამოსილება პოტენციურად სერიოზული და სისტემატური დარღვევების გამოვლენას არ ითვალისწინებს. ამდენად, სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეზღუდული მანდატი და სანქციონების უფლებამოსილების ნაკლებობა პარტიების ფინანსების კონტროლს მნიშვნელოვნად ართულებს (საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია, საქართველო - საპარლამენტო არჩევნები, 2020 წლის 31 ოქტომბერი, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) ანგარიში). შედარებისთვის, მრავალ სახელმწიფოში არსებობს სპეციალური ინსტიტუტი, რომელსაც აქვს მნიშვნელოვანი საგამომძიებო ძალა, მათ შეუძლიათ რელევანტური ინფორმაციის მოთხოვნა და გადაცდომის შემთხვევაში პარტიების ან მისი კონკრეტული წევრების მიმართ სანქციების დაწესება. მძლავრი აღმასრულებელი მექანიზმის არარსებობა მნიშვნელოვან გამოწვევას ქმნის ქართული პოლიტიკური პარტიების ფინანსური გამჭვირვალობის უზრუნველყოფის კუთხით.

შეჯამებისთვის შეიძლება ითქვას, რომ საბიუჯეტო რესურსებზე დამოკიდებულების გამო, ქართული პოლიტიკური პარტიები რჩებიან განვითარების საწყის ეტაპზე მყოფ, ჩანასახოვან ინსტიტუციონალურ წარმონაქმნად, რომლებიც ხშირად მზად არიან არალეგალური ფინანსური რესურსები მიიღონ. პარტიების შემოწირულობებზე თვალის ერთი გადავლევითაც ჩანს, რომ შემოწირულობების რაოდენობა მკვეთრად იზრდება წინასაარჩევნო პერიოდში. ამ პერიოდში მსხვილი კონტრიბუტორები ხშირად პარტიის ლიდერები, მათი ნათესავები, მეგობრები თუ სხვა დაახლოებული პირები არიან, რომელთა შემოსავლები გაცილებით მცირეა, ვიდრე მათ მიერ გაღებული შემოწირულობები („ქართული ოცნების” დაფინანსება სხვა პოლიტიკური პარტიების დაფინანსებას მნიშვნელოვნად აღემატება, 2017, საერთაშორისო გამჭვირვალობის ანგარიში). შემოსავლებსა და შემოწირულობებს შორის მკვეთრ სხვაობას ისინი გადანახული

ფულის, ე.წ. „სეივინგების“ არსებობით ხსნიან, თუმცა, რეალურად, ხშირ შემთხვევაში ეს არის არალეგალურად მიღებული ფული, რომლის გათეთრებაშიც მონაწილეობას პარტიის ლიდერებთან დაახლოებული პირები იღებენ. კონკრეტული საბიუჯეტო ვალდებულებების არარსებობა აძლიერებს პარტიების ცენტრალიზაციას, რაც გულისხმობს იმას, რომ პარტიის ფინანსები კონტროლდება ცენტრალური აპარატის მიერ და რეგიონული ორგანიზაციები ფულს არა საკუთარი საჭიროებების, არამედ ცენტრალური აპარატის დირექტივების მიხედვით ხარჯავენ, ხოლო ფინანსების კონტროლის მექანიზმის არაეფექტურობა და ფინანსური გამჭვირვალობის არარსებობა ხელს უწყობს პარტიის შიგნით უკიდურესად არაინკლუზიური გარემოს შექმნას, რომელშიც მთელი ძალაუფლება (მათ შორის ფინანსური) ლიდერთა მცირე წრის ხელშია თავმოყრილი, ხოლო პარტიის რიგით წევრებს არათუ არ აქვთ გავლენა პარტიის ფინანსების განკარგვაზე, არამედ მათ ისიც კი არ იციან, როგორც და რაში იხარჯება პარტიის ფული. ყველა ეს ზემოხსენებული პრობლემა დამახასიათებელია როგორც დიდი, ასევე მცირე პარტიებისთვის. ეს პრობლემები მნიშვნელოვნად აფერხებს საქართველოში შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარებას და ამცირებს პარტიების მიმართ ამომრჩევლის ნდობას.


თავი IV

IV. 1 საარჩევნო სისტემის გავლენა შიდაპარტიულ დემოკრატიაზე

საარჩევნო სისტემა შიდაპარტიული დემოკრატის ისეთ საკვანძო საკითხებზე ახდენს გავლენას, როგორც პარტიათა დეცენტრალიზაცია და კანდიდატთა შერჩევის პროცესის ინკლუზიურობაა. პარტიათა დეცენტრალიზაციის პროცესში რეგიონალურ პროპორციულ საარჩევნო სისტემას მნიშვნელოვანი როლის შესრულება შეუძლია, პრეფერენციული ხმის მიცემის წესი პარტიათა შორის არჩევანის გაკეთებასთან ერთად შიდა პარტიულ კონკურენციასაც უზრუნველყოფს. ამ მხრივ, დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში ჩამოყალიბებული საარჩევნო სისტემა უარყოფითი შედეგების მომტანი აღმოჩნდა. შერეული საარჩევნო მოდელის პროპორციულ ნაწილში მოქმედმა დახურული სიების სისტემამ ქვეყანაში უკიდურესად ცენტრალიზებული პოლიტიკური პარტიების ჩამოყალიბებას შეუწყო ხელი, სადაც კანდიდატების შერჩევის პროცესიდან პარტიის რიგითი წევრები და მხარდამჭერები პრაქტიკულად სრულიად იზოლირებულნი არიან, ამასთანავე, მაჟორიტარულ ნაწილში კანდიდატების შერჩევის პროცესი ასევე განიცდიდა ინკლუზიურობის დეფიციტს.

შიდაპარტიულ დემოკრატიაზე განსხვავებული საარჩევნო სისტემები განსხვავებულ გავლენას ახდენენ. პროპორციული საარჩევნო სისტემის შემთხვევაში, შიდა პარტიული დემოკრატის გაძლიერების ხელშესაწყობად ყველაზე ოპტიმალური ვარიანტი ისეთი სისტემებია, როდესაც ამომრჩეველს პარტიის მიერ შემოთავაზებული მრავალი კანდიდატიდან მისთვის სასურველი პოლიტიკოსების შერჩევის საშუალება ეძლევა. ამ მხრივ, საქართველოში მოქმედი ხისტი სიების სისტემა ამომრჩეველსა და პოლიტიკურ პარტიებს შორის კანდიდატთა

შერჩევის პროცესში გადაულახავ ბარიერს წარმოქმნის, როდესაც ამომრჩეველი იძულებული ხდება მისი პარტიის მიერ შემოთავაზებულ სიას გამოუცხადოს მხარდაჭერა, იმის მიუხედავად, იზიარებს თუ არა პარტიის მიერ საარჩევნო სიაში დადგენილ თანმიმდევრობასა და მის შემადგენლობას.



სურათი: 1. საარჩევნო სისტემების კლასიფიკაცია

როგორც პირველ სურათზეა გამოსახული, საარჩევნო სისტემებში გამოყოფენ 4 ძირითად ოჯახს, რომელიც მაჟორიტარულ, შერეულ, პროპორციულ და სხვა სახის სისტემებს აერთიანებს. თავის მხრივ, აღნიშნული სისტემები საკუთარ თავში მრავალ განსხვავებულ საარჩევნო სისტემებს მოიცავენ.




სურათი: 2. მაჟორიტარული საარჩევნო სისტემები

მეორე სურათზე ნაჩვენებია მაჟორიტარული საარჩევნო სისტემი, რომელთაგანაც შიდაპარტიული დემოკრატის გაძლიერების მიმართულებით დადებითი გავლენის მოხდენა მრავალმანდატიან მაჟორიტარულ სისტემებს შეუძლიათ. მრავალმანდატიან მაჟორიტარულ

ოლქებში ძირითადად ბლოკური და პარტიულ-ბლოკური კენჭისყრა გამოიყენება. ბლოკური კენჭისყრის შემთხვევაში, ამომრჩეველს ზუსტად იმდენი ხმა აქვს, რამდენი კანდიდატიცაა საარჩევნო კონკრეტული საარჩევნო ოლქიდან. პირობითად, 7 მანდატიანი ოლქის შემთხვევაში, პოლიტიკურ პარტიებს ამდენივე კანდიდატის წარდგენის საშუალება აქვთ, ამომრჩეველს კი კანდიდატებიდან მისთვის სასურველი 7 პოლიტიკოსისთვის შეუძლია ხმის მიცემა. ხმების დათვლის შემდეგ კი მანდატებს 7 ყველაზე მაღალი მხარდაჭერის მქონე კანდიდატი მოიპოვებს. თეორიულად, ამ სისტემის პირობებში, ამომრჩეველს საკუთარი ხმების სხვადასხვა პარტიების კანდიდატებზე გადანაწილება შეუძლია, რაც ნიშნავს, რომ პარტიის მიერ წარდგენილი მრავალი კანდიდატიდან თანამდებობაზე მხოლოდ მაღალი მხარდაჭერის მქონე ნაწილი შეიძლება აირჩეს. უნდა აღინიშნოს, რომ ბლოკურ კენჭისყრას სერიოზული ნაკლოვანებები გააჩნია, კერძოდ, ფარდობითი უმრავლესობის მაჟორიტარული სისტემის მსგავსად, მანდატები ამ შემთხვევაშიც არაპროპორციულად ნაწილდება. ამავდროულად, მიუხედავად იმისა, რომ შიდაპარტიულ კონკურენციაში ამომრჩევლის გავლენის გაზრდის თვალსაზრისით აღნიშნულ სისტემას თეორიულად დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია, პრაქტიკაში ამან, სშირად, შეიძლება არ იმუშაოს და ამომრჩეველმა მისთვის მიცემული ყველა ხმა ერთი პარტიის კანდიდატებს მიანიჭოს. ასეთ შემთხვევაში, ხშირად პარლამენტის დემოკრატიულ მუშაობას ექმნება საფრთხე, რადგანაც თითქმის ყველა მანდატს გამარჯვებული პარტია იღებს. მსგავსი ნაკლოვანება გააჩნია პარტიულ-ბლოკურ კენჭისყრასაც, რომლის მიხედვითაც ამომრჩეველი მრავალმანდატიან ოლქში პარტიების მიერ შემოთავაზებულ სიებს უყრის კენჭს, მაგრამ პროპორციული წარმომადგენლობის სისტემისგან განსხვავებით, აქ მანდატები პროპორციულად არ ნაწილდება და გამარჯვებული იღებს ყველაფერს. 50% + 1 ხმა საკმარისია ოლქის მანდატების 100%-ის მოსაპოვებლად. ბლოკური კენჭისყრისგან განსხვავებით, პარტიულ-ბლოკური კენჭისყრა შიდაპარტიული დემოკრატის განვითარებას თეორიულ დონეზეც კი არ უწყობს ხელს. მიუხედავად სერიოზული ნაკლოვანებებისა, მაჟორიტარულ სისტემებს შორის, ბლოკური ხმის მიცემა ერთადერთია, რომელიც ამომრჩეველს გარკვეულწილად შიდა + პარტიული კონკურენციის

პროცესზე საკუთარი გავლენის მოხდენის შესაძლებლობას სთავაზობს.




სურათი: 3. პროპორციული საარჩევნო სისტემები

მესამე სურათზე გამოსახულია პროპორციული საარჩევნო სისტემის ნაირსახეობები, რომელიც ორ ძირიდად სისტემად ჯგუფდება, ესენია: სიითი პროპორციული წარმომადგენლობა და ერთი გადაცემადი ხმის სისტემა. სიითი პროპორციულ წარმომადგენლობაში, თავის მხრივ, გამოიყოფა საარჩევნო სიების 3 განსხვავებული კატეგორია, დახურული, ღია და თავისუფალი სიების სახით (Reynolds et al/რეიონოლდსი და სხვები, 2005). პროპორციული საარჩევნო სისტემებიდან მხოლოდ დახურული სიების სისტემა წარმოადგენს იმ შემთხვევას, რომელსაც შიდაპარტიული დემოკრატის განვითარებაზე დადებითი ეფექტის მოხდენა არ შეუძლია. ყველა სხვა დანარჩენი ნაირსახეობა ამომრჩეველს პარტიათა შიგნით კანდიდატების შერჩევის პროცესზე ბერკეტების მოპოვების საშუალებას სთავაზობს.

ერთი გადაცემადი ხმის სისტემა მრავალმანდატიან ოლქებში გამოიყენება და ის ამომრჩეველს საკუთარი შეხედულებების მიხედვით ბიულეტენში კანდიდატების რანჟირების შესაძლებლობას სთავაზობს. რანჟირება კანდიდატებისთვის 1, 2, 3, 4... და შემდეგი პრეფერენციების

მინიჭებას გულისხმობს. შედეგების დათვლისას ჯერ დადგინდება საარჩევნო კვოტა, ხმათა ის მინიმალური რაოდენობა, რომელიც მანდატის მოსაპოვებლად საჭირო, შემდეგ კი დაითვლება კანდიდატთა პირველი პრეფერენციები და მანდატს ისინი მიიღებენ, რომლებსაც კვოტის შესაბამისი ხმები აღმოაჩნდებათ. გადაუნაწილებელი მანდატების შემთხვევაში, არჩეული კანდიდატის ჯარბი ხმები სხვა კანდიდატებს გადაუნაწილდება, რისთვისაც გამარჯვებული კანდიდატის საარჩევნო ბიულეტენებში არსებული მეორე უპირატესობები გამოიყენება. აღნიშნული სისტემის შემთხვევაში, კანდიდატების შერჩევის პროცესი ექსკლუზიურად პარტიის მაღალი თანამდებობის პირების კომპეტენციას არ წარმოადგენს და ნებისმიერი, თუნდაც შინაგანად არადემოკრატიული პარტიის შემთხვევაშიც, ამომრჩეველს, კანდიდატებისთვის უპირატესობების მინიჭების გზით, საკუთარი პოზიციების გამოხატვის საშუალებას აძლევს.

სიითი პროპორციული წარმომადგენლობის შემთხვევაში, კანდიდატების შერჩევის პროცესზე ამომრჩევლის გავლენას ღია და თავისუფალი სიები უზრუნველყოფენ. ღია სიების პროპორციულ წარმომადგენლობით სისტემებში ამომრჩეველს საშუალება ეძლევა ხმა მისცეს როგორც პარტიულ სიას, ასევე საკუთარი პრეფერენციის მიხედვით, ამ სიაში შემავალ კონკრეტულ კანდიდატს ან კანდიდატებს. არჩევანის გაკეთების კიდევ უფრო მეტ თავისუფლებას იძლევა პანაშაჟი, იგივე თავისუფალი სიები, რომელიც ამომრჩეველს რამდენიმე საარჩევნო სუბიექტის სიებიდან მისთვის სასურველი კანდიდატებისთვის მხარდაჭერის გამოცხადების საშუალებას სთავაზობს. მსგავსი სიების შემთხვევაში კანდიდატების შერჩევის პროცესზე ამომრჩევლის გავლენა მაღალია და არჩევნები პარტიათა შორის კონკურენციასთან ერთად შიდა პარტიული შეჯიბრებითობითაც ხასიათდება.



სურათი: 4. სხვა საარჩევნო სისტემები

მეოთხე სურათზე მოცემული საარჩევნო სისტემებიდან ერთი არაგადაცემადი ხმის სისტემა და შეზღუდული კენჭისყრა მრავალმანდატიან ოლქებში გამოიყენება, ბორდას დათვლა კი შესაძლებელია გამოყენებულ იქნას, როგორც მრავალმანდატიან, ისე ერთმანდატიან ოლქებშიც. სამივე მათგანი პრეფერენციულ საარჩევნო სისტემას წარმოადგენს და შიდაპარტიული დემოკრატის განვითარების მიმართულებით დადებითი გავლენის მატარებლები შეიძლება აღმოჩნდნენ. ერთი არაგადაცემადი ხმის სისტემაში მრავალმანდატიან ოლქში ამომრჩეველს მხოლოდ ერთი ხმა აქვს და მას ერთ კანდიდატს ანიჭებს. ხმების დათვის შემდეგ მანდატებს ყველაზე მაღალი მხარდაჭერის მქონე კანდიდატები მოიპოვებენ. პოლიტიკურ პარტიებს, შეუძლიათ იმდენივე კანდიდატი წარადგინონ რამდენ მანდატიანიცაა ოლქი, თუმცა, ამომრჩეველი მხოლოდ მისთვის სასურველ 1 კანდიდატს მისცემს ხმას. დაახლოებით მსგავსი პრინციპი მოქმედებს შეზღუდული კენჭისყრის შემთხვევაში, თუმცა, ერთი არაგადაცემადი ხმის სისტემისგან განსხვავებით, აქ ამომრჩეველს რამდენიმე არჩევანის გაკეთების საშუალება აქვს, მაგრამ ხმების რაოდენობა ყოველთვის უფრო ნაკლებია, ვიდრე გასანაწილებელი მანდატები. აღნიშნული ორი სისტემისგან განსხვავებულია ბორდას დათვლა. გარდა იმისა, რომ ის ერთმანდატიან ოლქებშიც გამოიყენება, განხვავებები გვხვდება ხმის მიცემისა და ხმების

დათვლის წესშიც. ამ სისტემის შემთხვევაში, ამომრჩეველი კანდიდატებს 1, 2, 3, 4... პრეფერენციებს ანიჭებს, დათვლის პროცესში კი კანდიდატების ქულების მიხედვით დგინდება, თუ ვინ მიიღო მანდატი. პირველი პრეფერენცია 1 ქულას უდრის, მე-2 ორს და ა.შ. ამ პრინციპით ჯამდება კანდიდატთა მიერ მიღებული ხმები და ყველაზე ნაკლები ქულების მქონე კანდიდატები აირჩევიან. მრავალმანდატიან ოლქში გამოყენების შემთხვევაში, ბორდას დათვლაც სხვა პრეფერენციული სისტემების მსგავსად ამომრჩეველს საშუალებას აძლევს, რომ შიდაპარტიულ პროცესებზე გარკვეული გავლენა მოიპოვოს.

რაც შეეხება შერეულ საარჩევნო სისტემებს, ამ შემთხვევაში მნიშვნელოვანი შერეული საარჩევნო სისტემის პროპორციული ნაწილია. როგორც წესი, ასეთ დროს ხისტი სიების სისტემა გამოიყენება და მას შიდაპარტიულ დემოკრატიაზე მნიშვნელოვანი გავლენის მოხდენა არ შეუძლია.

გარკვეულ საარჩევნო სისტემებს კანდიდატთა შერჩევასის პროცესსა და შიდაპარტიულ კონკურენციაზე გავლენის მოხდენის გარდა, პარტიების დეცენტრალიზაციის ხელშეწყობაც შეუძლია. ქვეყნის მასშტაბით რამდენიმე მრავალმანდატიანი ოლქის ჩამოყალიბებამ, ხმის მიცემის პრეფერენციული წესის დანერგვასთან ერთად, პარტიათა დეცენტრალიზაციას უნდა შეუწყოს ხელი. პრეფერენციული არჩევნების ფაქტორიდან გამომდინარე პარტიის კანდიდატებსა და ამომრჩეველს შორის კავშირებს უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება, ისეთი პარტიების შემთხვევაში კი რომელშიც ძალაუფლება უკიდურესად ცენტრალიზებულია, რეგიონალურ-მრავალმანდატიანი ოლქების საარჩევნო სისტემებით ადგილობრივი ამომრჩეველებისთვის სასურველი კანდიდატების შერჩევა დამატებით სირთულეებთანაა დაკავშირებული. ამომრჩეველთან კავშირების გასაძლიერებლად მსგავსი საარჩევნო სისტემები პოლიტიკურ პარტიებს დეცენტრალიზაციის მიმართულებით სიგნალს უგზავნიან. ამდენად, მრავალმანდატიანი ოლქების სისტემები, სადაც ხმის მიცემის პრეფერენციული წესი მოქმედებს, პოლიტიკურ პარტიებში კანდიდატთა შერჩევის პროცესზე რიგითი წევრებისა და მხარდამჭერების გავლენას ზრდიან და პარტიებს დეცენტრალიზაციისკენ უბიძგებენ. კანდიდატთა შერჩევა და დეცენტრალიზაცია კი შიდაპარტიული დემოკრატის საკვანძო საკითხებია.

IV. 2 საქართველოს საარჩევნო სისტემა და მისი გავლენა შიდაპარტიულ დემოკრატიაზე

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოს საარჩევნო სისტემამ რამდენჯერმე განიცადა ცვლილება. პირველი საპარლამენტო არჩევნები პოსტ საბჭოთა საქართველოში 1992 წელს გაიმართა, რომელიც 1990 წლის უზენაესი საბჭოს არჩევნების მსგავსად შერეული საარჩევნო სისტემით ჩატარდა, თუმცა, არსებობდა მნიშვნელოვანი განსხვავებები. 1992 წელს არჩევნების პროპორციული ნაწილისთვის შეიქმნა 10 მრავალმანდატიანი საარჩევნო ოლქი, სადაც ამომრჩეველთა რაოდენობა 230-250 ათასს შორის მერყეობდა, თითოეულ ამომრჩეველს კი გააჩნდა 3 ხმა, რომლის მიხედვითაც ბიულეტენში მას საკუთარი პრეფერენციის გამოხატვის საშუალება ეძლეოდა. დამოუკიდებელი საქართველოს საარჩევნო ისტორიაში 1992 წლის საპარლამენტო არჩევნები ერთადერთი შემთხვევაა, როდესაც რეგიონალურ პროპორციული საარჩევნო სისტემა და ხმის მიცემის პრეფერენციული წესი გამოიყენებოდა. 1995-2020 წლების პერიოდში გამართული ყველა საპარლამენტო არჩევნები შერეული საარჩევნო სისტემით ტარდებოდა, სადაც პროპორციულ ნაწილში ამომრჩეველი ერთ მრავალმანდატიან ოლქში პარტიის მიერ შემოთავაზებულ სიებს უყრიდა კენჭს, ამდენად, ქვეყანაში დახურული სიების პროპორციული საარჩევნო სისტემა მოქმედებდა. 1995-2020 წლების განმავლობაში საქართველოში 8 საპარლამენტო არჩევნები გაიმართა ისე, რომ საარჩევნო სისტემას ფუნდამენტური ცვლილებები არ განუცდია, იცვლებოდა მხოლოდ მთავარი საკანონმდებლო ორგანოს დეპუტატთა რაოდენობა, პროპორციული და მაჟორიტარული გზით ასარჩევი კანონმდებლების პროპორცია და საარჩევნო ბარიერი, რომელიც 1999 და 2003/04 წლების საპარლამენტო არჩევნებისთვის განსაკუთრებით მაღალი იყო და 7%-ს უტოლდებოდა, 2008 წლისთვის კი ზღვარმა 5%-მდე დაიწია.

საქართველოს საარჩევნო სისტემაში მნიშვნელოვანი კორექციები მეცხრე მოწვევის პარლამენტმა შეიტანა, რომელმაც საკონსტიტუციო ცვლილებების შესაბამისად, 2024 წლიდან სრულად პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე გადასვლის გადაწყვეტილება მიიღო, თუმცა, ქვეყანაში საარჩევნო რეფორმა ანტისახელისუფლებო პროტესტის

გაძლიერებამ დააჩქარა. 2019 წელს საპარლამენტო უმრავლესობამ პროპორციულ საარჩევნო სისტემაზე მყისიერი გადასვლის დაპირება გასცა, რომლის თანახმადაც, აღნიშნული სისტემით პარლამენტის დაკომპლექტება უკვე 2020-ის არჩევნებით იქნებოდა შესაძლებელი, თუმცა, აღნიშნული დანაპირები არ შესრულდა, რამაც ახალი საპროტესტო ტალღა გამოიწვია. საბოლოოდ დასავლეთის ფასილიტატორობით მხარეები 2020 წლისთვის პროპორციულთან მიახლოებული სისტემის ჩამოყალიბებაზე შეთანხმდნენ, რომელმაც მაჟორიტარი დეპუტატების რაოდენობა 73-დან 30-მდე შეამცირა, სანაცვლოდ 120-მდე გაიზარდა პროპორციული გზით მოსაპოვებელი მანდატების რიცხვი.

2020 წლის არჩევნების შემდეგ ქვეყანაში განვითარებული პოლიტიკური კრიზისის ფონზე საარჩევნო სისტემა დისკუსიის საგნად კიდევ ერთხელ იქცა. ამჯერად ევროპის კავშირის მედიატორობით ოპოზიციის ნაწილსა და ხელისუფლებას შორის გაფორმებული შეთანხმების მიხედვით, მომდევნო საპარლამენტო არჩევნები სრულად პროპორციული სისტემით უნდა გაიმართოს, მათ შორის შემდეგი 2 არჩევნებისთვის ბარიერი ბუნებრივიდან 2%-მდე უნდა მერყეობდეს.

საქართველოში მოქმედმა საარჩევნო კანონმდებლობამ ქვეყნის პარტიულ სისტემასა და შიდაპარტიულ დემოკრატიაზე რამდენიმე მიმართულებით იქონია უარყოფითი გავლენა: 1. შერეულმა საარჩევნო სისტემამ, რომლის პროპორციული ნაწილიც დახურული სიების პრაქტიკაზე იყო აგებული, ქართულ პოლიტიკურ პარტიებში კანდიდატთა შერჩევის პროცესიდან რიგითი წევრებისა და მხარდამჭერების მაქსიმალურ იზოლირებას შეუწყო ხელი. პრეფერენციული ხმის მიცემის წესის დანერგვის შემთხვევაში, ამომრჩეველს პარტიის მიერ შემოთავაზებული მრავალი კანდიდატიდან მისთვის სასურველი პოლიტიკოსის არჩევის საშუალება ექნებოდა, რაც საჯარო არჩევით თანამდებობებზე კანდიდატთა შერჩევის პროცესში მეტ ინკლუზიურობას შეიტანდა და პარტიის ლიდერებსა და მმართველ ორგანოებზე რიგითი წევრებისა და მხარდამჭერების გავლენას გაზრდიდა; 2. პროპორციულ ნაწილში ერთი მრავალმანდატიანი ოლქის სისტემამ საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიების ცენტრალიზაცია გააძლიერა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში ჩამოყალიბებულ პოლიტიკურ პარტიებზე დაკვირვება გვაჩვენებს, რომ ისინი უკიდურესად

ცენტრალიზებულ ორგანიზაციებს წარმოადგენენ. ამ შემთხვევაში, ქვეყანაში მოქმედი საარჩევნო სისტემა პოლიტიკური პარტიებისთვის დეცენტრალიზაციის მიმართულებით სტიმულის მიმცემი არ აღმოჩნდა. რეალობა განსხვავებული იქნებოდა რეგიონალურ-პროპორციული საარჩევნო სისტემის შემთხვევაში, რომელიც პარტიებისთვის ბუნებრივად გააჩენდა მსგავს სტიმულებს და მათი დეცენტრალიზაციის პროცესს შეუწყობდა ხელს; 3. შერეულმა საარჩევნო სისტემამ და პროპორციულ ნაწილში მაღალმა ბარიერმა პარტიებისა და სტაბილური პარტიული სისტემის ჩამოყალიბებას შეუშალა ხელი. ახალ დემოკრატიაში გამართული პარტიული სისტემის შექმნისთვის საუკეთესო პრაქტიკას სრულად პროპორციული და დაბალ ბარიერიანი საარჩევნო სისტემა წარმოადგენს, რაც მცირე რესურსების მქონე პარტიებს საკანონმდებლო ორგანოში მოხვედრისა და განვითარების საშუალებას აძლევს. საქართველოში მსგავსი საარჩევნო სისტემის ჩამოყალიბების წინააღმდეგი თანაბრად იყვნენ, როგორც სახელისუფლებო, ისე დიდი ოპოზიციური პარტიები, რადგანაც კონკურენტული პარტიების გაჩენას უფრთხოდნენ. ამდენად, საარჩევნო კანონმდებლობის ძირეულ ცვლილებას საქართველოში ბევრი ინიციატორი და მხარდამჭერი არასდროს ჰყოლია.

მრავალი ფაქტორის გათვალისწინებით, სავარაუდოა, რომ საქართველოს საპარლამენტო არჩევნებისთვის ყველაზე ოპტიმალურ საარჩევნო სისტემას რეგიონალურ-პროპორციული საარჩევნო სისტემა წარმოადგენს, რომელიც ღია სიების პროპორციულ წარმომადგებლობაზე იქნება დაფუძნებული. ამ შემთხვევაში, შიდა პარტიული დემოკრატის გაძლიერების გარდა, აღნიშნული სისტემა ქვეყანაში გამართული პარტიული სისტემის ჩამოყალიბებასაც შეუწყობს ხელს. ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნებისთვის კი უფრო რადიკალური ნაბიჯების გადადგმაც შესაძლებელია, რაც თვითმმართველი ორგანოების დაკომპლექტების პროცესში თავისუფალი სიების პროპორციული წარმომადგენლობის სისტემის დანერგვას გულისხმობს.

თავი V

V. 1 საქართველოს კანონმდებლობა და პოლიტიკურ პარტიათა შიდაპარტიული სტრუქტურა

როგორც ზემოთ აღინიშნა, მეორე მსოფლიო ომის დასრულების შემდეგ ევროპაში პარტიების კანონმდებლობით რეგულირების პროცესი დაიწყო. პარტიათა შესახებ ჩანაწერები ჩნდება ეროვნულ კონსტიტუციებშიც, აღნიშნული პროცესის მედროშეები კი გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკისა და იტალიის სახით ის ახალი დემოკრატიები არიან, რომლებიც ავტოკრატიული რეჟიმების დამხობის შემდეგ დემოკრატიულ წყობილებას მიუბრუნდნენ. მე-20 საუკუნის მეორე ნახევარში ევროპის კონტინენტზე არსებული ავტოკრატიული რეჟიმები ეტაობრივად წყვეტენ არსებობას და დემოკრატიზაციის პროცესს გადიან, ამ პროცესში კი პოლიტიკური პარტიების რეგულირებას განსაკუთრებული ადგილი უჭირავს, რადგანაც პარტიები დემოკრატიისთვის სასიცოცხლოდ მნიშვნელოვან აქტორებს წარმოადგენენ, რომელთა ჩამოყალიბებას, განვითარებასა და შიდადემოკრატიული სტრუქტურის უზრუნველყოფას ახალ დემოკრატიებში მრავალმა ფაქტორმა შეიძლება შეუშალოს ხელი. ამიტომაც, ევროპის ახალ დემოკრატიებში ეროვნული კონსტიტუციები და პარტიების შესახებ კანონმდებლობა მრავალ საკითხს ეხებოდა, იქნებოდა ეს პარტიული დაფინანსებისა თუ შიდაპარტიული დემოკრატიის საკითხები. ბულგარეთის, ხორვატიის, გერმანიის, საფრანგეთის, ჩეხეთის, იტალიის, პორტუგალიის, პოლონეთის, ესპანეთის, შვეიცარიის, რუმინეთის, უკრაინისა და უნგრეთის კონსტიტუციებში პოლიტიკური პარტიების რეგულირების ნაწილში ჩანაწერები ეხება დემოკრატიული პრინციპების დაცვის აუსილებლობას (ვან ბიეზენი, 2012. გვ. 202), რაც ნიშნავს იმას, რომ კონსტიტუციები პოლიტიკურ პარტიებს შიდაპარტიული დემოკრატიის უზრუნველყოფას ავალდებულებენ. შემდგომ წლებში ახალ დემოკრატიებში დაწყებული პოლიტიკური პარტიების რეგულირების

პროცესი ძველ, კონსოლიდირებულ დემოკრატიებზეც გავრცელდა და პარტიებზე ისეთი სახელმწიფოების კონსტიტუციებში გაჩნდა ჩანაწერები, როგორებიც საფრანგეთი, შვედეთი, ნორვეგია, ფინეთი, შვეიცარია და ლუქსემბურგია.

საბჭოთა კავშირის დაშლის, დამოუკიდებლობის მოპოვებისა და დეკლარირებულად დემოკრატიული კურსის აღების შემდეგ პოლიტიკური პარტიების რეგულირება საქართველოშიც დაიწყო, თუმცა, თუ ქართულ პოლიტიკურ პარტიებში არსებულ შიდაპარტიული დემოკრატიის მწვავე დეფიციტს გავითვალისწინებთ, აშკარა ხდება, რომ ამ მიმართულებით კანონმდებლობა, როგორც მინიმუმ, დახვეწას საჭიროებს.

საქართველოს კონსტიტუციაში ვხვდებით ჩანაწერს, რომელიც პარტიებს შიდადემოკრატიის უზრუნველყოფას ავალდებულებს, თუმცა, პრაქტიკაში ის არ მუშაობს. კონსტიტუციაში ვკითხულობთ: „მუხლი 3. 4. პოლიტიკური პარტიები მონაწილეობენ ხალხის პოლიტიკური ნების ჩამოყალიბებასა და განხორციელებაში. პოლიტიკური პარტიების საქმიანობა ეფუძნება მათი თავისუფლების, თანასწორობის, გამჭვირვალობისა და შიდაპარტიული დემოკრატიის პრინციპებს.“ (საქართველოს კონსტიტუცია). კონსტიტუციაში ეს ერთადერთი ჩანაწერია, რომელიც შიდაპარტიულ დემოკრატიას ეხება. ქვეყანაში პოლიტიკურ პარტიებს, ძირითადად, „კანონი პოლიტიკური პარტიების შესახებ“ არეგულირებს, რომელიც შიდაპარტიული დემოკრატიის თვალსაზრისით პოლიტიკურ პარტიებს მინიმალურ სტანდარტებს უწესებს, რომლის დაკმაყოფილებაც ნებისმიერ, თუნდაც ერთი ადამიანის ირგვლივ გაერთიანებულ და ლიდერის მიერ ერთპიროვნულად მართულ პარტიასაც შეუძლია.

პოლიტიკური პარტიების შესახებ კანონის მე-2 მუხლი აღიარებს, რომ პოლიტიკური პარტიების არსებობა დემოკრატიული საზოგადოებისთვის აუცილებლობას წარმოადგენს. მე-3 მუხლის მიხედვით კი, პარტიების საქმიანობა შემდეგი პრინციპებიდან უნდა გამომდინერებოდეს: ა) პარტიაში გაწევრიანებისა და პარტიიდან გასვლის ნებაყოფლობითობა; ბ) დამოუკიდებლობა და თვითმმართველობა; გ) არჩევითობა და ანგარიშვალდებულება; დ) პარტიების თანასწორობა კანონის წინაშე;

ე) პარტიის შექმნისა და საქმიანობის საჯაროობა. კანონმდებლობა პარტიებს ავალდებულებს, რომ წესდებაში გაწერილი იყოს შემდეგი: - წევრად მიღებისა და წევრობის შეწყვეტის პირობები, წევრის უფლება-მოვალეობები, ორგანიზაციული სტრუქტურა, ხელმძღვანელი, აღმასრულებელი და მაკონტროლებელი ორგანოების შექმნის წესი, მათი კომპეტენცია და უფლებამოსილების ვადა, ქონების შექმნის წყაროები და მისი გამოყენების წესი, ზოგად და სპეციალურ წარმომადგენლობაზე უფლებამოსილ თანამდებობის პირთა ჩამონათვალი და წარმომადგენლობის ფარგლები, წესდებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის წესი და პირობები.

რაც შეეხება ორგანიზაციულ სტრუქტურას, კანონმდებლობა პარტიებს ავალდებულებს, რომ ხელმძღვანელი, აღმასრულებელი და მაკონტროლებელი ორგანოები შექმნან. კანონმდებლობის მე-17 მუხლით დადგენილია, რომ პარტიის უმაღლესი ორგანო - ყრილობა არანაკლებ 4 წელიწადში ერთხელ უნდა ჩატარდეს და მას პარტიის წევრები ან წევრთა ჯგუფების მიერ არჩეული წარმომადგენლები უნდა დაეწრონ, ყრილობა უფლებამოსილი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება, თუ მას წევრების ან წარმომადგენლების მინიმუმ ნახევარი ესწრება. საქართველოს კანონმდებლობა პოლიტიკურ პარტიებს საშუალებას აძლევს, რომ 200 დელეგატიანი ყრილობებიც კი 4 წელიწადში ერთხელ გამართონ, რაც ნამდვილად ვერ ჩაითვლება დემოკრატიულ პრაქტიკად.

იმ მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილება, რასაც კანონმდებლობა პოლიტიკურ პარტიებს უწესებს, შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარების მიმართულებით მნიშვნელოვანი სარგებლის მომტანი არაა. როგორც უკანასკნელი 30 წლის გამოცდილება აჩვენებს, პარტიები აკმაყოფილებენ კანონმდებლობით გათვალისწინებულ მოთხოვნებს, 4 წელიწადში ერთხელ მართავენ პარტიის ყრილობას, მასთან ერთად აყალიბებენ პარტიის აღმასრულებელ და მაკონტროლებელ ორგანოებს, თუმცა, შიდაპარტიულ სტრუქტურაში რეალური დემოკრატიის დანეგრვის წინააღმდეგინ არიან.

დასავლურ სამყაროში შიდაპარტიულ დემოკრატიაზე მუშაობა პოლიტიკურმა პარტიებმა მას შემდეგ დაიწყეს, რაც მათსა და ამომ-

არჩევებს შორის კავშირი შესუსტდა და პარტიების მიმართ არსებული ნდობა შემცირდა. აღნიშნულმა პროცესებმა დასავლური პოლიტიკური პარტიები კრიზისის წინაშე დააყენა, რომლის დასაძლევადაც შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარების მიმართულებით გადაიდგა ნაბიჯები. საპირისპიროდ, ქართულ რეალობაში, წლებია პოლიტიკური პარტიების მიმართ ნდობის გაქრობისა და ამომრჩეველთან გაუცხოების ტენდენცია შეინიშნება, რასაც ბოლო წლების სოციოლოგიური გამოკითხვებიც ადასტურებენ, თუმცა, ამას საქართველოში მოქმედი პარტიებისთვის შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარებაზე მუშაობის დასაწყებად ბიძგი არ მიუცია. სამწუხაროდ, მიუხედავად იმისა, რომ ამომრჩევლისგან მკაფიო სიგნალები მოდის, პარტიებში შიდაპარტიული დემოკრატიის მიმართულებით მნიშვნელოვანი რეფორმები არ შეინიშნება, რისი მიზეზიც პარტიული ელიტების მიერ ძალაუფლებისა და ფინანსური რესურსების შენარჩუნების სურვილი შეიძლება იყოს.

ამდენად, პარტიათა რეგულირების მიმართულებით, საქართველოს კანონმდებლობას სერიოზული ხარვეზები გააჩნია. ყრილობების მხოლოდ 4 წელიწადში ერთხელ ჩატარება, რის საშუალებასაც პოლიტიკურ პარტიებს საქართველოს კანონმდებლობა აძლევს, შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარებისთვის ხელშესახებ შედეგებს არ იძლევა. 2018 წლამდე, ვიდრე სახელმწიფოს მეთაური ჯერ კიდევ საყოველთაო არჩევნების გზით აირჩეოდა, 4 წლის განმავლობაში საქართველოში შეიძლებოდა საპარლამენტო, საპრეზიდენტო და ადგილობრივი თვითმმართველობების არჩევნები ისე გამართულიყო, რომ აღნიშნულ არჩევნებში მონაწილე პარტიებს მხოლოდ ერთი ყრილობა ჰქონოდათ გამართული, რაც ნიშნავს იმას, რომ კანდიდატთა შერჩევის პროცესიდან პარტიის ყრილობები სრულად ჩამოშორებულია და ის ინკლუზიურობის მწვავე დეფიციტს განიცდის. აღსანიშნავია, რომ 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის ერთიანი ნაციონალური მოძრაობა პრაიმერიზის გზით კანდიდატის შერჩევის პრაქტიკის დანერგვას ეცადა, თუმცა, მის განვითარებასა და დახვეწაზე მუშაობა არ გაგრძელდებულა. კანდიდატების შერჩევის ინკლუზიური ფორმები ქართული პოლიტიკური პარტიებისთვის კვლავაც უცხოა, რომლისგანაც რიგითი წევრები სრულად იზოლირებულნი არიან.

პარტიის უმაღლესი მმართველი ორგანოების ფუნქციონირების მიმართულებით კანონმდებლობის მიერ პოლიტიკური პარტიებისთვის მეტი მოთხოვნის წაყენება, შესაძლოა, ქვეყანაში შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარებისთვის ერთ-ერთი ხელშემწყობი ფაქტორი აღმოჩნდეს. ყრილობების უფრო მეტი სიხშირით ჩატარება და მათთვის კომპეტენციის გაზრდა პარტიის შიგნით გადაწყვეტილების მიღების პროცესის ინკლუზიურობას გააუმჯობესებს, რომელიც შიდაპარტიული დემოკრატიის ერთ-ერთი, მაგრამ არა უმთავრესი კომპონენტია.

ინკლუზიურობა შიდაპარტიული დემოკრატიისთვის პანაცეას არ წარმოადგენს, თუ მას სხვა კომპონენტებიც არ უმაგრებენ ზურგს. საქართველოს პოლიტიკური პარტიები ამის კარგი მაგალითია, ის ყრილობებიც კი, რომელიც 4 -წლიან პერიოდში ერთხელ იმართება, ძირითადად პარტიის ლიდერების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დამტკიცებისთვის გამოიყენება და არა გადაწყვეტილებათა მიღების პროცესში რიგითი წევრების ჩართულობის უზრუნველსაყოფად. ამდენად, არსებითი მნიშვნელობა არ აქვს, თუ 4-წლიან პერიოდში რამდენი ასეთი ყრილობა გაიმართება. შიდაპარტიული დემოკრატიის გასაუმჯობესებლად ცალკე აღებულ ინკლუზიურობას მნიშვნელობა ეკარგება, თუ არ არსებობს კარგად გამართული ორგანიზაციული სტრუქტურა, შიდაპარტიული ფრაქციებისთვის საკუთარი განსხვავებული მოსაზრებების დასაფიქსირებლად საჭირო და უსაფრთხო ინსტრუმენტები, ლიდერებისა თუ არჩევითი თანამდებობებისთვის კანდიდატურის წამოყენების გამართული მექანიზმები, პარტიის შიგნით ჯანსაღი დებატებისა და განხილვებისთვის სასიცოცხლოდ აუცილებელი გარემო და შიდაპარტიულ ორგანოებს შორის კონტროლისა და ბალანსის მექანიზმები. საქართველოში მოქმედი ძირითადი პოლიტიკური პარტიების წესდებების შესწავლის საფუძველზე დგინდება, რომ ისინი ყველა ზემოჩამოთვლილი კომპონენტების ნაკლოვანებას განიცდიან.

როგორც აღმოჩნდა, ქართული პოლიტიკური პარტიები საკუთარი ნებით შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარებაზე არ მუშაობენ, ასევე დადგინდა ისეთი გარე ფაქტორების არსებობაც, რომლებიც შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარებას უშლის ხელს. ამ მიმართულებით მთავარ ყურადღებას საარჩევნო სისტემა და

პოლიტიკური პარტიების რეგულირება იმსახურებს. შიდაპარტიულ დემოკრატიაზე საარჩევნო სისტემის გავლენას ცალკე თავი ეთმობა, ისევე როგორც პოლიტიკური პარტიების ფინანსურ რეგულირებას. რაც შეეხება კანდიდატებისა და ლიდერების შერჩევის პროცესსა და მასთან დაკავშირებულ საკითხებს, აღნიშნული მიმართულებით პოლიტიკური პარტიების შესახებ კანონი პრაქტიკულად არაფერს ამბობს, მაშინ როდესაც, კონსტიტუციაში ხაზგასმულია, რომ პოლიტიკური პარტიების საქმიანობა შიდაპარტიული დემოკრატიის პრინციპებს უნდა ეფუძნებოდეს, თუმცა, საქართველოს კანონმდებლობა არ განმარტავს იმას, თუ რა არის შიდაპარტიული დემოკრატია და რა მოთხოვნები უნდა დააკმაყოფილონ პოლიტიკურმა პარტიებმა, რომ მათი საქმიანობა შიდაპარტიული დემოკრატიის პრინციპებთან შესაბამისი აღმოჩნდეს. ეროვნული კანონმდებლობით დადგენილი მინიმალური მოთხოვნების შესრულება კი, როგორც აღმოჩნდა, პარტიებში შიდაპარტიულ დემოკრატიაზე ვერანაირ დადებით გავლენას ვერ ახდენს, რადგანაც მსგავსი მინიმალური სტანდარტების ფორმალური დაკმაყოფილება ნებისმიერ პარტიულ ორგანიზაციას შეუძლია. ქვეყანაში შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარებისთვის დამატებითი სტიმულის მიმცემი კანონმდებლობაში ისეთი ჩანაწერების გაჩენა შეიძლება გახდეს, რომელიც ლიდერებისა და კანდიდატების შერჩევის პროცესში მეტი ინკლუზიურობისა და გამჭვირვალობის მომტანი იქნება.

ქვეყანაში შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტის ერთ-ერთი მთავარი მიზეზი ისაა, რომ ლიდერებს არ გააჩნიათ შესაბამისი პოლიტიკური ნება, პარტიულ საქმიანობაში მეტი ინკლუზიურობა, გამჭვირვალობა, პლურალიზმი, დეცენტრალიზაცია და ანგარიშვალდებულება უზრუნველყონ. უფრო მეტიც, ჭავჭავაძის ცენტრის მიერ ჩატარებულ კვლევაში „შიდაპარტიული დემოკრატია საქართველოში“, პოლიტიკურ პარტიათა წევრების გამოკითხვის საფუძველზე შეინიშნება, რომ პარტიის ლიდერები არათუ ცდილობენ შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარებას, არამედ პირიქით - ებრძვიან მას. მსგავსი დამოკიდებულება შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტის გარდა პარტიათა ინსტიტუციურ სისუსტესაც იწვევს, საქართველოში მოქმედი პოლიტიკური პარტიები, ძირითადად, იმ შიდაპარტიულ ორგანოებს აყალიბებენ, რასაც კანონმდებლობა მოითხოვს. ამდენად, მათი

წესდებები ძირითადად შაბლონურია, შაბლონურ წესებზე დაფუძნებული ორგანიზაციული სტრუქტურა კი გამართული და ეფექტური ვერ იქნება.

აღნიშნული დასკვნის გაკეთების შესაძლებლობას ქართული პოლიტიკური პარტიების წესდებების შესწავლა და მათ საქმიანობაზე დაკვირვება იძლევა. განვიხილოთ თითოეული მათგანი.

V. 2 ქართული ოცნება

ქართული ოცნების წესდების მიხედვით, პარტიის უმაღლესი ხელმძღვანელი და წარმომადგენლობითი ორგანო პარტიის ყრილობაა, რომელიც არანაკლებ 300 დელეგატს აერთიანებს და რიგგარეშე ყრილობების გამოკლებით, პარტიის ბოლო თავმჯდომარის არჩევნების ჩატარებიდან 4 წლის თავზე ტარდება. მამასადაძმე, პარტიას უმაღლესი ორგანოს ყრილობის გამართვის ვალდებულება მხოლოდ 4 წელიწადში ერთხელ აქვს, ამასთანავე დელეგატების დონეზე მიღებული გადაწყვეტილებები შიდაპარტიული დემოკრატიის თვალსაზრისით ნაკლებ ინკლუზიურია, განსაკუთრებით იმ შემთხვევაში, როდესაც საქმე პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების დაკომპლექტებას ეხება. შიდაპარტიული დემოკრატიის მინიმალური სტანდარტები მსგავსი გადაწყვეტილებების მიღების პროცესის მეტ ინკლუზიურობასა და რიგითი წევრების მეტ ჩართულობას მოითხოვს, რაც მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება ქართული ოცნების წესდების მიხედვით გათვალისწინებული არ არის. შეიძლება ითქვას, რომ ყრილობას, რომელიც ინკლუზიურობის დეფიციტის მიუხედავად, მაინც რჩება ქართული ოცნების პარტიულ ორგანიზაციაში ყველაზე დემოკრატიულ ორგანოდ, მხოლოდ ცერემონიალური ხასიათი გააჩნია და იმის გამო არსებობს, რომ პარტიამ კანონმდებლობით გათვალისწინებული მინიმალური მოთხოვნები დააკმაყოფილოს.

ყველაზე მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებები, რომელშიც ყრილობა მონაწილეობს, პარტიის ხელმძღვანელი ორგანოების, კერძოდ: - თავმჯდომარის, პოლიტიკური საბჭოს წევრებისა და სარევიზიო კომისიის წევრების არჩევაა. ამ შემთხვევაში კანდიდატებს პარტიის პოლიტიკური

საბჭო წარადგენს, თუმცა, თუ პოლიტიკურმა საბჭომ კანდიდატები ვერ წარადგინა, აღნიშნული პოზიციები დელეგატთა არანაკლებ 1/3-ის ინიციატივით კომპლექტდება. წესდება არ აკმაყოფილებს შიდაპარტიული დემოკრატიის ძირეულ პრინციპებს, არსებული წესებით: 1. გადაწყვეტილებების მიღების პროცესში რიგითი წევრების რაიმე გზით ჩართულობა პრაქტიკულად შეუძლებელია; 2. დელეგატებზე დაფუძნებულ ყრილობას მნიშვნელოვანი ბერკეტი არ გააჩნია, დელეგატებს არ აქვთ იმის თავისუფლება, რომ მრავალ განსხვავებულ კანდიდატს მოუსმინონ, გაიგონ მათი ხედვები და ამის მიხედვით მიიღონ გადაწყვეტილებები; 3. ყრილობის მიერ ლიდერების არჩევის პროცესი არჩევნების ფუნდამენტური პრინციპების უგულვებელყოფით ტარდება, პარტიული თანამდებობებისთვის კანდიდატების წარდგენა პოლიტიკური საბჭოს ექსკლუზიურ უფლებამოსილებას განეკუთვნება და ამ პროცესში ყრილობა მხოლოდ მაშინ იღებს მონაწილეობას, თუ პოლიტსაბჭო კანდიდატის წარდგენას ვერ შეძლებს; 4. რიგითი წევრები საკუთარი კანდიდატების წარდგენაში შეზღუდულნი არიან, წესდების მიხედვით, მსგავსი მექანიზმი უბრალოდ არ არსებობს; 5. ყრილობის გამართვამდე არ ეწყობა განხილვები, სადაც თავმჯდომარის, პოლიტიკური საბჭოსა თუ სარევიზიო კომისიის კანდიდატები რიგით წევრებს საკუთარ ხედვებს გააცნობენ და მათი მხარდაჭერის აუცილებლობაში დარწმუნებას შეეცდებიან; და ნ. პრაქტიკულად ნულოვან დონეზეა შიდაპარტიული კონკურენცია, დელეგატებს საშუალება არ აქვთ განსხვავებული ხედვების მქონე კანდიდატებს შორის გააკეთონ არჩევანი.

რაც შეეხება არჩევნებისთვის კანდიდატების შერჩევის პროცესს, აქ გადაწყვეტილებების მიმღები მთავარი ორგანო პოლიტიკური საბჭოა. სწორედ ის ამტკიცებს პარტიის მიერ წარსადგენ კანდიდატს ან კანდიდატების სიას. შიდაპარტიული დემოკრატიის თვალსაზრისით, გადაწყვეტილებების მიღების ეს მოდელი მკვეთრად არაინკლუზიურია. ჰაზანის და რაჰატის მოდელის მიხედვით, ქართულ ოცნებაში არჩევითი თანამდებობებისთვის კანდიდატთა შერჩევის პროცესი მაღალი ექსკლუზიულობისაა, რადგანაც მასში მხოლოდ პოლიტიკური საბჭო მონაწილეობს, თუმცა, საქართველოში და საზღვარგარეთაც ხშირია საუბარი, რომ ქართული ოცნება და სახელმწიფო არაფორმალურად ერთი ადამიანის მიერ იმართება (Georgia's bumpy road to democracy:

On track for a European future? 2021, European Union), რაც ყველანაირი დემოკრატიული სტანდარტის უხეში დარღვევაა, თუმცა, ქართული ოცნების წესდების მიხედვითაც კი, აღნიშნული პარტია შიდაპარტიული დემოკრატიის მწვავე დეფიციტს განიცდის. ამავდროულად, აღსანიშნავია, რომ ჭავჭავაძის ცენტრის მიერ ჩატარებული კვლევის - „შიდაპარტიული დემოკრატია საქართველოში“ - საფუძველზე დამტკიცდა, რომ ქართულ პოლიტიკურ პარტიებში არსებულ შიდაპარტიულ ინსტიტუტებსაც მხოლოდ ფორმალური ხასიათი გააჩნია და რეალურად გადაწყვეტილება კიდევ უფრო ვიწრო წრის მიერ მიიღება.

V. 3 ერთიანი ნაციონალური მოძრაობა

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოს პარტიის ყრილობა წარმოადგენს, რომელიც კანონმდებლობის შესაბამისად არანაკლებ 4 წელიწადში ერთხელ ტარდება. ენმ-ის შემთხვევაში, რიგგარეშე ყრილობის მოწვევის რამდენიმე გზა არსებობს: 1. გაერთიანების თავმჯდომარის გადაწყვეტილების საფუძველზე; 2. პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარის მიერ; 3. გაერთიანების წევრთა 10%-ის; ან 4. პოლიტიკური საბჭოს ინიციატივით. ყრილობაზე დასასწრები გაერთიანების წევრთა ან დელეგატთა რაოდენობას და დელეგატთა არჩევის წესს პოლიტიკური საბჭო განსაზღვრავს. წესდების მიხედვით, ყრილობის განსაკუთრებული პრეროგატივაა: გაერთიანების წესდების მიღება, მასში ცვლილებებისა და დამატებების შეტანა, გაერთიანების თავმჯდომარისა და პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარის, პოლიტიკური საბჭოსა და სარევიზიო კომისიის არჩევა. გაერთიანების რეორგანიზაციისა და თვითლიკვიდაციის, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საკითხების გადაწყვეტა. ამასთან ერთად, წესდება კონკრეტულს არაფერს ამბობს, თუ რა გზებისა და პროცედურების გავლით უნდა მოხდეს აღნიშნული პარტიული თანამდებობებისთვის კანდიდატების წარდგენა, ვის შეუძლია კანდიდატების წარდგენა, საერთო ჯამში, ინსტიტუციონალური დეფიციტის არსებობა ამკარაა.

ერთიანი ნაციონალური მოძრაობის წესდება უშვებს შიდაპარტიული არჩევნების - პრაიმერის - პრაქტიკას, თუმცა, აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებითაც წესდება ბუნდოვანია. პარტიის წესდებაში ვკითხულობთ, რომ გაერთიანების პოლიტიკური საბჭოს კომპეტენციას განეკუთვნება: „გარდა წესდებით პირდაპირ განსაზღვრული შემთხვევებისა, შიდაპარტიული არჩევნების (პრაიმერის) გზით ასარჩევი პირების ნუსხის (ჩამონათვალის) განსაზღვრა.“ ამით პრაიმერის საკითხი იხურება და არაფერია ნათქვამი შემდგომ პროცედურებზე. მართალია, პოლიტიკური საბჭო განსაზღვრავს პრაიმერის გზით ასარჩევი პირების ნუსხას, მაგრამ ბუნდოვანია, თუ რას გულისხმობს კონკრეტულად „ასარჩევი პირების ნუსხის განსაზღვრა.“ იქმნება შთაბეჭდილება, რომ შიდაპარტიული არჩევნებისთვის კანდიდატების შერჩევის პროცესი ექსკლუზიურია და მასში პოლიტიკური საბჭოა ჩართული, რომელიც მთლიანი პარტიის მცირე ნაწილს წარმოადგენს. ასევე აღსანიშნავია, რომ პრაიმერის გზით კანდიდატების შერჩევის პროცესი პარტიაში წარმატებით ვერ დაინერგა და ის მხოლოდ ერთჯერადად, 2013 წლის საპრეზიდენტო არჩევნებისთვის გამოიყენეს. წესდების მიხედვით, პარტიის რიგითი წევრებისთვის, ან სხვა ორგანოებისთვის საკუთარი კანდიდატების წარსადგენად საჭირო ინსტრუმენტები არ არსებობს, რაც მნიშვნელოვნად აზიანებს შიდაპარტიულ დემოკრატიას. იგივე ითქმის ყველა დონის არჩევნებისთვის პარტიული სიების და მაჟორიტარი კანდიდატების დამტკიცებასთან დაკავშირებითაც, რომელიც პოლიტიკური საბჭოს კომპეტენციის საკითხია.

ნაციონალური მოძრაობის შემთხვევაში ცალკე აღნიშნავს იმსახურებს ლიდერების შერჩევის პროცესიც, რადგანაც 2020 წლის დეკემბერში პარტიამ თავმჯდომარის არჩევის „უპრეცედენტო პრაქტიკის“ შესახებ გამოაცხადა. ენმ-ის წესდების მიხედვით პარტიის ყრილობაა ის ორგანო, რომელსაც თავმჯდომარის არჩევის „განსაკუთრებული პრეროგატივა“ გააჩნია. მიუხედავად ამისა, 2020 წლის დეკემბერში პარტიამ გამოაცხადა, რომ პოლიტსაბჭოს გადაწყვეტილებით, შერჩევის პროცესი გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და მოქალაქეთა ჩართულობის გასაძლიერებლად ელექტრონულად გაიმართებოდა. ელექტრონული არჩევნებისთვის ერთამენტოს ნიკა მელია და ლევან ვარშალომიძე დაუპირისპირდნენ, რომელთა კანდიდატურებიც,

ფორმალურად, ნაციონალური მოძრაობის პოლიტიკურმა საბჭომ შეარჩია, რაც პროცესის ექსკლუზიურობაზე მიუთითებს. მაშასადამე, ენმ-ს ახალი ლიდერის არჩევის პროცედურა ჩანასახშივე ინკლუზიურობის, გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების დეფიციტს განიცდიდა. ამასთან ერთად, აღნიშნულმა პროცესმა კიდევ ერთხელ დაადასტურა, რომ პარტიის ყრილობას მხოლოდ ცერემონიალური ხასიათი გააჩნია და მისი ერთადერთი ფუნქცია ყრილობის გამართვამდე მიღებული გადაწყვეტილებების დადასტურებაა, რათა ფორმალურად გამოჩნდეს, რომ პარტიაში კანონმდებლობით მოთხოვნილი უმაღლესი ორგანო არსებობს. ელექტრონულ კენჭისყრაში, რომლის სანდოობის მიმართაც - მასში მონაწილეთა ვინაობის კუთხით, პარტიის წევრებისა და მომხრეების მიერ ბევრი ეჭვი გამოითქვა, ნიკა მელიამ გაიმარჯვა, რომლის შემდეგაც 2020 წლის 27 დეკემბრის ყრილობაზე დელეგატებს მხოლოდ ნიკა მელიას კანდიდატურა წარუდგინეს, რომლებმაც მას ერთხმად დაუჭირეს მხარი. ამდენად, გადაწყვეტილება ყრილობის გამართვამდე იქნა მიღებული და დელეგატებმა ის მხოლოდ დაადასტურეს, მიუხედავად იმისა, რომ ენმ-ის წესდებით გაერთიანების თავმჯდომარის არჩევა „ყრილობის განსაკუთრებული პრეროგატივაა.“

აღსანიშნავია ელექტრონული ხმის მიცემის პროცედურაც. ხმის მიცემა სპეციალურ ფეისბუქ ჯგუფში მიმდინარეობდა, რაც უსაფრთხოების თვალსაზრისით, რბილად რომ ითქვას, გამართლებული არ არის. ამ შემთხვევაში ასევე დარღვეულია ხმის მიცემის ფარულობა, რაც ელექტორატზე ზეწოლის მოხდენის ალბათობას ზრდის. პროცესის დემოკრატიულობასთან დაკავშირებით კითხვის ნიშნებს აჩენს პროცესის ერთგვარი სპონტანურობაც. თავმჯდომარის არჩევის ახალი წესის შესახებ მოძრაობამ 2020 წლის 20 დეკემბერს გამოაცხადა და კანდიდატებიც წარმოადგინა, 5 დღის შემდეგ კი ხმის მიცემის პროცედურაც დაიწყო. დროის ასეთი მოკლე პერიოდი დემოკრატიული პროცესისთვის შეუთავსებელია, რადგანაც პარტიის წევრებს არ ეძლევათ საშუალება მოუსმინონ ორივე მხარეს, იხილონ დებატები, გაერკვნენ კანდიდატების განსხვავებულ ხედვებში და გააკეთონ ადეკვატური არჩევანი. ხაზგასასმელია ელექტორატის მოცულობაც. თეორიულად, ენმ-ის თავმჯდომარის არჩევის პროცესში ჩართვა შეეძლო არა თუ სხვა რომელიმე პარტიის წევრსა და მხარდამჭერს, არამედ სხვა ქვეყნის

მოქალაქესა და ყალბ ანგარიშებსაც კი, რაც უსაფრთხოებასა და სანდოობასთან დაკავშირებით დამატებით კითხვებს აჩენს. აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით შეიძლება ითქვას, რომ ერთიანი ნაციონალური მოძრაობის მიერ გამოცხადებული „უპრეცედენტო პრაქტიკა“ დემოკრატიული შინაარსის მწვავე დეფიციტს განიცდიდა. და ამავდროულად პარტიის წესდებისა და შიდა სტრუქტურის სისუსტეებზეც მიანიშნებდა.

ერთიან ნაციონალურ მოძრაობას, ქართული ოცნების მსგავსად, საკუთარ შიდა ორგანიზაციულ სტრუქტურასა და გადაწყვეტილებების მიღების პროცესში დემოკრატიის მწვავე დეფიციტი აქვს. გადაწყვეტილებების მიღების პროცესი ორივე პარტიაში ექსკლუზიურია. შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში ორი ყველაზე დიდი პარტია, მიუხედავად მრავალწლიანი ისტორიისა, შიდა ორგანიზაციული თვალსაზრისით ინსტიტუციურად ჯერაც ჩამოუყალიბებელია. იქმნება შთაბეჭდილება, რომ მათი წესდებები ძირითადად შაბლონურია, რომლის მთავარი დანიშნულებაც არა გამართული და დემოკრატიული პარტიული ორგანიზაციის ჩამოყალიბება, არამედ კანონმდებლობით გათვალისწინებული მინიმალური მოთხოვნების დაკმაყოფილებაა, რაც მოქმედი არადემოკრატიული პრაქტიკისა და ძალაუფლების შენარჩუნებას ისახავს მიზნად.

V. 4 საქართველოს ლეიბორისტული პარტია

კანონმდებლობის შესაბამისად და სხვა პარტიების მსგავსად საქართველოს ლეიბორისტულ პარტიასაც ხელმძღვანელი, აღმასრულებელი და მაკონტროლებელი ორგანოები გააჩნია. ლეიბორისტული პარტიის უმაღლესი წარმომადგენლობითი ორგანოც პარტიის ყრილობაა, რომელიც 4 წელიწადში ერთხელ ტარდება და მასში მონაწილეთა რაოდენობასა და კვოტებს პარტიის აღმასრულებელი ორგანო - ეროვნულ-პოლიტიკური კომიტეტი განსაზღვრავს. რიგგარეშე ყრილობა პარტიის თავმჯდომარის, პარტიის ეროვნული პოლიტიკური კომიტეტის 2/3-ის წერილობითი მოთხოვნის საფუძველზე შეიძლება

ჩატარდეს. ყრილობა 4 წლის ვადით ირჩევს პარტიის თავმჯდომარეს და თავმჯდომარის წარდგინებით ირჩევს ეროვნულ-პოლიტიკური კომიტეტის არაუმეტეს 25 წევრს. ასევე ირჩევს პარტიის სარევიზიო კომისიას და პარტიის თავმჯდომარის წარდგინებით ამტკიცებს პარტიის გენერალურ საბჭოს.

პარტიის აღმსრულებელი ორგანოს - ეროვნულ-პოლიტიკური კომიტეტის სხდომები ტარდება არანაკლებ 3 თვეში ერთხელ და გადაწყვეტილება მიიღება ხმათა უმრავლესობით. ხმების თანაბრად გაყოფის შემთხვევაში გადაწყვეტი პარტიის თავმჯდომარის პოზიციასა. წესდებაში გაწერილი უფლებების მიხედვით, აღნიშნულ ორგანოს, ძირითადად, ორგანიზაციული საქმიანობის წარმოება ევალება, როგორცაა, პარტიის ქონების განკარგვა, ყრილობების ჩატარება, პარტიის ბეჭდვითი ორგანოს ხელმძღვანელის დამტკიცება, პარტიის წევრად მიღებისა და წევრობის შეწყვეტის საკითხების დამტკიცება, თავმჯდომარის წარდგინებით რეგიონალური ორგანიზაციების კოორდინატორების დამტკიცება. ლეიბორისტული პარტიის მეორე აღმსრულებელი ორგანოა პარტიის გენერალური საბჭო, რომელიც არაუმეტეს 150 წევრისგან შედგება და მისი სხდომები თავმჯდომარის მოწვევით წელიწადში ერთხელ იმართება. ორგანოს ყველაზე მნიშვნელოვანი უფლებამოსილება ყრილობათა შორის პერიოდში თავმჯდომარისა და ეროვნულ-პოლიტიკური კომიტეტის წარდგინებით სამოქმედო ხასიათის დოკუმენტების, საარჩევნო პროგრამების, მიმართვების, რეზოლუციებისა და პოლიტიკური განცხადებების მიღებაა.

როგორც სხვა პოლიტიკური პარტიების შემთხვევაში, ლეიბორისტული პარტიის ორგანიზაციული სტრუქტურაც ნაკლოვანია და შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტს განიცდის. წესდებაში ღიადაა დატოვებული არჩევნებისთვის კანდიდატების წარდგენისა და მათი შერჩევის მექანიზმები. წესდებით გაურკვეველია, თუ რომელი ორგანო იღებს აღნიშნულ საკითხზე გადაწყვეტილებას და როგორია მსგავსი გადაწყვეტილების მიღების მოდელი. რაც შეეხება შიდაპარტიული ორგანოების დაკომპლექტების მეთოდებს, სახეზეა ინკლუზიურობისა და გამჭვირვალობის დეფიციტი. უდიდესი ძალაუფლება პარტიის თავმჯდომარის ხელშია კონცენტრირებული, რომლის წარდგინების

გარეშე, პრაქტიკულად არცერთი შიდაპარტიული ორგანო არ კომპლექტდება. ამავდროულად, უნდა აღინიშნოს, რომ ორგანიზაციული თვალსაზრისით არანაკლებ 150 წევრიანი გენერალური საბჭოს არსებობა, რიგ საკითხებში ჩართულობის ხარისხის გაზრდაზე დადებითად მოქმედებს, თუმცა, ის ფაქტი, რომ საქართველოს ლეიბორისტულ პარტიას მრავალ არჩევნებში არასასურველი შედეგის დაფიქსირების მიუხედავად ლიდერი ერთხელაც არ შეუცვლია, აღნიშნული პარტიის შიდა ინსტიტუტების ფასადურობასთან დაკავშირების ლეგიტიმურ კითხვებს აჩენს.

V. 5 ევროპული საქართველო

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანება „ევროპული საქართველო - მოძრაობა თავისუფლებისთვის“ უმაღლესი ხელმძღვანელი ორგანო გაერთიანების ყრილობაა, რომელიც წესდების მიხედვით, 4 წელიწადში ერთხელ ტარდება. გაერთიანების რიგგარეშე ყრილობის მოწვევის რამდენიმე საშუალება არსებობს, ის შეიძლება მოწვეულ იქნას: 1. გაერთიანების თავმჯდომარის, 2. პოლიტიკური საბჭოს თავმჯდომარის, 3. გენერალური მდივნის, 4. გაერთიანების წევრთა 10%-სა და 5. პოლიტიკური საბჭოს ინიციატივით. წესდებით განსაზღვრულია, რომ ყრილობას არანაკლებ 200 დელეგატი უნდა ესწრებოდეს. ამდენად, ევროპული საქართველოს უმაღლეს ხელმძღვანელ ორგანოში გადაწყვეტილებების მიღების პროცესი სხვა პარტიების მსგავსად, ზომიერად ინკლუზიურია. ევროპულის საქართველოს წესდების მიხედვით, ყრილობის განსაკუთრებულ პრეროგატივებს განეკუთვნება; გაერთიანების წესდების მიღება, მასში ცვლილებების და დამატებების შეტანა, თავმჯდომარის, სარევიზიო კომისიისა და პოლიტიკური საბჭოს არჩევა, გაერთიანების რეორგანიზაციისა და თვითლიკვიდაციის, აგრეთვე, საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა საკითხების გადაწყვეტა. წესდების 5.4 მუხლის თანახმად, ყრილობაზე გადაწყვეტილებები ხელის აწევით, ღია კენჭისყრის გზით მიიღება, მაგრამ თუ ხელის აწევით მკაფიოდ არ გამოვლინდა დამსწრე დელეგატთა ნება, ან თანამდებობაზე არჩევისას ერთზე მეტი კანდიდატია წარდგენილი,

ან წესდებაში ცვლილებების შეტანისას არსებობს ალტერნატიული წინადადებები, კენჭისყრა სახელობითი ბიულეტენების საშუალებით ტარდება, თუმცა, უკანასკნელ ყრილობაზე მსგავსი მექანიზმი გამოყენებული არ ყოფილა, გიგა ბოკერია პარტიის თავმჯდომარედ ღია კენჭისყრის გზით, ხელის აწევით აირჩიეს. შეიძლება ითქვას, რომ ევროპული საქართველოს ყრილობას, უმრავლესი პარტიების მსგავსად, პრაქტიკულად არ გააჩნია რეალური ძალაუფლება და ის ძირითადად ლიდერების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დამტკიცებას ემსახურება მიზნად.

რაც შეეხება გაერთიანების პოლიტიკურ საბჭოს, რომელიც პარტიას ყრილობებს შორის პერიოდში მართავს. მის კომპეტენციებზე დაკვირვებით ცხადია, რომ ევროპულ საქართველოში ისეთი გადაწყვეტილებები, როგორცაა, პოლიტსაბჭოს თავმჯდომარის არჩევა/გათავისუფლება, გენერალური მდივნის დანიშვნა/გათავისუფლება, გაერთიანების მდივნების დანიშვნა და გათავისუფლება ინკლუზიურობის დეფიციტს განიცდის, რადგანაც აღნიშნული გადაწყვეტილებები პოლიტიკური საბჭოს მიერ მიიღება და მასში წევრების ფართო რაოდენობა ჩართული არ არის. რაც შეეხება არჩევნებისთვის კანდიდატების შერჩევის წესს, ამ შემთხვევაში, გადაწყვეტილებისაც პოლიტიკური საბჭო იღებს და პარტიულ საარჩევნო სიასა და მაჟორიტარებსაც ამტკიცებს, თუმცა, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ევროპულმა საქართველომ ცენტრალურ საარჩევნო კომისიას სია რიგითობის გარეშე წარუდგინა, რომლის ნუმერაციაც არჩევნების შედეგების გამოცხადების შემდეგ დადგინდებოდა და ის წევრები დაწინაურდებოდნენ, რომლებსაც საკუთარ ოლქებში ამომრჩევლის ყველაზე მაღალი მხარდაჭერა ექნებოდათ. ამასთანავე, ევროპული საქართველოს კანდიდატები 16 მაჟორიტარულ ოქში იღებდნენ მონაწილეობას. ამდენად, ამომრჩეველს პირდაპირი გავლენის მოხდენა მხოლოდ სიის პირველ 16 კანდიდატზე შეეძლო. ამდენად, 2020 წლის საპარლამენტო არჩევნებისთვის ევროპული საქართველოს მიერ შემოთავაზებული მოძრავი სია კანდიდატთა შერჩევის პროცესის ინკლუზიურობას გარკვეულწილად ზრდიდა, თუმცა, შიდაპარტიული დემოკრატიის მიმართულებით აღნიშნული გარდამტეხ ცვლილებად ვერ ჩაითვლება, ამავდროულად, უცნობია, ევროპული საქართველო

მომავალშიც გააგრძელებს მსგავს პრაქტიკას, თუ 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები ამ მხრივ უკანასკნელი იქნება.

V. 6 გირჩი

2020 წლის საპარლამენტო არჩევნების შემდეგ ფართო მასშტაბის გირჩში არსებული შიდაპარტიული კრიზისის შესახებ გახდა ცნობილი. განვითარებული პროცესების შედეგად პარტია ორად გაიყო და ქართულ პოლიტიკურ სივრცეში ორი ახალი აქტორი – „გირჩი“ და „გირჩი - მეტი თავისუფლება“ გაჩნდა. გირჩი - მეტი თავისუფლებაში შიდა სტრუქტურის ფორმირება ჯერაც მიმდინარეობს, „ძველმა“ გირჩმა კი პარტიის შიგნით რეორგანიზაციისა და ახალი შიდა სტრუქტურის მოწყობის გზა აირჩია. მაშასადამე, შეიძლება ითქვას, რომ ორივე ზემოაღნიშნული ძალა ახალ პოლიტიკურ პარტიას წარმოადგენს, ამდენად, არსებული მომენტისთვის, მათი შიდაპარტიული დემოკრატიის შეფასება მოცემული კვლევისთვის არარელევანტურია.

აღნიშნული ფაქტორის გათვალისწინებით, კვლევა 2016-2020 წლების „გირჩზე“ კონცენტრირდება, რომელმაც ამ დროის განმავლობაში ორი ყრილობის გამართვა, სამ არჩევნებში (2018 წლის საპრეზიდენტო, 2019 წლის მთაწმინდის მაჟორიტარული ოლქის საქართველოს პარლამენტის შუალედური არჩევნები და 2020 წლის საპარლამენტო არჩევნები) მონაწილეობის მიღება და ყველა პარტიისგან განსხვავებული შიდა ორგანიზაციული სტრუქტურის ჩამოყალიბება მოახერხა.

საქართველოში გირჩი წარმოადგენდა ერთადერთ პოლიტიკურ პარტიას, რომლის შიდა ორგანიზაციული სტრუქტურაც კანონმდებლობით გათვალისწინებულ შაბლონურ წესებზე მორგებული არ იყო. გირჩმა საკუთარი წევრებისა და მხარდამჭერებისთვის შექმნა სპეციალური პორტალი, რომელიც მათ პარტიის შიგნით მიმდინარე პროცესებში ჩართვისა და მასზე გავლენის მოხდენის საშუალებას აძლევდა. პარტიის წევრებსა და მხარდამჭერებს, რომლებიც გირჩს მატერიალურად ან რაიმე სხვა გზით ეხმარებოდნენ, პორტალზე დარეგისტრირების

შედეგად გადაეცემოდათ პარტიისადმი მათი დახმარების ექვივალენტი ელექტრონული ვალუტა - ქართული დოლარი, იგივე GED, რომელიც გირჩის შიდა პოლიტიკაზე გავლენის მოხდენის ინსტრუმენტი იყო. აღნიშნული ჯედების საშუალებით, პორტალზე დარეგისტრირებულ წევრებს შეეძლოთ საკუთარი მხარდაჭერის მათთვის სასურველი პოლიტიკოსისკენ მიმართვა და ამ გზით პარტიულ სიაში მათი დაწინაურება. ამავდროულად, პორტალი ნებისმიერ მსურველს სთავაზობდა პოლიტიკოსად დარეგისტრირებისა და მხარდამჭერების მოზიდვის შესაძლებლობას. საარჩევნო სიის მსგავსი მეთოდებით ფორმირება უპრეცედენტოა ქართული პოლიტიკური პარტიების ისტორიაში. ეჭვგარეშეა, რომ ინკლუზიურობის თვალსაზრისით, აღნიშნული პრაქტიკა საქართველოში საუკეთესოა, თუმცა, დემოკრატიული პრინციპებიდან გამომდინარე, მას მნიშვნელოვანი ხარვეზები გააჩნდა. კერძოდ, წევრების ხმები არ იყო თანაბარი, იმ პირებს, რომლებიც პარტიებს მეტად ეხმარებოდნენ, გადაწყვეტილების მიღების პროცესზე უფრო მეტი გავლენა ჰქონდათ. ყველაზე გავლენიანი ის წევრები იყვნენ, რომლებსაც ყველაზე მეტი რაოდენობის ციფრული ვალუტა - ჯედი ჰქონდათ გამომუშავებული. აღნიშნული პირდაპირ ეწინააღმდეგება დემოკრატიის პრინციპს ხმების თანასწორობის შესახებ. ამავდროულად, გავლენიანი წევრების მიერ შიდაპარტიული საქმიანობის მონოპოლიზებისა და პარტიის ოლიგარქიზაციის აღკვეთის მიმართულებით მსგავს სისტემას თვალშისაცემი ხარვეზები გააჩნია.

2016-2020 წლებში გირჩში ჩამოყალიბდა შიდა ორგანიზაციული სტრუქტურა, რომელიც გარკვეულწილად შეიცავდა შიდა დემოკრატიული სისტემის ისეთ მახასიათებლებს, როგორებიცაა წევრების ჩართულობის, ღიაობის, შიდა კონკურენციის უზრუნველყოფა, მაგრამ ისეთი ფუნდამენტური დემოკრატიული პრინციპის უგულვებელყოფა, როგორიც ხმების თანასწორობაა, შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარების კუთხით საფუძვლიან ეჭვებს ბადებს. ამავდროულად, 2020 წლის შემდეგ პარტიის გაყოფაც მიანიშნებს კრიზისზე, რომელიც პარტიის შიგნით წლების განმავლობაში ვითარდებოდა, პარტიის წევრთა ერთი ნაწილი კონკრეტული ლიდერების მიერ ძალაუფლების საკუთარ ხელში კონცენტრაციის მცდელობაზეც მიანიშნებდა, რაც შიდაპარტიულ დემოკრატიას ცალსახად აზიანებს.

V. 7 რესპუბლიკური პარტია

რესპუბლიკური პარტია საქართველოში ყველაზე ძველ პოლიტიკურ პარტიას წარმოადგენს, რომელიც ჯერ კიდევ საბჭოთა კავშირის პერიოდში, 1978 წელს დაარსდა. საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად, რესპუბლიკურ პარტიასაც გააჩნია ხელმძღვანელი, აღმასრულებელი და მაკონტროლებელი ორგანოები, თუმცა, სხვა პოლიტიკური პარტიებისგან განსხვავებით, ამ შემთხვევაში რთულია იმის თქმა, რომ რესპუბლიკური პარტიის წესდება შაბლონურია და ის მხოლოდ კანონმდებლობით გათვალისწინებული მინიმალური სტანდარტების დაკმაყოფილებას ისახავს მიზნად. სხვა განხილულ პარტიებთან შედარებით, არსებობს რამდენიმე მნიშვნელოვანი განმასხვავებელი ფაქტორი, რომელიც რესპუბლიკურ პარტიაში შიდაპარტიული დემოკრატიის იმაზე მაღალ ხარისხს განაპირობებს, ვიდრე ეს საქართველოშია გავრცელებული.

1. რესპუბლიკური პარტიის უმაღლესი მმართველი ორგანო, ყრილობა, 2 წლიანი ინტერვალით მოიწვევა, რაც საქართველოსთვის უჩვეულოა, ვინაიდან სხვა პარტიები ზუსტად იმეორებენ კანონმდებლობის მოთხოვნებს და საკუთარ ყრილობებს 4 წელიწადში ერთხელ ატარებენ. ასევე არსებობს რიგგარეშე ყრილობის მოწვევის მრავალი განხვავებული მექანიზმი, რომელიც პრაქტიკულად პარტიის ყველა რგოლს აძლევს ყრილობის მოწვევის საშუალებას. ის შეიძლება მოწვეულ იქნეს: - ა) ეროვნული კომიტეტის გადაწყვეტილებით, ბ) პარტიის წევრთა საერთო რაოდენობის მინიმუმ 1/5-ის წერილობითი მოთხოვნით, გ) მინიმუმ 4 რეგიონალური ორგანიზაციის უმაღლესი ორგანოების მოთხოვნით და დ) პარტიის თავმჯდომარის ინიციატივით. რესპუბლიკური პარტიის გარდა ერთადერთი პარტია, რომელსაც რიგგარეშე ყრილობის გამართვის ასეთი მრავალფეროვანი მექანიზმი გააჩნია, ერთიანი ნაციონალური მოძრაობაა, თუმცა, სხვა მახასიათებლების გათვალისწინებით, შიდაპარტიული დემოკრატია რესპუბლიკურ პარტიაში გაცილებით განვითარებულია, ვიდრე ენმ-ში.

2. რესპუბლიკური პარტიის ყრილობა ფარული კენჭისყრის წესით ირჩევს როგორც პარტიის ეროვნულ კომიტეტს, ისე პარტიის სარევიზიო კომისიასაც. როგორც წესი, აღნიშნული თანამდებობების დასაკავებლად შიდაკონკურენცია მაღალია. ფარული კენჭისყრა და მაღალი კონკურენცია რესპუბლიკურ პარტიაში შიდაპარტიული დემოკრატიის იმაზე მაღალ ხარისხს უზრუნველყოფს, ვიდრე ეს ტრადიციულად ქართული პარტიებისთვისაა დამახასიათებელი. ჰაზანისა და რაჰატის შკალის მიხედვით, ეროვნული კომიტეტისა და სარევიზიო კომისიის წევრების შერჩევის პროცესი რესპუბლიკურ პარტიაში შუალედური ინკლუზიურობისაა, რადგანაც ის დელეგატების მიერ მიღებულ გადაწყვეტილებებზეა დაფუძნებული. მართალია, აღნიშნული პროცესი იმავე ინკლუზივობისაა სხვა პოლიტიკურ პარტიებშიც, მაგრამ კენჭისყრის პროცედურის უფრო დემოკრატიული ხასიათი და მაღალი კონკურენცია რესპუბლიკურ პარტიაში შიდაპარტიული დემოკრატიის ხარისხს გამოკვეთილად აუქმობს.

3. რესპუბლიკური პარტიის წესდების მიხედვით, პარტიის ყრილობას ეროვნული კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გაუქმების უფლება გააჩნია. მსგავსი ჩანაწერი სხვა განხილული პარტიების წესდებებში არ არსებობს.

აღნიშნული ფაქტორების გათვალისწინებით, რესპუბლიკური პარტიის შემთხვევაში, შეიძლება ითქვას, რომ ყრილობას მხოლოდ პარტიის ლიდერების მიერ მიღებული გადაწყვეტილებების დამტკიცების ფუნქცია არ გააჩნია და ის მნიშვნელოვანი და რეალური ძალაუფლებითაა აღჭურვილი.

მიუხედავად გარკვეულ საკითხებში შიდაპარტიული დემოკრატიის საკმაოდ მაღალი ხარისხისა, რესპუბლიკური პარტია მაინც არ შეიძლება ჩაითვალოს შიდაპარტიული დემოკრატიის დასავლური სტანდარტების მქონე პოლიტიკურ პარტიად. პარტიის თავმჯდომარისა და არჩევნებისთვის კანდიდატების შერჩევის პროცესი რესპუბლიკელების შემთხვევაშიც ექსკლუზიურია და მისგან რიგითი წევრების იზოლირება აშკარაა. როგორც თავმჯდომარის, ისე კანდიდატების შერჩევის პროცესში გადაწყვეტილებას 35 წევრისგან შემდგარი პარტიის ეროვნული

კომიტეტი იღებს, რაც პროცესის ექსკლუზიურობას უსვამს ხაზს. ამ მხრივ, რესპუბლიკური პარტია სხვა პარტიებისგან დიდად გამოირჩეული არ არის, რასაც ვერ ვიტყვით პარტიის შიგნით ძალაუფლების გადანაწილებისა და კონტროლის მექანიზმებზე. რესპუბლიკური პარტიის წესდების მიხედვით, აღნიშნულ პარტიაში ძალაუფლების უზურპაცია საქართველოს სხვა პარტიებთან შედარებით რთულია. გარდა იმისა, რომ პარტიის ყრილობას ეროვნული კომიტეტის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გაუქმება შეუძლია, მსგავსი უფლებით თავად ეროვნული კომიტეტიცაა აღჭურვილი, რომელსაც უმრავლესობის საფუძველზე პარტიის თავმჯდომარის მიერ მიღებული გადაწყვეტილებების გაუქმების უფლება გააჩნია.

შიდაპარტიული დემოკრატიის თვალსაზრისით რესპუბლიკური პარტია საქართველოში გამორჩეულ სუბიექტს წარმოადგენს. მართალია, სხვა პოლიტიკური სუბიექტების მსგავსად გადაწყვეტილებების მიღების პროცესი აქაც ექსკლუზიურობიდან ზომიერი ინკლუზიურობისკენ მერყეობს, თუმცა, რესპუბლიკურ პარტიას ყველაზე გამართული წესდება გააჩნია, რომელშიც ძალაუფლების ბალანსისა და კონტროლის მექანიზმების კონტურები ამკარად გამოკვეთილია, მაღალია შიდაპარტიული კონკურენცია და კენჭისყრის პროცედურები დემოკრატიულ სტანდარტებთან ყველაზე მეტადაა დაახლოებული.

დასკვნა

საქართველოში შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტს 5 ძირითადი მიზეზი განაპირობებს, ესენია: 1. პოლიტიკურ პარტიებზე და პარტიულ პოლიტიკაზე ლიდერის ან ლიდერთა მცირე ჯგუფის გავლენა და აღნიშნული ჯგუფების მიერ საკუთარი ძალაუფლების შენარჩუნების სურვილი; 2. პოლიტიკური პარტიების დაფინანსების საკითხი; 3. შერეული საარჩევნო სისტემა, რომლის პროპორციული ნაწილი ერთ მრავალმანდატიან ოლქში დახურული სიების ხმის მიცემის წესს ითვალისწინებს; 4. პოლიტიკური პარტიების კანონმდებლობით რეგულირების არაეფექტური მექანიზმები; და 5. განუვითარებელი და მეტწილად ფორმალური შიდაპარტიული სტრუქტურა.

საქართველოში შიდაპარტიული დემოკრატიის მწვავე დეფიციტის ერთ-ერთი გამომწვევი მიზეზი ლიდერზე დამოკიდებულებაა. დამოუკიდებლობის მოპოვების შემდგომ, საქართველოს მოქალაქეები არჩევნებში საკუთარ პოლიტიკურ პრეფერენციას არა პარტიული იდეოლოგიის, არამედ კონკრეტული ინდივიდის პიროვნული მახასიათებლების გავლენით განსაზღვრავდნენ. შედეგად, საქართველოში არსებული პარტიები დარჩნენ განვითარების საწყის ეტაპზე მყოფი, ჩასანახოვან წარმონაქმნად, რომელიც მთლიანად ჩამოკიდებულია კონკრეტულ ლიდერზე. პარტიული პოლიტიკის განსაზღვრის პროცესში ნომინალურია პარტიის რიგითი წევრების ჩართულობა, ყველა მნიშვნელოვან საკითხზე, გადაწყვეტილებებს ერთი კონკრეტული ლიდერი ან ლიდერთა მცირე წრე იღებს. საქართველოს პარტიებში ლიდერის შერჩევის წესი უკიდურესად ექსკლუზიურია, საუკეთესო შემთხვევაში მას დელეგატები ირჩევენ, რაც თავის მხრივ, შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტზე მიუთითებს. პარტიული სიების დაკომპლექტების პროცესი გაუმჭვირვალეა და ის ძირითადად კონკრეტული ლიდერის ინტერესით ყალიბდება. პარტიის ფინანსებსაც ლიდერი აკონტროლებს და ის იღებს გადაწყვეტილებას, თუ როგორ და რაში დაიხარჯოს პარტიის შემოსავლები. ლიდერზე დამოკიდებულების ფენომენი ხელს უშლის საქართველოს პარტიებში გამჭვირვალობის, ანგარიშვალდებულებისა და ინკლუზიურობის დამკვიდრებას, რაც შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარებისთვის აუცილებელ

წინაპირობას წარმოადგენს.

შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტის კიდევ ერთი მიზეზი - პარტიების დაფინანსების არსებული მოდელია, რომელიც მმართველ პარტიასა და ოპოზიციურ პარტიებს შორის მნიშვნელოვან დისბალანსს ქმნის. განსაკუთრებით კარგად ეს კერძო შემოწირულობების ნაწილში ჩანს, სადაც მმართველი პარტიის დაფინანსების რაოდენობა ხშირად ოპოზიციის დაფინანსების ჯამურ რაოდენობას აღემატება. ერთპარტიული დომინაციის პირობებში მმართველი პარტიის დაფინანსება ბიზნესებისთვის თვითგადარჩენის საშუალებაა. მმართველ პარტიას აქვს შესაძლებლობა გაურიგდეს პოტენციურ შემომწირველს და დაფინანსების სანაცვლოდ მას კონკრეტული სარგებელი შესთავაზოს, რაც ძირითადად ტენდერების მოგებასა და გამარტივებული სახელმწიფო შესყიდვების მიღებაში გამოიხატება. ოპოზიციური პარტიები კი იმდენად სუსტია, რომ მათი არსებობა მუდმივად სახელმწიფოს მხრიდან საბიუჯეტო ალოკაციების გამოყოფაზე დამოკიდებული. დაფინანსების არსებული მოდელი მნიშვნელოვნად ზრდის პარტიული კორუფციის რისკებს, რისთვისაც პარტიები სხვადასხვა მეთოდს მიმართავენ. ერთ-ერთი ასეთი მეთოდი ე.წ. “სეივინგების” შეწირვაა, რომელიც რეალურად არალეგალური ფულია, რომლის გათეთრებასაც პარტიის ლიდერები და მასთან დაახლოებული პირები ცდილობენ. მსგავსი კორუფციული სქემების წინააღმდეგ ბრძოლა სახელმწიფოს უჭირს, რადგან არ არსებობს პარტიულ კორუფციასთან ბრძოლის ეფექტური მექანიზმი. პარტიების ფინანსური მდგომარეობის შეფასება და არსებული ხარვეზების გამოვლენა სახელმწიფო აუდიტის სამსახურის პრეროგატივაა, რომლის უფლებამოსილებები მხოლოდ მარტივად შესამჩნევი დარღვევებით შემოიფარგლება და არ ითვალისწინებს პარტიული კორუფციის პრევენციასა და კონტროლს. შესაბამისად, დაფინანსების არსებული მოდელი ხელს უწყობს პარტიის ცენტრალიზაციას, ფინანსური ძალაუფლების ერთი კონკრეტული ლიდერის ან ლიდერთა მცირე წრის ხელში თავმოყრას და პარტიის “ოლიგარქიზაციას”. პარტიის რიგითი წევრები არათუ არ არიან ჩართული ფინანსების განკარგვის საქმეში, მათ ხშირად ისიც არ იციან, რაში იხარჯება პარტიის ფული. არსებული პირობები ნოყიერ ნიადაგს ქმნის პარტიული კორუფციისთვის, რაც შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარებისთვის მთავარი

ხელისშემშლელი ფაქტორია.

დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ საქართველოში ჩამოყალიბებულმა საარჩევნო სისტემამ ქვეყანაში შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტზე იქონია გავლენა. ზოგიერთი საარჩევნო სისტემა და ხმის მიცემის წესი ამომრჩეველს პარტიათა შორის არჩევანის გაკეთებასთან ერთად თავისივე პარტიის შიგნით მისთვის სასურველი კანდიდატების შერჩევის საშუალებას აძლევს, რაც პოლიტიკურ პარტიებში შიდაპარტიულ კონკურენციაზე საკუთარი მხარდამჭერების გავლენას ზრდის, რასაც, თავის მხრივ, შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარებაზე დადებითი გავლენის მოხდენა შეუძლია, რადგანაც პარტიებში მაღალი სახალხო მხარდაჭერის მქონე პირების დაწინაურებას უწყობს ხელს. ასევე, რეგიონალურ-პროპორციულ საარჩევნო სისტემას პარტათა დეცენტრალიზაციის მიმართულებითაც შეუძლია სარგებლის მოტანა. საქართველოს შემთხვევაში არსებული საარჩევნო სისტემა მსგავს შედეგებზე გასვლის საშუალებას არ იძლევა. შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარებისთვის შეუფერებელია ახალი, სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემაც, რადგანაც ცვლილებების მიხედვით, საქართველოში ერთი მრავალმანდატიანი ოლქი იქმნება, ხმის მიცემა კი ამომრჩეველს დახურული სიებისთვის მოუწევს. უკანასკნელი 25 წლის მსგავსად, მომავალ წლებშიც საქართველოს საარჩევნო სისტემა ქვეყანაში შიდაპარტიული დემოკრატიის განვითარებისთვის ერთ-ერთ შემაფერხებელ ფაქტორად დარჩება და უფრო მეტიც, სრულად პროპორციული საარჩევნო სისტემა შიდაპარტიული დემოკრატიის მიმართულებით არსებულ პრობლემებს უფრო მეტად გაამწვავებს.

კიდევ ერთი მიზეზი, რომელიც საქართველოში შიდაპარტიული დემოკრატიის დეფიციტს განაპირობებს, თითქოს შეგნებულად წუნიანი კანონმდებლობაა. მიუხედავად იმისა, რომ კონსტიტუცია პოლიტიკურ პარტიებს შიდაპარტიული დემოკრატიის ქონას ავალდებულებს, კანონმდებლობით არ არის განმარტებული, თუ რა სტანდარტებს უნდა აკმაყოფილებდნენ პარტიები, რომ შიდაპარტიული დემოკრატია უზრუნველყონ. კანონმდებლობა პარტიებს მხოლოდ ზოგად მოთხოვნებს უყენებს, როგორებიცაა პარტიის შიგნით ხელმძღვანელი, აღმასრულებელი და მაკონტროლებელი ორგანოების ჩამოყალიბება,

რასაც პარტიები პირნათლად ასახავენ საკუთარ წესდებებში, თუმცა, ხშირ შემთხვევაში აღნიშნულ ორგანოებს შორის ბალანსის და კონტროლის მექანიზმები არ არსებობს, მათ ძირითადად ცერემონიალური ხასიათი გააჩნიათ. კანონმდებლობა პოლიტიკურ პარტიებს საშუალებას უტოვებს, კანდიდატებისა და ლიდერების შერჩევის პროცესი არაინკლუზიურ გარემოში ჩაატრონ და ისინიც თამამად აგრძელებენ მსგავს პრაქტიკას. საბოლოო ჯამში, ინსტიტუციურად საქართველოს პოლიტიკური პარტიები განუვითარებლები არიან, რაც პარტიის შიგნით ძალაუფლების ვიწრო წრის ხელში კონცენტრაციას უწყობს ხელს.

გამოყენებული ლიტერატურა

ქართულენოვანი ლიტერატურა:

ავალიშვილი ი. საქართველოს პოლიტიკურ-პარტიული სისტემის ინსტიტუციონალიზაცია საქართველოში, (2003–2018 წლების გამოცდილების ანალიზი), 2019, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა;

ბარქაია & სხვები. საქართველოს პოლიტიკური ლანდშაფტი, 2020, თბილისი, აღმოსავლეთ ევროპის მრავალპარტიული დემოკრატიული ცენტრი;

დოლიძე ვ. ლიდერის ფაქტორი და 2016 წლის საპარლამენტო არჩევნები საქართველოში, 2017, თბილისი, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა;

საარჩევნო სისტემები, 2015, დამხმარე სახელმძღვანელო საქართველოს უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სტუდენტებისთვის, საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი;

საზოგადოებრივი განწყობების კვლევა საქართველოში, 2017-2020, ეროვნულ-დემოკრატიული ინსტიტუტი (NDI);

საქართველო - არჩევნების ისტორია: 1990-2010, 2011, ცენტრალური საარჩევნო კომისია;

საქართველოს პარლამენტის 2020 წლის არჩევნების კამპანიის დაფინანსება, შუალედური ანგარიში, თბილისი, საერთაშორისო გამჭვირვალობა - საქართველო;

ჩხლაძე გ. & ნატროშვილი ლ. პოლიტიკური პარტიების დაფინანსება საქართველოში 2019 წელს: პარტიების შემოსავლები, ხარჯები და ფინანსებზე ზედამხედველობა, 2020 წლის ივნისი, თბილისი, საერთაშორისო გამჭვირვალობა: საქართველო;

წვერაიძე თ. საარჩევნო სისტემების მიმოხილვა, 2020, საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია;

ინგლისურენოვანი ლიტერატურა:

Auers D. Comparative Politics and Government of Baltic States: Estonia, Latvia and Lithuania in the 21st century, 2015, London, Palgrave Macmillan;

Bader M. Making Parties Fit for Democracy: Georgia, Ukraine and the Challenge for Democracy Assistance, 2010, Opleiding Europese Studies, Amsterdam, University of Amsterdam press;

Balcere I. Insights Into Intra-party Decision-making in Latvia's Political Parties, 2017, Vilnius, Vilnius University Press;

Berge V.D. et al. Measuring Intra-party Democracy: A Guide for the Content Analysis of Party Statutes With Examples from Hungary, 2013, New York City, Springer Publishing;

Bértoa F.C. & Teruel J.R. Political Party Funding Regulation in Europe, East and West: A Comparative Analysis, 2017, Warsaw, Report of the OSCE Office for Democratic Institutions and Human Rights (ODIHR);

Biezen I.V. Constitutionalizing Party Democracy: The Constitutive Codification of Political Parties in Post-war Europe, 2012, Cambridge, Cambridge University Press;

Biezen I.V. Political Parties in New Democracies: Party Organization in Southern and East-Central Europe, 2003, London, Palgrave Macmillan;

Borz G. Justifying the Constitutional Regulation of Political Parties: A Framework for Analysis, 2016, International Political Science Review, 1(15), Sage Publications;

Campbell J.E. Intra-party Democracy and Inter-party Competition, 1984, Southeastern Political Review 12(1), Hoboken, Wiley-Blackwell Publishing;

Cappellini A. Intra-party Democracy and Leadership Election Methods – A Comparative Analysis of Political Parties in European Democracies, 2016, London, King's College London;

Ceron A. Leaders, Factions and the Game of Intra-party Politics, 2019, Oxfordshire, Routledge;

Chiru M. Keeping the Doors Closed: Leadership Selection in Post-communist Romania, 2011, Oxford, Oxford University Press;

Close C., Kelbel C., Haute E.V. What Citizens Want in Terms of Intra-Party Democracy: Popular Attitudes Towards Alternative Candidate Selection Procedures, 2017, *Journal of Political Studies*, 1(19), Sage Publications;

Cross W.P. & Katz R.S. The Challenges of Intra-party Democracy, 2013, Oxford, Oxford University Press;

Cross W. & Pruyers S. Sore Losers? The Costs of Intra-party Democracy, 2017, *Journal of Party Politics* 1(12), Sage Publications;

Diamond L. & Gunther R. Species of Political Parties: A New Typology, 2003, Thousand Oaks, Sage Publications;

Foresti M., Welton G., Jijelava D. Review of International Assistance to Political Party and Party System Development Case Study Report: Georgia, 2010, London, Overseas Development Institute, ODI;

Garzia D. The Personalization of Politics in Western Democracies: Causes and Consequences on Leader-Follower Relationships, 2011, University of Lucerne Press, *The Leadership Quarterly*, Vol. 22;

Gauja A. The Politics of Party Policy, 2013, London, Palgrave Macmillan;

Gherasimov C. Political Elite Renewal in Georgia, Moldova and Ukraine, 2019, London, Chatham House The Royal Institute of International Affairs;

Hagevi M. Follow The Money: Public Subsidies and the Changing Intra-party Balance of Power Between Different Faces of the Party Organisation—The Case of Sweden, 2018, Informa UK Limited, trading as Taylor & Francis Group;

Hazan R. & Rahat G. Democracy Within Parties: Candidate Selection Methods and Their Political Consequences, 2010, Oxford, Oxford University Press;

Heywood A. *Politics*, 2013, London, Palgrave Foundations Series, 4th Edition;

Hicken A. Building Party Systems in Developing Democracies, 2009, Cambridge, Cambridge University Press;

Ignazzi P. The Four Knights of Intra-party Democracy: A Rescue for Party Delegitimation, 2018, *Journal of Party Politics*, 1(12), Sage Publications;

Karasimeonov G. Organizational Structures and Internal Party Democracy

in South Eastern Europe, 2005, Sofia, Frierich-Ebert-Stiftung Institute for Political and Legal Studies, GorexPress;

Karvonen L. The Personalization of Politics: A Study of Parliamentary Democracies, 2010, Colchester, ECPR Press;

Katz R.S. The Problem of Candidate Selection and Models of Party Democracy, 2001, Journal of Party Politics, 7(3), Sage Publications;

Loxbo K. The Fate of Intra-party Democracy: Leadership Autonomy and Activist Influence in the Mass Party and the Central Party, 2011, Thousand Oaks, Sage Publications;

Macalister I. Personalization of Politics, 2003, Oxford, Oxford University Press;

Manin B. Principles of Representative Government, 1997, New York, New York University Press;

Marsh M. The Voters Decide? Preferential Voting in European List Systems, 1985, European Journal of Political Research, Volume 13;

McDonald M.D. & Budge I. Elections, Parties, Democracy: Conferring the Median Mandate, 2005, Oxford, Oxford University Press;

McElwein K.M. & Umeda M. Party Democratization and the Salience of Party Leaders, 2011, Florence, European University Institute Press;

Mersel Y. The Dissolution of Political Parties: The Problem of Internal Democracy, 2006, International Journal of Constitutional Law 4(1);

Mueller W.C. & Ennsner-Jedenastik L. Intra-party Democracy, Political Performance and the Survival of Party Leaders: Austria, 1945-2011, 2015, Journal of Party Politics, Vol 21(6), Sage Publications;

Mueller W.C. & Narud H.M. Party Governance and Party Democracy, 2013, New York City, Springer Publishing;

Mughan A. Media and the Presidentialization of Parliamentary Elections, 2000, London, Palgrave Macmillan;

Nodia G. & Scholtbach A.P. The Political Landscape of Georgia Political Parties: Achievements, Challenges and Prospects, 2006, Tbilisi, Eastern European Centre for Multiparty Democracy (EECMD);

Pakulski I & Higley J. Towards leader democracy?, 2008, Canberra, ANU Press;

Panebianco A. Political Parties: Organization and Power, Cambridge, 1988, Cambridge University Press;

Passarelli G. Preferential Voting Systems: Influence on Intra-Party Competition and Voting Behaviour, 2020, London, Palgrave Macmillan;

Pepera et al. Political Party Financing: Problem, Solutions and Action, 2001, Paris, OECD Secretariat;

Petak Z. & Matakovic H. Party Finance Regulation: Causes, Instruments and Impact, 2015, Galati, Acta Universitatis Danubius. Juridica, Vol 11, No 1;

Pettitt R.T. Exploring Variations in Intra-party Democracy: A Comparative Study of British Labour Party and the Danish Centre-left, 2011, London, The British Journal of Politics and International Relations;

Poguntke T. et al. Party Rules, Party Resources and the Politics of Parliamentary Democracies How Parties Organize in the 21st Century, 2016, Journal of Party Politics, Sage Publications;

Public Opinion Survey: Residents of Georgia, February 2021, International Republican Institute;

Rahat G. & Sheaffer T. The Personalization(s) of Politics: Israel, 1949–2003, Jerusalem, Hebrew University of Jerusalem Press;

Reynolds et al. Electoral System Design: The New International IDEA Handbook, 2005, Stockholm, International Institute for Democracy and Electoral Assistance;

Sartori G. Parties and Party Systems, 1976, Cambridge, Cambridge University Press;

Scarrow S. Political Parties and Democracy in Theoretical and Practical Perspectives: Implementing Intra-Party Democracy, 2005, Washington, D.C. National Democratic Institute;

Shumacher G. & Giger N. Who Leads the Party? On Membership Size, Selectorates and Party Oligarchy, 2017, Thousand Oaks, Sage Publishing, Journal of Political Studies, Democracy and Citizenship: Theory and Practise – Vol 65, Issue 1;

Snipe A. Financing of Political Parties: Effectiveness of Regulation: The Latvian Example, 2003, Riga, Riga Graduate School of Law;

Teles F. Political Leaders: The Paradox of Freedom and Democracy, 2012, Aveiro, University of Aveiro Press;

Tetradze L & Melikidze G. Multi-Party System in Georgia: Peculiarities, Challenges and Perspectives, 2016, Yerevan, Armenian Journal of Political Science 1(4);

Tsutskiridze L. Intra-Party Democracy: A Pathway for Political Renewal, 2018, Tbilisi, Eastern European Centre for Multiparty Democracy;

Vilks A. Political Party Financing and Control in Latvia, 2006, Discussion paper at Octopus Interface conference on Corruption and Democracy, Council of Europe, Strasbourg;

Villodres C.O. Preference Voting Systems and Their Impact on the Personalisation of Politics, 2005, Granada, University of Granada press;

Ward et al. Money in Politics Handbook: A Guide to Increasing Transparency in Emerging Democracies, 2003, Washington, D.C., Office of Democracy and Governance, US Agency for International Development;

Ware A. The Logic of Party Democracy, 1979, London, Macmillan Press LTD;

Wattenberg M.P. The Rise of Candidate-Centered Politics: Presidential Elections of the 1980s, 1991, Cambridge, Harvard University Press;

Weber M. The Theory of Charismatic Leadership, 1978, Oakland, University of California Press;

Wildgen J.K. Preference Voting and Intra-party Competition in Italy: Some New Evidence on the Communist-Christian Democrac Stalemate, 1985, Chicago, University of Chicago Press;

გამოყენებული ოფიციალური დოკუმენტები:

კანონი მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანებების შესახებ, კონსოლიდირებული ვერსია, 2019;

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის“ წესდება;

მოქალაქეთა პოლიტიკური გაერთიანების „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველოს“ წესდება;

საერთაშორისო საარჩევნო სადამკვირვებლო მისია, საქართველო - საპარლამენტო არჩევნები, 2020 წლის 31 ოქტომბერი, ეუთოს დემოკრატიული ინსტიტუტებისა და ადამიანის უფლებების ოფისის (ODIHR) ანგარიში;

Basic Law for the Federal Republic of Germany, 23 May 1949 (Last amended on 28 March, 2019);

Constitution of the Portuguese Republic, 2005, 7th Edition;

Report on the Operations of the Corruption Prevention and Combating Bureau (KNAB), 2019;

